


ԱՐ



ՀՈՅԱԼԱՑՄԱՆ ՊԱՐԿԱԾՈՅ ՀԱՐԴԱՐԱՐԱ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՎՐԱՅԻ ՀԱՐԴԱՐԱՐԱ  
№ 4 (69)  
2024



ՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

## მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

## რედაქტორები

ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

## მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით  
E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა წლების წაკითხვა  
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“  
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდრიაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთავარელიშვილი) მხარდაჭერით.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიძიაში“

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე. შოთა  
რუსთაველი. მხატვარი რეზო ადამია.



№4,(69), 2024

სკოლები რედაქტორი



გამოლის სამთხვევი ერთხელ



„ოლეს“ ლიტერატურული ჟურნალი



## შიდაარსი

რუსთაველის ახალი პორტფელები

### 2. ავთანალი არაბული. ბედი და ბედისნერა

გურამ რჩეულიშვილი – 90

### 6. როინ შიპაძე. ბედისნერა გურამ რჩეულიშვილის ბობოქარი ცხოვრებისა

გხატვრული ლიტერატურა

### 8. ელგუჯა ციგროშვილი. ლექსები

### 14. ზაირა მილენი. მოთხოვნა

### 18. ბარა რომელაძე. ლექსები

### 23. მარიამ ქაშუკაშვილი. მოთხოვნა

### 30. თავა ყავარელიშვილი. ლექსები

### 32. კარლო ქართველიშვილი. ლექსები

სახალხო მთავარი

### 33. ფირუზ კოჭლამაზაშვილი. ლექსები

გავვეგისტრირების საკითხები

### 36. მარიამ კოზებაშვილი. ლექსები

თარგმანი

### 39. გალიე გრანვისკაია. მოთხოვნა

კვალი კეთილი

### 42. მარიე გოგჩაძე. ერთი მნიშვნელოვანი ეპოქა

ახალი ნიგენი

### 44. ზაალ პოტკოველი. ანგელოსთა საუფლოში

საქართველოს სიცონიდეები

### 46. გივი ჩილვინაძე. ჯრუჭის მონასტერი და მრავალძლის ეკლესია

კრიტიკა-კუპლიცისტიკა

### 53. ლია ნადირაშვილი. ქეთი ხანთაძე – „ქარვის ქალები“

### 56. ნანა რჩეულიშვილი. „ცისფერყანწელთა“ ახალი მითოლოგია

### 60. ლევა ქაშუკაშვილი. გზა დაულოცეს

კულტურული ცხოვრების ეროვნება

### 62. ზაირა არსენიშვილზე გამოცემული წიგნის ნარდგინება

### 63. მხატვარ ბესო გინტურის გამოფენა

### 64. ეთნოგრაფიულ ანსამბლ „ჩაკრულოს“ წარდგინება

1



ოლე, №4, 2024



ავთანდილ  
არაპული

2



جذب وسائل إعلامية عالمية لحضور حفل افتتاح المعرض.

תְּלִימָדָה וְשִׁנָּוָת

მაგრამ, ვფიქრობთ, აურელიერებლია მნახულმა იქნება, რომ ეს ახალი „ქართული“ სახე კონტაქტუალურია და არა რეალიზტური. მეტია, ეს არის ერთგვარი ფრესკული სახე, წმინდანის გამოსახულება, დაახლოებით ისეთი, ჩე-მეული ინტერპრეტაციით, როგორიც იქნებოდა რესტავრაცია არა პოემის წერის ასაკში, არამედ მიღებულ ტანკავთა შემდგომ, ამ სოფლიდან გასვლის უამს. თუ მკრებელობა არ ჩამომტკობება: რომ ნარმოვიდებინოთ აღსრულებული გენიალური შემოქმედის სახეზე დაფუნილ ტილოზე სას-ნაულად არტეჭდილი გამოსახულება...“

5. Տաճարակո

## გედი და გედისნერა

(ფიქრები რუსთაველის ახალი პორტრეტის გამო)

ჭეშმარიტი პოეტის ბედი და ბედისწერა, საზოგადოდ, სრულიად ამბივალენტური ბუნებისა ჩანს; ის სწორედ ამ საბედისწერო ტრაგიზმით გამოირჩევა სხვა ღვთივდანაბად-თა შორის.

ერთი მხრივ, იგი რჩეულია რჩეულთა  
შორის („მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო  
მცირედნი რჩეულ“), რაკი სწორედ მას  
მოჰმადლა დამბადებელმა ნიჭი ახლის შემოქ-  
მედისა, გაუხსნა თვალი გონებისა და მიანიჭა  
მადლი სიტყვისა...

მეორე მხრივ, იგი არ არის შექმნილი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის, მისი ნიჭი, მისი შემოქმედებითი უნარი მისივე ჯვარცმაა ამქვეყნიური („რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ვნება“)...

ბედისა და უბედობის ეს ამქვეყნიური ჯვარი განცდილი და გააზრებული აქვს ყველა ჭეშმარიტ შემოქმედს. აი, როგორ ხატავს გალაკტიონის გენის მოვლინებას შოთა ნიშნიანიძე: „სთქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა, როგორ დავბადოთ კაცი, ყველაზე ბედნიერი და უბედურიც?..“ იმსჯელეს და გადაწყვიტეს შექმნან იგი ყველაზე „მდიდარ“ ადამიანად, „ოღონდ დავბადოთ... უთუოდ მგოსნად და უთუოდ საქართველოში!“ (ე.ი. პოეტის ბედისწერა საქართველოში მაინც სულ სხვაა!). ხოლო იგივე ანგელოსები, ანა კალანდაძის შესანიშნავი ლექსით, პოეტის მოვლინებას ამგვარ ბეჭედს ასვამენ: „– ბედი პერნდეს! – თქვა შავთვალა ანგელოსმა, – ბედი პერნდეს? ხა, ხა, ხა, არასოდეს!.. – სთქვა სატანამ...“

მართალია, ჩვენ ერთი დეტალიც არ ვიც-ით დიდი შოთა რუსთაველის რეალური ბი-ოგრაფიისა, მაგრამ უკვე ეს არცოდნა გვი-დასტურებს, რომ შეუძლებელია სხვაგვარად გავიაზროთ ბედი და ბედისწერა გენიალური მოაზროვნისა და პოეტისა.


განა ვინმებ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ისეთი ზებუნებრივი ნიჭის შემოქმედი, როგორიც იყო შოთა რუსთაველი, იმდროინდელი ისტორიული პერიპეტიიებისაგან განრიდებული, „კომფორტულ“ სიმშვიდეში აღასრულებდა თავის შემოქმედებით მისიას?!

ყველა შესაძლებელი წარმოსახვა საქა-  
რთველოს ისტორიიდან „დიდი საშლელით“  
ამოშლილი პოეტის ბიოგრაფიისა მეტყველებს  
იმას, რომ ეს ასე არ ყოფილა (თავად „ამოშ-  
ლილობაა“ ამისი არგუმენტი). ხოლო თუ  
რუსთაველის მასშტაბური პოეტური ჭვრეტის  
დეტალებს დავაკვირდებით, თვალში სწორედ  
ეს ტრაგიზმი გვეცემა. მივაყურადოთ მის  
გულისითქმას:

„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან  
რჩებიან,  
იძვებენ, მაგრა უჭიროდ ბოლოდ ვერ მოურჩე-  
ბიან;

პიან!“  
ანუ, დიდი პოეტის კონცეფციით, შემოქმედის სიბრძნე განრიღებაში და გარინდებაში არ არის, არამეობ მსხვილსასა და ორჩიტაში.

ამიტომაც რუსთაველი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ განრიდებულად და განზე მდგომად იმ ისტორიული პერიოდისაგან,



რომლებიც ქვეყნის ისტორიული გზის არჩევანს უკავშირდებოდა.


ამიტომაც უსამართლოა ისტორიაც და მეცნიერებაც, რომელიც პოეტის მოღვაწეობის აქტიურ პერიოდს ფაქტობრივ ააცდენს იმ ისტორიულ ეპოქას, იმ კონცეპტუალურ პაექტობას, რომლის ცენტრალურ ხაზსაც პოემის იდეური განაზრახი წარმოგვიდგენს.

აშკარაა: შოთა რუსთაველის შემოქმედებითი ბედი (ლვითვმონიჭებული პოეტური ტალანტი) და მისივე სამოღვაწეო ბედისწერა

ფატალურად დაპირისპირებული აღმოჩნდა ერთმანეთთან, იმდენად სასტიკად, რომ ისტორიამ არსებითად წაშალა ამ დიდი მოაზროვნის რეალური ცხოვრების ყოველი დეტალი.

რუსთაველს არ გაუმართლა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, უნდა ვივარაუდოთ, რეპრესირებული აღმოჩნდა გამარჯვებული მმართველი ძალისაგან, არამედ, არანაკლებ, იმიტომ, რომ წამყვანმა შემოქმედებითმა ელიტამ ან ვერ გაიგო, ან განზრახ დაამახ-





ინჯა ის სიბრძნე და წინასწარმეტყველური განსჯა, რასაც პოემა ქართველს უქადაგებდა (სახალხო სიყვარული, რომელმაც ასე თუ ისე გადაარჩინა ნაწარმოები დაღუპვას, სრულიად სხვა ფენომენია).

დიახ, რუსთაველის გენია დაჯილდოებული იყო წინასწარმეტყველური ჭვრეტის უნარით და მან წინასწარ განჭვრიტა ისტორიის განვითარების არსებითად ყველა დეტალი, რასაც, ჩვეულებისამებრ, თანამედროვენი მტრობად სახავენ ხოლმე („არა-ვინ წინასწარმეტყუელი შეწყნარებულ არს სოფელსათვისა“).

ამიტომაც არ აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი არცერთ დაცულ წიგნსაცავში.

ამიტომაც დაიწყო სასულიერო წრემ პოემის ავტორის მორალური შეფასება.

ამიტომაც მისცა თავს უფლება ყველაზ (გვირგვინოსანმაც და მდივან-მწიგნობარმაც)

აზრისა და სიტყვის დო-დოსტატისთვის ნათქვამი ესწორებინათ და „დაკლებული“ შეევსოთ!..

ნიშანდობლივია, რომ პოეტის მოღვაწეობიდან დაახლოებით სამ-ნახევარი საუკუნის შემდგომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი უკვე საფუძვლიანად არის შერყყნილი. უპირველესად იგულისხმება ცნობილი სასულიერო მოღვაწის, იოვანე ავალიშვილის მიერ შექმნილი ნუსხა მე-16 საუკუნის ბოლოს. კერძოდ, უკვე ამ ხელნაწერს პირველ სტროფად „ამშვენებს“ არა გენიალური დასაწყისი – „რომელმან შექმნა სამყარო...“, არამედ სასტიკი მორალური ვერდიქტი:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,

უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსა შეიქმნა ხორც არ სულად, საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად, თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულად.“

როგორც ვხედავთ, აქ უკვე დომინირებს პოემის „სპარსულობის“ ის აზრი, რომელსაც, ცხადია, საფუძველი დაუდო ნაწარმოების პროლოგის ტაეპმა – „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“, რაც (თუ ის ნამდვილად ავტორს ეკუთვნის) აშკარად არის გამოხატულება სიუჟეტური შენილდვის ხერხისა...

რაც მთავარია, უთუოდ ეს აღმოჩნდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორები ამ დროის ხელნაწერებში, განსაკუთრებით მამუკა თავაქარაშვილის ნამოღვაწარში, უგამონაკლისოდ ხატავენ პოემის პერსონაჟებსა და თავად ავტორსაც კი აღმოსავლური მინიატურების სტილის-ტიკით (ყველა თავისი დეტალით და აქსესუარებით). სწორედ ამის გავლენით საუკუ-




ნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთგვარი სტერეოტიპი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლურ გამომსახველობას დაუკავშირა და ამას ახალმა ქართულმა მხატვრობამ და პოლიგრაფიამაც კი ვერ დააღნია თავი. არადა, უეჭველია, „ვეფხისტყაოსანი“ ესთეტიკითაც და მსოფლმხედველობრივადაც ევროპული რენესანსის სათავეებს წარმოგვიდგენს.

უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ა დ  
სწორედ ამ თვალით  
უნდა შევხედოთ ცნობილი მხატვრის, ორიგინალური მოაზროვნის,  
ბატონი რეზო ადამიას სრულიად ახლებურ მიდგომას, სხვაგვარ ძალისხმევას შოთა რუსთაველის პორტრეტისა თუ პოემის პერსონაჟთა სურათების შექმნისათვის. ეს პასუხისმგებლობა თავად ბატონ რეზოს ერთ ვრცელ ნარკვევში ამგვარად აქვს გამოხატული: „მხოლოდ შოთა რუსთაველის გენი-ის დონის და ნიჭის მხატვარი თუ კომპოზიტორი შეძლებდა ყოვლად საოცრება-პოემის მხატვრულ-მუსიკალურ დასურათებას...“

ცნობილი მხატვრის ამ ახალ ძალისხმევას, პირველ რიგში, ამგვარი თვალით უნდა შევხედოთ: იგი მიზნად ისახავს აღნიშნული „აღმოსავლური“ სტერეოტიპის დარღვევას და გენიალური შემოქმედის „ქართული“ სახის შექმნას.

მაგრამ, ვფიქრობთ, აუცილებელია მნახველმა იცოდეს, რომ ეს ახალი „ქართული“ სახე კონცეპტუალურია და არა რეალისტური. მეტიც, ეს არის ერთგვარი ფრესკული სახე, წმინდანის გამოსახულება, დაახლოებით ისეთი, ჩემეული ინტერპრეტაციით, როგორიც იქნებოდა რუსთაველი არა პოემის წერის ასაკში, არამედ მიღებულ ტანჯვათა შემდგომ, ამ სოფლიდან გასვლის ჟამს. თუ



მკრეხელობად არ ჩამომერთმევა: რომ წარმოვიდგინოთ აღსრულებული გენიალური შემოქმედის სახეზე დაფენილ ტილოზე სასწაულად აღბეჭდილი გამოსახულება...

სწორედ ამას მეუბნება პირადად მე ამ პორტრეტ[ებ]ის გრაფიკული გამოუკვეთლობა: თითქოს სახე სამყაროს ქმნადობიდან „ამოდის“, თითქოს თვალებს არა აქვთ ზუსტი კონტური და გამომსახველობა, თითქოს პოეტის მზერა პიროვნების კი არა, სამყაროს სიღრმიდან მოდის... სრულიად ბუნებრივია, თუ ამ კომპოზიციაში იღანდება გარკვეული თეოლოგიური თუ კოსმოლოგიური მინიშნებანი...

ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული კულტურის შემფასებელთა და დამფასებელთ მნიშვნელოვან სიახლესთან უნევთ შეხვედრა და, ჩემი მხრივ, მინდა გამარჯვება და აღიარება ვუსურვო ამ ახალ სიტყვას!..



შემზარევის იმის გაფიქრობაზე კი, რომ გურამი  
რჩეული შვილი ნათელებ სიკეთილში ხედავდა ხსნას... მას სიკეთილის საშინელი ნინათვრისნობა ჰქონდა. საყრელ-  
ურობ, ეს ნინათვრისნობა აუქთადა ზღვის სტირიამ, რო-  
მელიმარ შთანთქმა გურამის ვნების სიმძაფრე.

iii. ଶର୍ମିଳା

პედისცერა გურამ რჩეულიშვილის პოპოვარი ცხოვრებისა



„მიყვარდა მხოლოდ ბედისნერა“ – ასეთია თვითი აღმოჩენა ქაბუკი გურამ რჩეულოშვილისა, როგორც ნათელმხილველისა, რომელმაც მხოლოდ ოცდაექვსი წელი იკორცხლა; ამის მიუხედავად, თავისი

გურამი ხასიათითაც და ცხოვრების წესითაც ნაღდი ქართველი გახლდათ: „მის მთელს არსებაში ხშირად მოვარდნილი სტიქიის მსგავსად კლინცებო-

და ის პრომეთესეული ცეცხლი, რომელსაც განათლებული ევროპელები ერთხმად უწოდებენ კოლხური, ქართული ხასიათის ძირეულ მახასიათებელს“. (ზვიად გამსახურდია).

...და მართლაც, ოცდაექვსი წლის ჭაბუკად დარჩენილმა გურამ რჩეულიშვილმა პრომეთესეული ცეცხლი დაათოთ ქართულ მწერლობაში. ერთი წლით ადრე კი, ოცდახუთი წლის გურამი ღვაწლმოსილი შემოქმედივით აჯამებს განვლილ ცხოვრების გზას და უახლოეს მეგობარს ერლომ ახვლედიანს უმხელს თავისი გულის ხვაშიადს:

„გუშინ გავხდი 25 წლის; ჯერ კიდევ 2-3 დღის წინ დავიწყე გონებაში გავლილი ცხოვრების შეჯამება... მთელი ეს ოცდახუთი წელინადი საკმარისია იმისათვის, რომ კაცმა, ვისაც აქვს თავმოყვარეობა და ჩემდენი სურვილები, მშვიდი სინდისით მოიკლას თავი“.

ჭაბუკ გურამს მოეძალა ნოსტალგია და წუხს, რომ ვერაფრით ვერ შეეგუა ხალხმი მხიარულად ყოფნას. თუმცა მარტოობაც არ ადარდებს, რადგან თავისივე აღიარებით „მარტოობა წერისათვის აუცილებელია“, მაგრამ იმავდროულად სულიერად მაინც დამთრგუნველია. გურამი შიშობს, რომ თავისი ჩანაფიქრების განხორციელებას ვერ მოასწრებს: „ათი წელი რომ ვიცოცხლო, რამდენის დაწერას მოვასწრებ, რამდენი მაქვს გასაკეთებელი, რამდენი აზრი და იდეა მიტრიალებს თავში...“ – გულს უხსნის ნუგზარ წერეთელს.

#### ლიტერატურა:

1. გურამ ასათანი, მოგონებები გურამ რჩეულიშვილზე, (ფეისბუქოსტი).
2. ნუგზარ წერეთელი, მოგონებები გურამ რჩეულიშვილზე (ინტერნეტგვერდი ბურუსი).
3. ზვიად გამსახურდია, გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი, (ინტერნეტგვერდი წორდპრესს.ცომ).
4. გიორგი შატბერაშვილი, გურამ რჩეულიშვილი, წანამძღვარი გურამ რჩეულიშვილის მითხრობების კრებულზე — „სალამურა“, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1961 წ.
5. გურამ რჩეულიშვილი, დლიურები, ჩანაწერები, ტ. 5, გამომცემლობა „პალიტრა“, თბილისი, 2012 წ.
6. გურამ რჩეულიშვილი, პოეზია, ტ. 6; გამომცემლობა „პალიტრა“, თბილისი, 2012 წ. ზაირა მინდელი.


„მაშ რა უნდა აკეთოს გურამმა, რომელიც უცებროგორც შემოქმედი..., კანონგარეშე რჩება ერთი შეხედვით“ – შესჩივის თავის მეგობარ ვახტანგ ჭელიძეს. იმავდროულად, ილია ჭავჭავაძის მეუდაბნოე ბერისებურად სწამს, რომ „ხსნა ყველგან არის“. „მის ნანერებში არის ადგილები, რომლებიც დღეს ცხადად გვანან განწირული ადამიანის აკვიატებულ წინათგრძნობას“. (გურამ ასათანი).

შემზარავია იმის გაფიქრებაც კი, რომ გურამ რჩეულიშვილი ნაადრევ სიკვდილში ხედავდა ხსნას... მას სიკვდილის საშინელი წინათგრძნობა ჰქონდა. საუბედუროდ, ეს წინათგრძნობა აუცხადა ზღვის სტიქიამ, რომელმაც შთანთქა გურამის ვნების სიმძაფრე.

გურამ რჩეულიშვილი ცხოვრობდა და ცოცხლობდა რუსთველური პოსტულატით: „მე იგი ვარ..., ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“ და ანდერძად დაგვიტოვა:

„სიცოცხლე იმად არა ლირს  
კაცი ნატრობდეს უამს გრძელსა,  
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე  
ვერარას არგებს მამულს.“

ამრიგად, ნაადრევად გასრულდა ბობოქარი სიცოცხლითა და სათაყვანო მამულის სიყვარულით გაუმაძღარი ოცდაექვსი წლის სხივმოსილი ჭაბუკი მწერლის გურამ რჩეულიშვილის წუთისოფლის ულმობელი უჟამო უამი უამი.



ପାଳୁଅବ୍ୟର୍, ରୋଗନାର୍ ଗାନ୍ଧାରାଯୁଦ୍ଧ, -  
କିରମିନ୍ଦରାଜାର୍,  
ଶେନ୍ଦ ବାର ହୃଦୀ କୁଳାତମତ୍ତ୍ଵ, -  
ମ୍ରୀ... ମ୍ରୀନାର୍ଣ୍ଣ!

შეურკვეო მოყვარადი, ლვარნოფივით, —  
წავი და მღვიმიე, —  
თუმც შენი მოქნის ჟებირები  
ცერ გავარლვით.

၂၀၁၃



## ელგუჯა ციბროვალი

ଓইକ୍ରାନ୍ତି...

ფიქრს ვერ უბრძანებ: გაჩერდი, კმარა,  
უკვე მომწყინდა მე ეს ქაოსი...  
წლები მიღიან, შიში კი რჩება, —  
საიქონს თუ სააქაოსი.

მიყვები ფიქრის პურალუ გორგალს,  
ნაღველის ცრემლით თვალდანამული,  
გული არ იშლის, ბორგავს და ბორგავს,  
რომ საფლაკი ნისლში დარჩა მატული.

მივდევ ამ გორგალს, როგორც თეზევსი,  
ლაბირინთს ირგვლივ სიფრთხილით ვზვერავ;  
სულო ცოდვილო... შიშმორეული,  
ხანდახან უკან გამირბის მზურა.

କିମ୍ବା କିମ୍ବା...

შენი თვალები ჩემს დანახვაზე  
ცისკარივით რომ გაიძრნყინებდა,  
თითქოს მიმქრალან ოცნების ცაზე,  
დოროს ქარტენილს უხმოო მინებდა.

ოდესმე ალბათ სუკველა ცდება,  
უხმოდ იგსება მოთმენის თასი,  
ამაღლებული გრძნობებიც ცვდება,  
ერთ დროს რომ თთქმის არვ ჰერნდა ფასი.

დაკოჭლებულა ოცნების რაში,  
ჩამოინისლა კაშეაშა მზერა...  
მე თვალი მაინც გამირბის ცაში,  
ხვალინდელი დღის ჯიუტად დაკრი!

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ზეცა გაიცრიცა, – როგორც ნაბდის ძველა, ლრუბლის ნაგლოჯიდან მზემა/კ შემოგვცინა....





თითქოს შემოდგომამ ყველა ცისარტყელა,  
ციდან ჩამოხსნა და მიწას მოაფინა!

ირგვლივ იმისთანა კოხტა ფერებია,  
სახელს ვერ დაარქმევს კაცის ფანტაზია...  
ფეხმძიმე ქალივით მოსაფერებია, –  
დასაკრეფი ვაზი, ისე ლამაზია!

შიშველი ხეები მორცხვად ჩამომდგარან,  
იმედით შესცერენ მალლა, ზეცის კარებს,  
იციან, იქიდან ზამთარი მოვა და...  
შიშველ სხეულებზე საბანს მოაფარებს!

9



## ელგუჯა ციგროშვილი

მგელი  
„კაი ყმა, მგელი, არწივი,  
არც ერთი არ იწურთნება“...  
ხალხური

დღემდის ვერ შესძელს, შეეცვალათ შენთვის იერი,  
მრავალი წყლული მოგაყენეს თოფით თუ ისრით;  
შენ ამჯობინებ, წანალებდე ტყეში მშიერი,  
ვიდრე ქოფაკის საყელური ატარო კისრით.

სუყველას წყალში ჩაუყარე გარჯა და შრომა,  
თავისუფლების ფასი იცი და ის გალალებს...  
ვერ გაიძულეს ლომ-ვეფხვივით რგოლებში ხტომა  
და არც დათვივით გადადიხარ ყირა-მალაყებს.

არ მოგიხრია არავისთვის უდრევი ქედი,  
არ იწურთნები, „კაი ყმის“ და არწივის დარად,  
შენი მუხლი და კბილებია შენი იმედი,  
მათხოვრად მისულს ვერვინ გნახავს ვიღაცის კარად.

ერთგული ხარ და ასეთი გყავს ჯიში და გენი,  
სიყრმით მიჩვეულს არა ტოვებ მშობლიურ არეს,  
როცა მიწაზე ალარვინ გყავს შენი მომსმენი,  
გულის საწუხარს უზიარებ შენს ძმობილ მთვარეს.

ან იქნებ სულაც არ შეჰყმუ კაშკაშა მთვარეს,  
გაგება მინდა, ეჭვი მაქვს და შენ უნდა გეითხო:  
– იქნება უფალს შეჰლალადებ ასე გულმწარედ,  
შენ ხომ მგელი ხარ, ცოდვაც გაქვს და შენდობას ითხოვ!

და მიკვირს!

სულ თან გდევს ეში და სურნელი ყვაილის,  
იცი და... ზედმეტად ამაყობ, სდიდგულობ,  
შენი სხეული ხომ შრიფტია ბრაილის,  
უკუნეთ ლამეში „თითებით გეითხულობ!“

თმის სუნი კორიდას ხარივით მახელებს,  
თვალებში სურვილის ელვები კვესავენ...  
გეძახი უამრავ ყვავილთა სახელებს:  
პირიმზეს, ღილილოს, გვირილას, კესანეს!





და მაინც ვერ ვიგებ, ვინა ვარ, სადა ვარ,  
არაფრით დამიცხრა ვწებების წყურვილი...  
ზღაპრული ჯინივით სულ მუდამ მზადა ვარ,  
ოლონდ აგისრულო, თუნდ ერთი სურვილი.

ძალას ვგრძნობ ცოური ზარების რეკვიდან,  
სულ მინდა ოცნების კოშკების შენება...  
და მიკვირს, ამ ჩემი უბრალო ნეკნიდან, –  
ვით შეგქმნა უფალმა ასეთი მშვენება?!

### ნლები...

ნლებს მოაქვს ვნების სიდინჯე, –  
ნაკლებს ვრისკავ და ვტედავ,  
დლეს გულისყურით ვისმენ და...  
გულის თვალებით ვხედავ;

ლოცვითაც სხვაგვარად გლოცავ,  
ჩემო ადგილის დედავ,  
არ მაკრთობს ჩემი გავლილი,  
უკან რომ მოვიხედავ!

### მალალეზ!

მალალებ, როგორც გაზაფხული, –  
პირმომცინარე,  
შენა ხარ ჩემი კალაპოტი, –  
მე კი... მდინარე!

ბევრჯერ მოვგარდი, ღვარცოფივით, –  
ცივი და მღვრიე,  
თუმც შენი თმენის ჯებირები  
ვერ გავარღვიე.

როს წუთისოფლის გრიგალები  
მაზვირთებს, მიტევს...  
ამ სამყაროში დაუტეველს, –  
ეგ გული მიტევს!

სულს მითბობ, როგორც ცხრათვალა მზე, –  
პირმომცინარე...  
შენა ხარ ჩემი კალაპოტი, –  
მე კი... მდინარე!

### სიზმარი

არ მემძიმები, ხარ ტვირთი მჩატე,  
არც მაჩნევიხარ გულზე იარად...  
მაშ, ნეტავ რალად ამეცვიატე,  
გამიხდი სიზმრის თანაზიარად.

ხან პირველყოფილს მოჰვავდი ევას,  
შიშველი ანცის კისკის-ტკრციალით,





შმაგად ვიღებდი შენს გამოწვევას, –  
შარბათად მოწვდილს ბაგის ფიალით.

შენს გულისცემას მასინჯებ ყურით,  
თან მკერდზე მორცხვად იფარებ ხელებს;  
დევ, წამკითხველი აიგოსს შურით,  
მე ის სიზმარი დღესაც მახელებს.

ხსოვნა ხომ მრავალ სიზმარს ინახავს,  
სხვასთან რომ არსად მოგვიყოლია,  
რამდენი ვინმე გვინახავს სიზმრად,  
მთელი ცხოვრება რომ გაგვყოლია!

### „ყოფნა?! – არყოფნა?!”

ვინ მტერი არის და ვინ მოკეთე,  
ვერ გავარკვიე, ცხოვრების ფონზე...  
ვარ მიჯაჭული, – როგორც პრომეთე,  
წუთისოფელის კავკასიონზე!

მინავლდა ცეცხლი ჭაბუკურ გზნების,  
ცოდვაც და მადლიც სინდისით დამაქვს,  
გავანახევრე ცხოვრების გზები:  
„ყოფნა?! – არყოფნა?!” – პასუხი არ მაქს!

მოქუფრულია ზეცა მამულის,  
ჩავიდა მზე და... ჯერ არ ჩანს მთვარე;  
ვძებნე მალამო ამ ჩვენი წყლულის,  
შიგნით ქვეყნისა და ქვეყნის გარე.

მწარეა, ვატყობ, ღვთის განაჩენი,  
ტყუილად ველით ბნელში მზის არილს,  
რადგან უძლები მოყვასი ჩვენი  
მამულის წყლულებს ზედ აყრის მარილს!

მინა, რომელშიც მარხია კვართი, –  
ღვთისმშობლის ხვედრი მთა და ბარია!  
ზოგს საკუთარი ჰეგონია ფართი,  
თითქოს ამათი მონაგარია.

გამოიღიძე, ერო და ბერო,  
ჩვენს მინას ჰყიდის ვიღაცა მურთხი...  
ყველას მიაგე სამაგიერო, –  
თავისი წილი ზიზღი და ფურთხი!

თორემ სულ მალე იქნება გვიან,  
„ქვათა ღალადის“ ჩამესმის ხმები...  
„რასაც თესავენ – იმას რომ მკიან“,  
მე იმ ანდაზას დავეთანხმები!

ხმა ამოიღეთ, რამ დაგვამუნჯა,  
მერე რას გვიშველს ცრემლების კმევა...  
არ გახსოვთ? ტროას რადაც დაუჯდა,  
იმ „მუქთა ცხენის“ სახლში შეთრევა?

კმარა, გაყიდვა მამულის მიწის!  
უნდა გაირკვეს წამსვლელ – დამრჩენი...  
ვიყოთ ერთგული საუფლო ფიცის: –  
„საქართველოა გადასარჩენი!“





## Տագայշ կո քազալո!

Րապ ողձլուտ մերցո, վտառու, րոմ յոյլուս ցանահենու...  
Ցողցած զերուցոյ, մանց մնարեց դաշրին վնեթյուլու,  
Արշ աշրմալյուլու ես նակոռոյ առ մոցեմու,  
Տումբա կո ցաշեցու - սամոտենդան ցամոցդեթյուլո!

Իս սամոտեց եար, ցահենուդան րաուց մոցարդա,  
մանց մանց մանց, մթյուրնց լունան գամորիյուլուտ,  
յարտյուլու տոկուտ մոխելունու աֆամու ցար դա...  
Սաճաւ կո ցաշալ, - սայարտցելու դամայց սեյուլուտ!

Ռորսա ցար Շենցան, ցացանեց, զուտ ոգուսեցսո...  
Սեցատ սամեթլագ վցամեց եորցու, դաշրման յարտյուլու,  
Վեր ցեցեցու, զուս սյուրս մոցաւութեարուս մուրու դա ցյեսցո,  
առ մայց անմպու դա մոմացալու... մեռլուն նարսյուլո!!!

Ուսաւ մանց դամրինա... տան մե առա նամունու րա,  
Վերագրուտ ցեցցեցու, ծեմբա անց րագում ոյշրին  
դա նուսիւլցու, - մոյշրինու սյուլուս ուրա  
յուցեա մոնանց արացերմա առ դամույշրինա.

Սեցատա նալյութին հյութցուս ցարժմաւ արսագ ովարդա,  
ցեարուն, - լույսեցուս ցաւրուցուն տեղու րցյուլուտ...  
յարտյուլու տոկուտ մոխելունու աֆամու ցար դա  
Սաճաւ կո ցաշալ, - սայարտցելու դամայց սեյուլուտ!

Յոյցալո! առ ցար յոմագյուրու, րաուց մարցունե...  
Ուս զուրց, ծեցրցան ցիցուց սուշետուս կցալու,  
Ցտեռց, հյումս կյուրտեցյուլ սամոտեցին կցլաց դամածրունե,  
րոմ յարտյուլ մոնաս առ դապուլցուս հյումցան մուսեալո.

## Ալգոցմիւս մագլուա մուազարո!

„Ժենճե, րոմելոնու ցաւրունան,“ -  
Շենս օյնու, եսնա մանց առ առու...  
Տուշեցուն, - սյուպաւաս եցեգրուա,  
Ալգոցմիւս մագլուա մուազարո!

Վծորցաւ դա Վերագրուտ ցուցանեց,  
Ռա პորուտ ցուտեռցուտ Շենճոնա?!  
Ոմ չցարցմիւս ամեցեց րոմ ուսենեց,  
Ոյսու րոցորլա ցաւրունա?!?

„Ելլեցուս Շենճոնա ցաւատատցուս“ -  
Ցուցուտ, րոմ ցողցունտա նյուսա...  
Տու առա սենացլեցաց ցաւատատցուս,  
Ածա, րագ մոցուդա մյուսա?!

## Շուշիքի

Ապարա ցուպաւ, Շենց պապարա մեցոնե մաժոն,  
Շուշիք հյումու տցալուս ցուշեց շամմա դալարա...  
Շեն կցլացաւ ուս ոնացարուն, զուտ ցուշիք ծացշու,  
Մյ կո... տմա-նցերմու Շեմերուս ցուշիք ժալարա.



ასე მეგონა, შენ მოსავდი იმ ბებერ ზამთარს,  
თოვლის პაპასაც, – თმად და წერად შენა შეენოდი...  
მიახატავდი ფანჯრის მინას ვერცხლის მინანქარს,  
გამოწვდილ ხელით გელოდი, რომ ზედ დამფრენოდი.

თოვლია ირგვლივ, ჩემი მზერა თოვლზე სრიალებს,  
ჩამოივაკა გორაკების თეთრი ფერდები,  
ყმანვილის უინი შენთებიათ უამდაკრულ თვალებს  
და გეეთხები: „ფიფქი, შენ კი არა ჰერდები?!“

და... არც დაბერდე, თაობები კვლავაც გელინ,  
თეთრი ხალიჩა დაუფინე ოცნებებს ულევს,  
ვგრძნობ, ბავშვობაში დაბრუნება სანატრელია,  
სულის თეთრ საგზალს ნუ მოაკლებ პატარა გულებს!

13



### ციკლიდან: „კუნწულა ლექსები“

#### მიჭომ გვაშინებს

მუდამ ვფიქრობთ, რომ ვიღაც დაგვცინის,  
გული კრთის, როგორც მხდალი ფინია...  
და მარტოობაც მიჭომ გვაშინებს,  
ფიქრთან დარჩენის რომ გვეშინია.

#### და ზევრკურ მინდა!

სხვისი მინა ვერ გავითავისე,  
ფიქრი არ სწყდება მშობლიურ არეს...  
და ბევრჯერ მინდა ყმუილი ისე, –  
როგორაც მგელი შეჰყმუის მთვარეს!

#### უსიყვარულოდ – სიყვარულზე...

მინდვრის ყვავილებს დედამიწა უმაგრებს ფესვებს,  
სარეველაც კი – ამ ძუძუთი არის ძლიერი...  
უსიყვარულოდ – სიყვარულზე დაწერილ ლექსებს,  
საწოვარათი გაზრდილ ბალლის დაჰკრავს იერი!

#### ლექსები აჭირდებიან!

ნურვინ ჩამითვლის ამ სიტყვებს მდარედ  
და პოეტები როცა კვდებან,  
მე ასე ვფიქრობ, ყველაზე მწარედ,  
მათი ლექსები ატირდებიან!

\* \* \*

შენი ტრფობა მომდებია, როგორც ბანგი,  
გულს მიხარებ, თვალხატულა გაზაფხულო...  
მომაყრდენი ეგ სხეული, როგორც ჩანგი,  
რომ ზედ დაკვრა არასოდეს დავასრულო!



## ზაირა მინდელი

14



საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

— მიუთან გავლა დიდი სირწვილი იყო, შვილები, რასა ჰქონიდა მის გვერდით გავლა, რომ დავინახავდი თვალებში ვერ ვუურებდი. მალულად გვიყვარდა ერთ-მანეობი.

— ერთხელ, გიორგონზე ვიყავით, გახსოვს კატი, შენ იქ იყავი, სამჭერ დამიკრა თავი საჩუქროთა, მაგრამ, რა გადამიყვანდა, დედაჩემი შორიდან მიმოიალებდა თვალებს. მეორე ფლეს, კარში მიღიოდა, ჩემი სახლის წინ უნდა ჩაევლო, წამოვიგდე მხარზე კოკი, ვითომ წყალი უნდა მომეცნა, მის დასანახად კი მივდიოდი.

ზ. მინდელი

### უპის მოხუცები

საღამო ხანია, მზე ჯერ კიდევ არ ჩასულა. ცას შავი მოუსვენარი ღრუბლები მოსძალებია, საოცარი სისწრაფით ეჯახებიან ერთმანეთს. ეტყობა წვიმას აპირებს.

სოლომონანთ ორლობიდან ძროხების ბლავილი მოისმის:

— ჰა, შე, უპატრონო, შენა, შენი სახლის კარი აღარ იცი, სად არის? — ჯავრობს ნიკა პაპა.

ლიზა და კატო ბებია უბანში გამოსულან, კატოს სახლის წინ გამართულ სკამზე დამსხდარან.

— ყოჩაღ, ნიკა, კარგად გიბალახებია საქონელი. მოდი, ბიჭო, დალლილი იქნები, ცოტა ჩაიმუხლე.

— გამარჯობათ, ქალებო,

— მადლობთ, მადლობთ, მოგიცლიათ კი საჭორაოთა.

ლიზა ბებო, უკვე, მოსასმენად მომზადებულა. იცოდა კატო ბებოს ხასიათი, საღამოს უბანში რომ გამოვიდოდა, თან, ახალ ამბებს გამოაყოლებდა ხოლმე.

— წაადრევად აგვიცივდა ლიზა წელს, — წამოიწყო საუბარი კატომ.

— ხო, ქალო, ვის ახსოვს ამისთანა სი-

ცივე ღვინობის თვეშია, — უპასუხა ლიზამ

— ყველაფერმა თავისი დრო დაკარგა, ყველაფერმა.

— რა იყო, კაცო, რა გაგჭირვებია, რა ცერ-ცერ უვლი გიოს სახლსა, — დაინტერესდა კატო.

— გამჭირვებია კი არა და... მართლა გამჭირვებია, გიოს უფროს შვილიშვილს ვეძებ. ი, მურადა, რომ ჰყავს. რა მიყო, მაგ, მამაძალლმა, — გიოს სახლის თვალმოუცი-

ლებლივ ლაპარაკობს ნიკა პაპა, — ჩემი ლამაზო გამაყიდინა, რა არის ეგ, წვრილებება და უქმურია, გაყიდე და ისეთი მხიარული ვირი ჩამოგიყვანო მთიდანო, რომა, მთელი სოფელი მას დანატროდესო. არ გამაბრიყვა ამხელა კაცი. იმ დღიდან, აღარ დამინახია, მთელი კვირაა მაგას ვეძებ.

— ტყუილად გიძებნია ნიკა, ერთი კვირაც იქნება საქონელი გარეკა მთაშია, დააცადე, იქნება მართლაც ჩამოგიყვანოს, — შეუძახა ლიზამ ნიკა პაპას.

— ჩამომიყვანოს კი არა, ჩემი ლამაზო დავიბრუნო, ის მირჩევნია.

გულიანად აკისკისდნენ მოხუცები.

— წადი, ნიკა, წადი! დროზე მიხედე შენს ლამაზოსა.

— ლიზა, გაიგე, ქალო, გუშინ პელოს რა უქნია?

— აბა, ვინ პელოსა?

— ჭიჭყინას ცოლსა, დედაკაცო.

— არა, არაფერი გამიგია.

— ამ ჩვენს პელოაანთ მარნის კუთხეში, ქაჯივით გოგო რომ დადის ჩვენს უბანშია, მიკუნჭულა ბიჭთან და ერთმანეთს კოცნიდნენ თურმე.

— ვინ გოგო, კატო!

— ვინა, ქაა და, აი, კინოს ხალხი რომ არიან ფილიპეაანთ ანიკოსთან.

— მერე, ქალო, მერე!

— მერე, ცოცხისთვის დაუვლია პელოს ხელი, თქვე გასაწყვეტნო, რა გული გამიხეთქეთ, დაიკარგეთ აქედანო.

— ესენიც იტყვიან სიყვარული ვიცითო.

— ეგ გოგო, მეც დავინახე, გუშისწინ, ვიღაც, ანლოკილ ბიჭთან ხელგადახვეული.



ეს რაღა იციან, დღეს ერთი უყვართ, ხვალ კი მეორე. თებროს შვილიშვილისა არ იყოს, ჩვენებიანთ თაფლოს ბიჭი უყვარდა, ბიჭი ახლა ჯარშია, გოგოს კი დაუკრავს ფეხი და გაღმურ ბიჭს გაჰყოლია.

— ეს, ლიზა, ლიზა გახსოვს, ქალო, შენი სიყვარული რა წმინდა და სპეტაკი იყო.

ლიზა ბებო, ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცი, უბანში, ყველასთვის, საყვარელი ადამიანი იყო. კოპტიად ჩაცმულს უყვარდა გარეთ გამოსვლა. ყველაფერი შავი ფერის ეცვა. კოჭებამდის შავ ქვედატანს ატარებდა. თვალები, ყოველთვის სათნო ღიმილით უციმციმებდა. განსაკუთრებით ახალგაზრდებს უყვარდათ, რომლებიც ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ ლიზა ბებოს საუბარს და, ხან, ცრემლიანი თვალებით შესცეკროდნენ და, ხან კი, მხიარულად კისკისებდნენ. აი, ახლაც, გარშემო შემოხვევიან, ერთმანეთს არ აცდიან შეკითხვებს.

ლიზა ბებია კი ეშმაკურად უღიმით და, ვინ იცის, მერამდენედ უყვება მათ თავის სიყვარულზე, — თან, თავის თავს დასცინის, ჭურა გამომლევია, მეც თქვენი ჭურისა ვხდებიო.

— ბიჭთან გავლა დიდი სირცხვილი იყო, შვილებო, რასა ჰქვიოდა მის გვერდით გავლა, რომ დავინახავდი თვალებში ვერ ვუყურებდი. მალულად გვიყვარდა ერთმანეთი.

ერთხელ, გიორგობაზე ვიყავით, გახსოვს კატო, შენც იქ იყავი, სამჯერ დამიკრა თავი საცეკვაოთა, მაგრამ, რა გადამიყვანდა, დედაჩემი შორიდან მიბრიალებდა თვალებს. მეორე დღეს, ჯარში მიდიოდა, ჩემი სახლის წინ უნდა ჩაევლო, წამოვიგდე მხარზე კოკაი, ვითომ წყალი უნდა მომეტანა, მის დასანახად კი მივდიოდი. მართლაც, შემხვდა და მითხრა: ლიზა, ჩემს მოსვლამდის ნუ გათხოვდებიო. ეს იყო და ეს ჩვენი საუბარი. საცოდავს ნიკოლოზის ომმა მოუსწრო და აღარ დაბრუნებულა.

მე რა გამათხოვებდა, დედაჩემს ძალით რომ არ გავეთხოვებინე. ქმარიც მყავდა, შვილებიც, მაგრამ მაინც ის მიყვარდა. დღესაც ისევ ისე მიყვარს, ოთხმოც წელს



**ზაირა  
მილელი**

გადაცილებულ მოხუცს.

მოხუცს თვალზე ცრემლი მოერია. უნინ, შვილო, სიყვარული მტკიცე, სპეტაკი და ურყყვი იყო.

გარშემო მყოფ ახალგაზრდებსაც მოხუცთან ერთად სევდა მოეძალათ. უხალისოდ წამოიშალნენ და კინოს გადამღებ ჯგუფს დაედევნენ.

— ლიზა, არ უყურებდი გუშინ, თამარაანთ ეზოში, კინოს ხალხი რომ ირეოდა, იმ ერთ ქალსა და კაცსა ბარემ ორჯერ აკოცნინეს ერთმანეთსა, მზისით, დღისით, ამდენ ხალხშია.

— შენ დამიფარე, ღმერთო! რას არ გაიგებ, რას არ დაინახავ, მერე და, მთელი უნის ბალლაუჭობა სულ იქ იყვნენ, დაცეკვეტილები უყურებდნენ და სწავლობდნენ.

— ერთი, თედოაანთკენ გაიხედე, ლიზა, ის გოგოა, პელოს რომ დაუფრთხია.

— გოგოა თუ, ბიჭია, დასწყევლა ღმერთმა, შარვალი აცვია, თმები ბიჭივითა აქვს გაკრეჭილი.

— გაჩიტმდი, მოგვიახლოვდა, არ გაიგოს. თითქოს, ფეხშიშველა იყო და, რაღაც რეზინებს მიაქლასუნებდა.

— ეგ კი არა და აბა, ზურგზე შეხედე, სულ, მოშიშვლებული აქვს, ღმერთო, ეს რა დრო დადგა, ნახევრად შიშველები დადიან, უნინდელი დრო, ხომ, არ არის, მაშინ, როცა ფართალი არ იშოვებოდა, ჩვენ, ასე არ დავდიოდით, ამათ რაღა ღმერთი უწყრებათ?!

მართალია, რა დრო იყო უნინ, სიმინდს, ხორბალს, არაუს და რას აღარ ვცვლიდით, ხოლმე, ფართალზე, რამდენ შალებსა ვქსოვდით. თბილისს ჩაგვქონდა, ჩითზეც რამდენი გაგვიცვლია.

გახსოვს? ერთხელ, გიოს, ერთი, დიდი შალი რომ მოპარეს კინტოებმა საბურთალოს ბაზარზედა. გიოს, თურმე, გაშლილი აქვს თამარას მოქსოვილი შალები, მერე, რა კარგი შალების ქსოვა იცოდა. მისულა სამი კინტო, ერთს გიოსთვის თუშური ქუდი მოუხდია. ძიავ, ეს ქუდი შენიაო? წადით, შვილო, წადით აქედან, უთქვამს გიოს. ერთიც, მართლა წასულა, იმის შალიანადა, მერედა, როგორი გაჭირვება იყო.

მგზავრობა, ხომ, ყველაზე ძალიან ჭირ-





და, ძირითადად, მატარებლით დავდიოდით. უკელას, ერთნაირად, უჭირდა მაშინ.

— გამარჯვობათ ქალებო!..

— გაგიმარჯოს ელო!..

— რა იყო, გოგო, რა ალიაქოთი შეეყარა უთენია შენს მეზობელ ოკნადაჯეს?..

— ჩვენი ქათამი გადასულა მაგის ეზოში და ქვეყანა შეყარა.

— ძალო, როგორ გვიანობამდის გენ-თოთ გუშინ შუქი, ჩემი მაზლი ხომ არ იყო ცუდად?

— არა, ელო, ფეხბურთს ვუყურებდი შვილიშვილებთან ერთად.

— ნეტავი, შენ, რომ მაგის გული გაქვს.

— რას ამბობ, ყიფიანი თამაშობდა, როცა ეგა თამაშობს, სულ ვუყურებ. თან, მშვიდათა ვარ, ვიცი, რომ ჩვენები მოიგებენ. ლიას რაღა გაუწყალე გული, შინ წამოდიო. ჩემი ნანი თავის კურსელებზე უყვებოდა და სიცილით კვდებოდნენ.

— იმიტომ ვეძახოდი, რომ ტელევიზორში კიკაბიძე მღეროდა, ვერ გავაგონე. როცა სახლში მოვიდა, ძალიან წანობდა, ვერ გავიგე რატომ მეძახოდიო.

— ელო, რა ჰქენით, მართლა, ის ჯაბახანა მანქანა გაყიდეთ, თუ, ვერა, ვერ მოაწონეთ ვერავის?

— გუშინაც იყვნენ მყიდველები, შევედი ოთახში მაგის გრუბუნით მობეზრებული და ჩემს შვილს ვუთხარი: შვილო, ოღონდ, ეგ ჯაბახანა მოგვაშორონ და, თუ, გინდა უფასოდ წაიღონ-მეთქი. თვალები გადმომიბრიალა ჩემმა შვილიშვილმა, ის დიდი ამბით ანონებდა. ეხლაც იმ ჯაბახანათია წასული ბიჭი, გული მისკდება, ან, როგორ დადის, ის სვიდანიები ხომ, ერთნაირად, ულაყლაყებს.

— სიდენიები ქალო, სიდენიები.

— ოჲ, კარგი, ქალო, ერთი, რაცა ჰქვია.

— გუშინ, ჩემმა პატარა ბიჭმა დიდკრანიანი ტელევიზორი იყიდა, იმხელაა, რომ ძლივს შეიტანეს ოთახში.

— დიდეკრანიანი ყოფილა, ელო, ჩვენსავითა.

— კარგად აეწყო შენი პატარა ბიჭიც, ობლად გაზრდილები გყავს, ჩემო რძალო, ოცი წლის გოგო დაქვრივდი, სამ-სამი შვილი დაგრჩა გასაზრდელი, შენი ქმარი სამამულო ომში რომ დაგეღუპა. პატიოსნად დასდე თავი, იმიტომაც გვიყვარხარ და გაფასებთ.

— აგერ, გაიხედეთ ქალებო, ტარაბაშვა

მოდის, მიწამ უყოს მაგას პირი, ეგ არის სიცოცხლის ლირსი? ქმარი გვერდით უგდია და, აქეთ-იქით დააცეცებს მაგ, მიწაში ჩასადებ თვალებს.

— არა, გენაცვალეთ, არა, უწინ სხვა დრო იყო, სხვა.

— აჲა, ბაბეც მოდის და დაიწყებს კრუსუნს, რა, ჩვენსავით საქმით არის დალლილი, რა ზარმაცი დედაკაცია ქაა, მოსწყდა მაგას წელი. გუშინ ჩვენი ბალლებისთვის დაულაგებინებია სახლი. იმათ რაღა იციან სახლის მოვლისა. მერე, ჭერუაშვილის კევები და ფერადი ძაფები მიუცია, იმ, უტვინო ბალლებს მეტი რა უნდოდათ?!..

— ქმარი, ეს, ჩვენი მაზლი, ეგეთი ყოჩალი რომ არა ჰყავდეს, რა ეშველებოდა ნეტა? როგორი ყოჩალია, ბარემ, ათი კაცის გასაკეთებელს აკეთებს.

— გამოსულხართ, ქალებო, მიკვირს მოგიცლიათ!..

— აბა, სულ, შენ ხომ არ უნდა იჯდე ამ სკამზედა?!

— დაჯე, დაჯე ბაბე და, ის ამბავი მოგვიყევი, ჩვენს მაზლს როგორ შეუცვალეს პატარძალი, — თან, იცინიან მოზუცები.

— ნეტა, ხუმრობის ხასიათზე არ იყოთ. ვინ მოიგონა პირველად, იმ ცეცხლმოკიდებულმა, ვითომ, სხვა ქალი დანიშნა და, მე კი წამომიყვანა. ის თეთრი იყო, შენ შავი ხარო. ჩემ ქმარს ეტყობა მაშინ მოჩვენება ჰქონდა.

— ეხ! საცოდაო, აბრამაანთ ქალო, სად დავბერდი.

— შენ, ის გვითხარი, რა ისმის შენს შვილიშვილზე, თბილისიდანა?

— რაო, ქალებო, უმაღლესში ჩაუბარებია.

— ჴო, ჩემმა ნანიმ თქვა, ასპირანტურაში ჩააბარაო.

— ენაცვალოს მაგას ბებო.

— გაიხაროს ბაბე, გაიხაროს, მართალია, ძალიან კარგი ბალლია.

— სწავლისათვის არის დაბადებული.

— აი, გიოც გამოჩნდა, ეტყობა თელავში იყო ჩემი მაზლი, ახალი გალიფე და ცარსკები აცვია.

— რაღაც, შექეფიანებული ჩანხარ, ჩემო მაზლო.

— ხო, ხელფასი ავიღე, ცოტა პივა და ხინკალი მივირთვი.

— გაგახარა ღმერთმა, ხელფასი აგილია, შენა ხარ ჩვენი უბნის ყულაბა.





– კარგად იყავით, ქალებო, კარგად, წავალ, ცოტას დავისვენებ.

– მეხი კი დაგაყარე, რომ ვეტყვი რა უყავი იმდენი ფული-მეთქი, სულ, იმ, ხინკალს და ბივას დააპრალებს. იმ, ამო-სავარდნელთან კი მიაქვს. აავსო, თურმე, წაირ-ზაირი, ძვირფასი საკაბეებით.

– კარგი ძალო, დაწყნარდი, მაგისთანა ხასიათის კაცი, მეორე არ არის, როგორ პატივსა გცემს, ეგ, ერთი ზე აქვს, აპატიე. წატო შენზე უარეს დღეში იყო, მაგრამ, სიკო რომ მოუკვდა, სულ იმას ტიროდა: მი-პატიებია ყველაფერი, გენაცვალე, ოლონდ, არ წახვიდე, არ დამტოვოო.

– იმ დღეს, ქალებო, მურადა იყო ჩვენ-თან, – საუბარს განაგრძოსბს ლიზა ბებო,

– რა ენა აქეს, მაგ მაიმუნს, დაგვხოცა სი-ცილით. თავის პაპაზე ჰყვებოდა.

– გიო ვენახში ყოფილა, თურმე, ის, მო-მიჯნავე ლამაზმანიც გიოს ასმენს, თურმე: პიო, პიო, გადმო გიო, ვითომ, ინდაურებს ეძახის. გიო ვენახსა წამლიდა, თურმე, მის ხმაზე გიოს დაუწყია თვალების ცეცება და, თან, მიულექსია. დამაცადე, გენაცვალე, ჯერ, წამალი შევაფრქვიო.

– იმდენი ჯანი დაეწევას მაგას, – ცხარ-ობს თამარა ბებო, – რაც, ეგ, მართალი არ იყოს. მე გიოს მადლიერი არა ვარ, მაგრამ, ეგ, სულ, მაგ ეშმაკის მოგონილია, გაგიხ-არია, კინალამ არა სცემა, მაგხელა ბიჭს, თავის პაპამ.

– ამასწინათ, კლუბში, სცენაზე, თავ-პი-რი დაილენა. იმიტოა დაბინტული, მეზობ-ლის ხილს იპარავდნენ ბიჭები. ასეთი როლი ჰქონდათ. პატრონი გამოუდგათ, ამას ბოძი ვერ დაუნახავს და მთელი ძალით დას-ჯახებია, უკან, სცენაზე გადმოვარდნილა, ატეხილა ტაშის გრიალი, რა კარგად ითა-მაშე შენი როლიო. ეს კი, გამწარებული, ჩუმად იგინება, თურმე, სახლში რომ მოვი-და, დაგვიხეთქა გულები.

– კიდევ, კარგად გადარჩენილა, ძალო, ღმერთმა გაახაროს, კარგი ბალლია,

უფროსების პატივისმცემელი. ელო, შენ, ეგ, მითხარი, წანა სად არის, ორი დღეა არ დამინახია.

– ლიას დაბადების დღის შემდეგ, სულ, თავის ტკივილები აქეს.

– ექნება ქა, მაშ არ ექნება, რა წახა ჩემმა თვალებმა, რაც მაგან ღვინო სვა, რა კარგი თამაღლბა სცოდნია. გამაგიუს, ერთი კვირით ადრე დაიწყეს დაბადების დღე, არ დააცადეს გოგოს წესიერად სუ-ფრის გამზადება.

– ახალგაზრდები არიან, ძალო, ერთად შეიყრებიან, ხოლმე, და, მეტიც არ უნდათ. მონატრებულები არიან ერთმანეთს. ეს, ჩემ წანასაც ძალიან გაუგრძელდა თბილისში სწავლა.

– ძალო, შენმა ლიამ რა კარგი სიმღერა და ცეკვა იცის.

– ჰო, ელო, ენაცვალოს მაგას ბებო, ყვე-ლა ჯურასა ცეკვავს. რა, ტანი დაამძიმებს? გაჩხიკულია.

ხსენებაზე მოხუცებს თამარას შვილიშ-ვილი ლია წამოადგათ თავზე, ახალდაბანი-ლი, სველი თმით.

– აბა, ახლავე წადი სახლში, თორემ, დავუძახე დედაშენს, გოგო, ვის გაუგია, ეგრე, ყოველდღე, თავის ბანა და, გარეთ სიარული. ამ სიცივეში, გინდა მიტინგი დაიმართო. შე, თავგასახმობო.

– მიტინგი კი არა, მენინგიტი, ბებო.

– შენ, რაც გინდა, ის დაუძახე.


– ამ, საუბარ-საუბარში მოხუცებს ბინ-დი ჩამოუწვათ, საავდროდ გამზადებულ-მა ცამაც გამოიდარა; აქა-იქ, მკრთალი ვარსკვლავებიც გამოჩნდა.

– უი, დამიდგეს თვალები, როგორ დაბინდებულა, კრუხ-წიწილა კი არ დამი-ბინავებია.

– ერთი, მეც წამომაყენე, ელო.

– აი, გაგახარა ღმერთმა.

მოხუცები ერთმანეთს დაემშვიდობნენ, ნელი წაბიჯით თავიაანთი სახლებისაკენ გაეშურნენ ათასი ამბებით სავსენი.





ՀԱՅՐ  
ՊԼԹԵՐԱԳԵՐ

בְּרִיתָהָרֶבֶת

ქაში რომ ქუთდა,  
 დგებოდა ლამე,  
 რომ ვიდესი სახლის ზღურმლოთან,  
 ვყურები დაშვილ ჭერს.  
 ქარი ალარ იყო,  
 მავრამ წვიმდა,  
 წვიმდა,  
 წვიმდა,  
 წვიმდა,  
 და აქორდა ჟანთელს.

### 3. ጉባኤበያዊ

תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה

\* \* \*

შორს მოჩანს ეზო,  
ცარიელი,  
გაშიშვლებული...

მექანიზმის, სულში და იქით,  
სადაც ყვავილობს მიზოვებული,  
ნუში და ვაზი,  
სადაც ყვავილობს მტკიცნებული,  
უძინარი ფიქრი წარსულზე,  
და წინ ჩავლილი მოგონებები,  
ვავარებებე საით?

შორს ეზო მოჩანს,  
ცარიელი,  
გაშიშვლებული.

\* \* \*

პირველი იყო სიტყვა,  
მეორე კი ადამიანი,  
და მერე ყველაფერი გაიყო ორად,  
გამოჩნდა ცუდი,  
და გაირკვა,  
რა არის კარგი.

სიტყვების შემდეგ მზეც ამოვიდა,  
 და დაერქვა აღმოსავლეთი,  
 ადამიანი კი მხოლოდ,  
 იყურებოდა იქით,  
 და აღარასოდეს მერე,  
 არ უძებნია სინათლე,  
 სხვა მხარეს,  
 სხვა გზაზე.  
 და მაშინაც კი,  
 როცა ჩიმოწვებოდა ნისლი,  
 ან დაიწყებოდა წვიმა,  
 და დადგებოდა ღამე,  
 აიძლებოდა ქარი,  
 იყურებოდა აღმოსავლეთისკენ,  
 და შორდებოდა ღმერთს.



კარგავდა ღმერთს,  
და ფანტავდა დროს,  
რომელიც თვითონ გამოიგონა,  
დაიწესა,  
დაინაწილა,  
შეიზღუდა სამყარო მისი,  
შეიზღუდა ასაკი მისი,  
შემოაკრა ცხოვრებას ისე,  
რომ სურვილიც რომ ჰქონდა,  
საზღვრებს იქით,  
ვეღარასოდეს გამოვიდოდა.

ღმერთმა შექმნა ადამიანი,  
ამოვიდა მზე,  
და ადამიანს შეუქმნა თავისუფლება,  
რომ ის ყოფილიყო ცენტრში,  
რომ შექმნილი სიმარტივით,  
და მრავალფეროვნებით,  
მისივე ცხოვრება ჰქონდა,  
მხოლოდ მის ხელში,  
და ეს სამყარო მოექცია მხოლოდ მის ირგვლივ,  
მაგრამ?  
და დასვა კითხვის ნიშანი ადამიანმა,  
და გადაწყვიტა,  
რომ ამ სამყაროს აკლდა,  
მხოლოდ ერთი სიტყვა,  
რომ ყოფილიყო სრულყოფილი,  
და შექმნა სიტყვა „მაგრამ“.

ღმერთმა კი შექმნა ადამიანი,  
მაგრამ,  
ადამიანმა შექმნა პრობლემები,  
ადამიანმა შეიქმნა პრობლემები.

და მაშინ როცა,  
პირველი იყო სიტყვა,  
მეორე კი ადამიანი,  
ყველაფერი გაიყო ორად,  
გამოჩნდა ცუდი,  
და კარგი რა არის,  
ამაზეც ითქვა.

ამის შემდეგ კი ყველაფერი დაბრალდა ღმერთს.

\* \* \*

მესიზმრა,  
რომ ვიდექი სახლის ზღურბლთან,  
ვუყურებდი ცარიელ ეზოებს,  
ცარიელ სახლებს და წვიმისგან დამპალ ჭერს,  
ცაში კი ქუხდა,  
დგებოდა ღამე.  
არაფერი ყოფილა ისეთი მტკიცნეული,  
როგორც ქარის გაბრძოლება,  
როცა იპოვნის ხის გატეხილ ნაჭერს,  
შეიჭრება ბნელ სახლში და წლების წინ,  
ბოლოჯერ დაზთებული ცეცხლისგან დარჩენილ ნაცარს,  
არევს და არევს.  
დაივლის ყველა სურათს,





და კედელში მოქცეულ ლურსმნებს გამოაცლის უკანასკნელ საყრდენს,  
არევს წერილებს,  
გრძნობებს,  
ქალმა რომ სიყვარულს,  
თანხმობა უთხრა.

სევდიანია ჩრჩილის ხმაური,  
და იმ საწოლის დანებება,  
რომელზეც წლების წინ ადამიანებს,  
დალლილი სხეული მიეგდოთ,  
ყანა და თოხი გაედოთ მხარზე,  
აეღოთ მიწა,  
ეჭამათ პური,  
მიეგდოთ და ფიქრობდნენ  
– იქნებ, ხვალ ალარ გათენდება,  
ალარ ამოგა შემოდგომის მზე,  
ალარ შეიცვლის ასწლოვანი ვაზი,  
დამწიფებისკენ ფერს.

მესმოდა ქარის ზუზუნი დაუანგული თოფის ლულაში,  
ბოლო გასროლის ხმას რომ ჰგავს,  
და ალვიძებს სოფელს.  
გაივლის ტყეს და მიწვდება შორს,  
სხვა მიწაზე გარდაცვლილი ახლობლის გვამს,  
მის სახლში დასადგურებულ მარტოობაზე რომ მოჰყვეს.

მესმოდა,  
კერაში ალით გაშავებული ჭურჭლის ულარუნი,  
და ისეთი სუნი ასდიოდათ,  
როგორც ბებიაჩემის ბოლო ამოსუნთქვას,  
მეზობელმა ხმით რომ დაიტირა,  
და იგრძნო,  
სხეულიდან სულის გამოსვლა,  
იგრძნო,  
როგორ შემოუარა სახლსა და ეზოს,  
გულზე მიიხუტა ყველაფერი,  
მოეფერა,  
ისე, რომ მისი წასვლა არ გაძნელებოდათ,  
და სითბო,  
კიდევ ერთხელ ეგრძნოთ.  
ეგრძნოთ სიხარულის შეძახილი,  
როცა მე დავიბადე,  
და ბებიაჩემისა გაალო კარი,  
დაქვრივებულმა,  
შემოსილმა შავად,  
მიირბინა ჭიშკართან,  
და მთებზე აზიდულ,  
ბაბუაჩემის საფლავს ახედა,  
– ბიჭია, ბიჭი!  
და ატირდა.

ქარი კი შემოეკვრა მიტოვებულ წიგნებს,  
ფურცლებს შორის მოქცეულ მტვერს სიმშვიდე დაურღვია,  
და წაართვა ძალა ბევრის დაწერილ სიტყვებს,  
ბევრის დაწერილ რითმებს,  
ბევრის დატანჯულ ფიქრებს.  
მე კი მესიზმრა,  
ცაში რომ ქუხდა,  
დგებოდა ღამე,



რომ ვიდექი სახლის ზღურბლთან,  
ვუყურებდი დამპალ ჭერს.  
ქარი ალარ იყო,  
მაგრამ წვიმდა,  
წვიმდა,  
წვიმდა,  
წვიმდა,  
და აქრობდა სანთელს.

\* \* \*

მაშინ კი თოვდა,  
არაფერი არ ჩანდა ახლოს,  
საკვამურზე ჩამომჯდარა შავი ბელურა,  
ლამით სიომაც დაუბერა,  
მაგრამ ვერ გრძნობდნენ შრიალს,  
რადგან ოთახი ჩაკეტილა,  
როგორც ქვის კუბო,  
და თავზე ყვავილები ეხურა.

მაგიდა ცარიელი,  
მაცივარი ლმუის და ღმუის,  
მორჩენილი პურის ნაჭრები,  
დაცლილი ქილები ირგვლივ,  
გამზადებული პერანგი ხვალისთვის,  
და დატენილა ტელეფონიც,  
მწვანეა შუქი.

– მე წავალ იქით,  
შენ წამომყვები,  
მიგატოვებ ცოტახნით გარეთ,  
მერე სალამოს ჩაი დავლიოთ,  
ან თუნდაც ყავა,  
არ დაგავიწყდეს,  
რომ გათენება სჯობია ლამეს,  
სილარიბე კი, როგორც მოვიდა,  
ადგება,  
წავა !

დილით კი თოვდა,  
და ოთახი დაემსგავსა გამოთლილ კუბოს,  
კარს ამტვრევენ,  
ხმაური ისმის.  
ცხედარი ორი,  
და ბელურა გადაფრინდა საკვამურიდან,  
კენკავს რაღაცას,  
ქურდობს და ქურდობს.

\* \* \*

დავატრიალე,  
ჩემი ოცნება უკვე ალარ ჩანს,  
და მიიმაღლა ფერებსა და ხმებს შორის,  
ის კი ტრიალებს,  
გაუჩერებლად,  
ცვლის პეიზაჟებს,  
ნატურმორტებს,  
და ედემის ბალიც აყვავილდა,  
თოვლში გადარჩა,





დადგა ზაფხული.

დღეს მითოლოგია ავირჩიე,  
ვიმოგზაურებ მთებში ღმერთებთან,  
და მათაც შევთხოვ,  
იქნებ გაჩერდნენ,  
ისე დაეწყონ,  
რომ მათ შორის იყოს თანხვედრა,  
იყოს მანძილი,  
და განსხვავებაც ცოტა რომ იყოს.  
ისინი კი შეისმენენ,  
და ხანდახან ასრულებენ, რაც მითქვამს,  
მინდა,  
შეიძლება კი,  
ეს ჰგავდეს რამე სხვა გრძნობას?  
არა,  
და არა,  
უფრო მეტია,  
უფრო მეტი მოაქვს და მოაქვს,  
როცა პირჯვერის გადაწერა აღარ გშველის,  
არც ლოცვა არაფერს არ ცვლის,  
და ღმერთს სხვაგან ეძებ,  
რელიგიების,  
გრძნობების მიღმა.

მოაქვს,  
და მოაქვს,  
ვატრიალებ,  
ამერია რიცხვი და წელი,  
გარეთ ლამეა,  
მზე კი შიგნით შემომძვრალა,  
და უკვირს,  
როგორ შეიძლება დედამიწა იყოს ასეთი წელი,  
მე კი მივდიოდე ასე სწრაფად,  
ვტოვებდე უკან,  
შეურაცხყოფილ მშობელს,  
შეცვლილ მეგობრებს,  
რატომ არ ესმით?  
რომ მე ვარ ედემის ბალში,  
და როცა მინდა აფრიკაში ცხოველებს ვნახავ,  
აქ ცირკოც არის,  
და ამ ქალაქში რამდენი კლოუნი დადის,  
ყველას სახეზე ვცნობ.

ვატრიალებ,  
და არ სრულდება,  
დღე გადის,  
ლამე,  
ჩემი ოცნება უკვე აღარ ჩანს,  
მოაქვს,  
და მოაქვს,  
ვატრიალებ,  
მზე თავზე მადგას,  
გამოჩნდა მთვარე,  
ედემის ბალში დაიწყო წვიმა.  
თავს უკან გადავწევ,  
შეეწყვეტ ფიქრს,  
თორემ,  
რაც დავალაგე,  
ეს ფიქრები ყველაფერს არევს.



მარიამ  
ძაგუპაშვილი

როველამდე ერთი თვით ადრე ინუბოდა სამზადისი,  
რომელიც რიცხალს უფრო ჰქონდა. ყოველფლე ისმოდა  
მონიცონური ხმა, სათლით წყალს ჩასხამდა მამაჩემი,  
რომელიც ქვევრის ფაცის არ მტკაველზე მაინჯ ფარ-  
ავდა, ყალღებზე აქეთ-იქით ფეხებს მიანჭენდა, ამავ-  
ლებდა კრძაბნის უხეშ რგოლს და ხეხავდა გამეცერით  
შემუქებულ თიხას. რეზედას რომ მორჩებოდა, დაგვიძახ-  
ებდა, სათლით ამოვგანვდიდა ნარეხს. ამოსული ხაპირით  
აგრძელებდა ნარჩენი ფუფუიზი წყალს ამოვრის. ხვალ  
ივივი...

### ၃. င်ဆိုသူ့အနံဒါဂြိုင်



ჩემი სახლი

ლამე თავისი ბნელი ფრთებით შთანთქავს უამრავ სილამაზეს, ხმებს ძილის საკანში გამოკეტავს, მთვარეს დარაჯად დააყენებს. იგიც, დინჯად მიცურავს. ციც თვალებს ჩრდილებს შეფარებული წვრილმანიც არ გამორჩება. მეც მამჩნევს ფანჯარაში უძილობით გატანჯულს, თვალმოუშორებლად რომ უცექრ, ბეთჰოვენის უბადლო შედევრის უხმო ღილინით მივაცილებ. უცებ, შემთხვევით წამოდებულ ღრუბლის ნაფლეთს გულს გაუნათებს, ნაპირს ძოვირი ცხლილ ქობად შემოვლება.

ლამე ხევბს მწვანე სამოსზე შავ ლაპადას წამოაფარებს, ძაძით შემოსავს. გარეგნულად პირქუშია, მდუმარე, მაგრამ, წამართმევს თუ არა თავს ძილი, დღესავით მეტყველი ხდება, რალაცას ჩამჩრეულებს. თუ ვერა გააწყო, სიზმარს მიგზავნის, მისი ენით მესაუბრება, თითქოს, ცდილობს სწორი გზა დამანახოს, მაპოვნინოს გასაღები ცხრაკლიტულისა, მთელი ცხოვრება გაღებას რომ ვცდილობ. ნანატრი რეალობად უქცევით თავის სამყაროში.

დღოდადრო დარდი შემომაწვება, რაღაც  
მაკლია. მრჩევლად ლამე მევლინება... მეღვი-  
ძება, ყურს უუგდებ ხმაურს ფანჯრის მიღმა. უ-  
ვარსკვლავო ციდან მონოტონურად ეშვება  
წვიმა. წვეთების წკაპაწკუპი თბილ, საოცარ  
მუსიკად მეღვრება სულში. რაღაც შორეულს,  
შეუდარებელს, მონატრებულს მახსენებს. ჩემი  
ცხოვრებით არც ისე უკმაყოფილო გახლა-  
ვართ, მაგრამ ვგრძნობ, საჭიროა, რომელიდაც,  
ყველაზე სანუკვარი, ამოუკეში უფსარულის-  
გან მონიჭებული ტკივილი დავიამო. ეს ტკივი-  
ლი ჩემი ძველი სახლია და მასში გამოკეტილი  
უმანკო ხანა სიცოცხლისა, მოუშუშებელი იარა  
ნოსტალგიისა. სწორედ, ეს ჩამაგონა, ერთი  
შეხედვით, უნდო და პირქუშმა ლამემ. მალე  
გათენებას მპირდება, – საშინლად მომინდა ჩემი  
ძველი სახლის და სიზმრადეცეული წარსულის  
იმ სამყაროში გახსენება...

მძიმედ დამემორილა ეზოს კარი, შემოტრი-  
ალდა და ყრუ უღრიალმა, ყურში უსიამოდ მოხ-  
ვედრილმა, ტვინში, თითქოს, გამკანონა. უხეში  
ზამბარა ოდნავ დაიჭიმა... ტანი ძლივს შევტიე  
შიგნით. საკიდი შეჟანგებულა. წვიმა მალამო-  
სავით ედება, ხმა უმშვიდდება, მაგრამ, იცის,  
ეს, გათავისუფლება ტკივილისგან დროებითა,  
ჩასაფრებული ქარის ფრთა უცებ შეაშრობს. ეს  
მზეც სხივებით უძრება სხეულში, სახსრებს  
გამოუშრობს. უანგის წინანდელზე სქელი ფენა  
უჭამს ორგანიზმს. მეტი ტკივილისთვის შემზა-  
დებული მორჩილად ელის პატრონს ან სტუ-  
მარს. ალარც კი ვიცი, პატრონი ვარ თუ სტუ-  
მარი. აქ გატარებულ ცხოვრებაზე ორი იმდენი  
იქ ვიცხოვრე, რომელიც ნებით თუ უნებურად  
ჩემს საკუთრებად გადაქცეულა...

ბრონეულის ძირს დახრილ ტოტებს დავალ-  
წიე თავი და იქვე, ფესვებთან, დაპალი ონკანი  
მოვატრიალე. ჭავლი ჩხრიალით დაეცა ქვემოთ  
შედგმულ ემალის შეჭუჭყულ ჯამში ფსკერზე  
ნალექმოვალებულ წყალს. შეიმღვრა, ატივტივ-  
და უნვრილესი ნამცეცები მინის, ხის დამბალი-  
ქერცლი, ხმელი ბალაზის დაქუცმაცებული ღე-  
როები. ზედაპირზე მშვიდად მოლივლივე, რამ-  
დენიმე თავსა და ბოლოში ნაწვეტებული ფოთო-  
ლი ჯამის კიდეზე რომ იყო მიწებებული, უცებ,  
ტალღის თავზე მოექცა და სწრაფად შეერია აქ  
დატრიალულ აურზაყრს.

ჩაჭერებით მავთულის ბადის ზემოთ, მეზობლის ეზოდან გადმოკიდებულა გაბდღვრიალებული ვარდები. უტიფრად მომჩერებიან. აშკარაა, ვერ მიცნეს, აკი, ამდენი ხანია არ ვუნახივარ. მაშინ, მხოლოდ, მკვრივად შეკრულ კოკრების კოლოფებში გამოკიტილიყვნენ.

დღოს გამოუზრდია ლობის ძირში დარგული სუსტი ღეროები. გაჯირვებულან, ლამის ხეებად არიან ნაქცევნი. ხარბი ფესვების წყალობით საზრდო არასოდეს მოკლებიათ, თვალგაუვალი კედელი სუროსი მწვანედ ხასხასებს ტყავის-





მაგვარი პრიალა ფოთლებით. საცეცებით შემოუსალტავს ლონიერი, გაფშევილი დეროები ქლივის ხისთვის. ზემოთ მიიწევს, ლამის ასცდა კიდეც კენწეროს. სხეულს უღრღნის, სულს უნამლავს. ყოველდღე იმატებს ძალ-ლონებს, ივსება, იბადრება. თითქოს, უნდა ყველაფერი თავის უძლიერეს „მკლავებში“ მოიქციოს, მათი სიცოცხლე მიისაკუთროს. ყვავილებთან რა საქმე აქვს, მის ფერხთით რომ გაშლილა, მათ არსებობა-საც ვერ ამჩნევს. რად უნდა ეს საოცარი სილამაზე, მხოლოდ

მაღლა, უსასრულობისკენ მიიწევს. თუმცა, ამ ხარბს, თითო საცეცი, ყოველი შემთხვევისთვის მაინც გაუწვდია მათკენ.

მაგრამ, ვაი რომ მუხთალია წუთისოფელი. როდის, ვისთვის უპატიებია ქედმაღლობა. ერთი ხელის მოსმით მოუმსხვრევია მძლავრი ფრთხები, მიწაზე დაუნარცხებია ცამდე ხელმინაწვდომი. ასეა, ჩემო კარგო, სიკეთეს არ მოგიტანს უარყო ამქვეყნიური უბრალოება... მყენებს გადაგიჭრიან, ფეხსზე წამოზრდილი ყლორტებიც იგივე ბედს გაიზიარებს... ხომ გაფრთხილებდი, ეს დღეც დადგა... ქუჩის მტვერივით გაიფანტება შენი ამპარტავნობა, უსულო სხეულის ნარჩენები კი იმ მინის საკუთრებად იქცევა, ვინც გშვა და სიცოცხლეს გაზიარა...


ბილიკს ზემოთ მივუყვები. მის გადაღმა ყვავილების იისფერ-წითელი არშია ბალური მაყვლის ეკლიან ბარდამდე ასდევს, რომელიც კვახენაყოფიანი კუნწულებით დახუნძლულა, აქა-იქ გვირგვინის თეთრ-ვარდისფერი ფურცელი შერჩენია. დახრილა სიმძიმისგან ძირში მოდებულ მწვანე ბალახის ხალიჩაზე. უკლის მსხვილი დეროები, პირდაპირ, ნაკადულიდან ამოუტყორცნია, მის ფესვებთან მხიარულად რომ მილიკლიკებს.

ფართოდ გაუშლია ტოტები კარალიოქს. ფოთლების ღია სიმწვანიდან შავად გამოიცქირება შარშანდელი, გამხმარ-გაქვავებული, დაშაშრული ნაყოფი. კომშის ციდა ყვავილიდან ახლად გამოსული ნასკები კი მაღე ყვითელ, დიდრონ სურებად გადაექცევა მის ახალგაზრდა, ჯან-ღონით საკსე სხეულს.

თალარის ძირმსხვილ ვაზებს ტირილი მოძეზრებიათ, კვირტიდან ახლად მოვლენილ სიცოცხლეს მზრუნველად უნდინ მინის გულიდან ამოქაჩულ სასიცოცხლო წვენს...

ეს კი სახლია, ჩემი ძველი სახლი...

პირველი სართულის სქლად ბეტონდასხ-მულ, ვიწრო მოედანს შევავლე თვალი. სუფ-თად დაგვილ ზედაპირს ნათლად ეტყობა აქა-იქ



**მარია  
ძავაკაშვილი**

ნაბზარ-ამოტეხილები. ეს, სულაც არ მიშლის შევიგრძნო ის სიმშვიდე და რაღაც შორეული შეუცნობელი ტკბილ-მწარე აურა, რომელშიც სწრაფად ვევევი, გრძნობა, რომლის გაფლერება, მიუხედავად მცდელობისა, ვერასოდეს მოვახერხე. მას სიტყვით ვერ გადმოსცემ, უნდა შეიგრძნო. მგონია, ის ყველა ადმიანში თანაბრად დევს – უქონელია თუ ცხოვრებას მისთვის დაუბერტყავს ბარაქის კალთა. განათლებულია თუ მხოლოდ იმის მცოდნე, ყოველდღიური საჭიროება რომ მოითხოვს. ყველას აქვს თავისი სავანე. არც მას აქვს მნიშვნელობა,

სახლია თუ სასახლე. ადგილი, სადაც საკუთარი ჭერი გახურავს, სადაც არავის მევალედ გრძნობ თავს, სადაც შეიძლება შეიგრძნო თავისუფლება მთელი თავისი სიდიადით, ყველაზე მთავარი, რაც უფალს ადამიანისთვის უბოძებია, რის გარეშეც სიცოცხლეს ჩალის ფასიც არ გააჩინა.

კედლის ბათქაშს ჭერის სიახლოვეს ზოლად გასდევს დაღრეცილი, კიდეებდაებილული ფართო ნაპრალი. მუქი ლაქები ემჩნევა სიძველისა. ალბათ, ნესტიც არ დარჩენია ვალში, ადგილ-ადგილ სიფრიფანა ბუშტუკები წყლულოვან გამონაყარს მიუგავს. ცოცხის გასმა და კედლის საფარის ნაშალი ფქვილივით ეფინება ბეტონის მუქ საფარს.

ოთახის კარი დაკეტილია, სახლში არავინაა. გასალები ნაცნობ ადგილზე დამხვდა. კლიტეს მოვარგე და გადავატრიალე. დივნის კიდეზე ფაქიზადაა გადაფენილი გამოცვლილი საშინაო ტანსაცმელი, რომლის პატრონიც ჩემი უფროსი და გახლავთ. მარტო ცხოვრობს ამ უზარმაზარ სახლში, ჩემი ბავშვობის ბედნიერი ხანა რომ ჩასახლებულა და ოთახიდან ოთახში მსუბუქად დაფარფატებს აჩრდილივით. სქელი მუყაოს ხელსაქმის ყუთში მატყლის ნართით შებორბლილი თითისტარი და საქსოვი დევს. ქსოვა, სათაყვანო კერპი, ჩვენი ოჯახის ტრადიციას დღემდე რომ შემოუნახავს.

მეორე დივანზე სრული თავისუფლება სუფევს, ცარიელია და მოთმინებით ელოდება მოულოდნელად შემოსულ სტუმარს და სკამის მაგივრად ფუმფულა ჩამოსაჯდომს სთავაზობს.

მომცრო კარადაში, გასაწევი სქელი მინა რომ უნევს კარის მაგივრობას, ჩანს უამრავი საკითხავი მასალა: უურნალები, გაზიერები, მოსახევი კალენდრის ფურცლებმოკლებული ეგზემპლარები, კროსვორდები შევსებული და ნახევრადშევსებული, აქვეა კალმები, ფანქრები. ეს კარადის მხოლოდ ნახევარია. მეორე მხარის შიგთავს ხის, ასევე, გასაწევ-გამოსაწევი კარი „იცავს“ თვალისგან. აქეთ სქელტანიან ძველ



ჟურნალებს ნახავთ: „ცისკარი“, „ხომლი“, „გან-თიადი“. მოქლედ, ყველაფერია, რითაც სულს მეორედ, მესამედ... მეათედ შეგიძლია მიანიჭო სიამოვნება. ყოველი შემდგომი წაკითხვისას ახ-ლებურად, სხვა კუთხიდან შეხედო ცხოვრებას, გააცნობიერო სიცოცხლის ნამდვილი, საოცარი არსი...

ტელევიზორის ჩამქრალი ეკრანის სიღრმე-ში სუსტად ისარკება ავლადიდება ოთახისა, კედელთან მჭიდროდ მიდგმულ ხის მაგიდაზე, მხოლოდ, რამდენიმე ყველაზე საჭირო ატრიბუ-ტი დევს. სამ რბილსაჯდომიან სკამს მის გარშე-მო, საზურგები მოუჩანს...

შენ რომ არა, იქნებ, ცხოვრება უფრო ბედ-ნიერი ყოფილიყო. ყოველ წამს აუღელვებლად გვახსენებ მის ამაოებას, დროს მიარბენინებ. სად გეჩქარება?! ისრების საცეცებში იხვევ და ისედაც ულმობელ ჟამს მეტად დაუნდობელს ხდი. წამების ამ საძაგელ ისარს ყოფინის თავ-ხედობა ხშირად შეგვახსენოს თავი მომაპეზ-რებელი ტიკტიკით, როდესაც დანარჩენები უდრტებინველად ინაცვლებენ ციფერბლატზე ადგილს, ვებუტბუტები კედლის საათს, პირდა-პირ, თვალებში რომ მიცეკერს, დივნის კიდეზე ჩამოჯდარს.

თუმცა, არ შემიძლია, მხოლოდ, გაკიცხვით შემოვიფარგლო.

ბევრჯერ, დარდით შეპყრობილს, მარტოობის წუთებში მხსნელად მომვლენიხარ. წყნარი, გამოზომილი ტიკტიკით შთაგიგონებივარ სიმშ-ვიდე ყველაზე დასაფასებელი რამაა. სწორე-დაც, შენი წყალობაა ყველა ნეგატივი უკან რომ რჩება. დადებით აურად მერტყმი, განმანყობ სრულფასოვანი სიცოცხლისთვის. მომეჩვენა, თითქოს, მცირე ხნით შეჩერდა, ყური მომაპყ-რო, ალბათ, დიდსულოვნად მაპატია უმადურო-ბა.

ისე არ გამიგოთ, მხოლოდ, აპათიურობა, გულცივობა იყოს ჩემი სულის შიგთავსი, მა-გრამ, დროდადრო აუცილებელი ხდება თვალი მოვუხუჭოთ დაუმსახურებელ ტკივილს, ჩვენს გარშემო მყოფები რომ გვაყენებენ. ჰოდა, შენც იგივეს გირჩევ.

ასეა, ჩემო დაუღალავო თანამგზავრო ცხ-ოვრებისა. გეუბნებოდი, შენ რომ არა, იქნებ, ცხოვრება უფრო ბედნიერი ყოფილიყო მეთქი. ცივილიზაციისგან განებივრებული, მისთვის აუცილებელი ატრიბუტი ხარ და ამას ვერავინ წაგართმევს. თითქოს, ჩამილიმილა და გააგრძე-ლა თავისი უსანყისო და უსასრულო სავალი...

იდაყვით ძლიერად ვუბიძევ მარნის კარს. მართალია, ცოტა ძნელად იღება, მაგრამ ყურისნამდები ჭრიალით მიეჯახა კედელს. ოთახის სიბნელეში სუსტად იჭრება სინათლე ცხაურიანი, ვიწრო ფანჯრის მართკუთხედიდან, იმასაც მეზობლის ეზოში თითდაუდებელი მაღა-

ლი ბალახი და ლელვის გაბარდნილი ტოტები ახ-შობს. კაცის სიმაღლე ჭინჭარი, ჭინჭრის დედა, მოუვლელობით გაველურებული ყვავილები და ათასი ჯურის სხვა წვრილლეროიანი მცენარე ებლაუჭება თითოეულ გოჯას ნიადაგისა, რომ-ლის ქვემოთ ფესვები ხარბად იწოვს საკვებს, ზემოთ, კი, შთანთქავს ციდან მოვლენილ ტენს, სითბოს და სინათლეს. ხებს, კვლავ, გამოაქვს კვირტები და შემდეგ, ნაყოფით დამძიმებულ-ნი, დახრილი ტოტებით ელოდებიან სტუმარს, ხელგაშლილ მასპინძლობას პირდებიან, ის, კი, აგვიანებს...

ამ ყველაფერს აგვირგვინებს სახლი, ჩამო-ქცეულა პირველი სართულის, საცხოვრებე-ლი ოთახის ნინა კედელი. თითქოს, სცენაზე დეკორაციას უცექრ: ფეხებმორყეული ტახტი; დაბალი კარადა; მაგიდა უზურგო სკამით. რამ-დენიმე წლის ნინ რკინის რიკულებიან საწოლ-ზე გაშლილი, აუღაგებელი ლოგინი, რომელიც, თითქოს, ყოველლამე პატრონს ელოდება. მას კი სული უფლისთვის მიუბარებია. მარნის გისოსე-ბაკრული ფანჯრებიდან გამოცარიელებული თვალებით იცქირება სიბნელე. აშენებული წყ-აროს სახელურმოტეხილ ონკანში წყალი დამშ-რალა. გადაბრუნებული სასაპნე და ტანსაცმლის ჯაგრისი ფსკერზე ყრია. სარკმლის გისოსზე პირსაწმენდის დაგლეჯილი, ქარ-წვიმისგან და უანგისგან დალაქავებული მონახევი შემორჩე-ნილა.

ჩამოქცეულა მეორე სართულზე ამავა-ლი ხის კიბე და ბაქანიც თან მიუყოლებია. მოწყვეტილ სახელურს რიკულებით ნიავზე მსუბუქად მოლივლივე ბალახის სიმშვიდეში უპოვია სამუდამო თავშესაფარი. შუშაბანდის ამოტებილ მინებში ქარს გამოუფენია ჩამუქებუ-ლი ნაგლეჯები ფარდებისა, კონტრასტს რომ ქმნიან ოთახის სივრცეში, ჯერ კიდევ, შერჩე-ნილ სითეთრესთან. სახურავის კრამიტი კოჭ-ებთან ერთად ჩამონგრეულა. უპატრონობის ამ გულსაკლავ დუმილში თუ ყურს დაუგდებ, მხ-ოლოდ ჭრიოჭინების გაუთავებელ „ჭრი-ჭრის“ გაიგონებ....

ფანჯარას მოვცილდი. შეჩვეული თვალი ძალდაუტანებლად ალიქვამს მთელ ავლადიდე-ბას მარნისა. იატაკზე ბეტონია დამსკდარი. ჩაღმავებებში ჩამჯდარი პატარა ქვევრები ამაოდ ელიან ყოველ შემოდგომას. რანდენი ხა-ნია, ყელი ალარ ჩაუსველებიათ შუშეუნა მაჭ-რით. არც ამ, უზარმაზარ ქვევრს ადგას სიკეთე, აგერ, უკვე, მესამე წელია ალარავინ იხედება მისკენ. ჩარჩენილი ჭაჭა გამხმარა, ჩაშავებულა მტევნების ჩონჩხები.

რამდენი მოვლა გინდა, შე ბარაქიანო! ხალხმა გაიადვილა საქმე, პოლიტიკური დავი-წყებას მისცა მამაპური თიხა... მამაჩემი და ის დრო დამიდგა თვალწინ, ვენახი რომ ვენახობდა.





ამ მუცელგაბერილებს კი მოვლას არ აკლებდა გლეხი.

რთვლამდე ერთი თვით ადრე იწყებოდა სამზადისი, რომელიც რიტუალს უფრო ჰგავდა. ყოველდღე ისმოდა მონოტონური ხმა, სათლით წყალს ჩასხამდა მამაჩემი, რომელიც ქვევრის ფსკერს ორ მტკაველზე მაინც ფარავდა, კედლებზე აქეთ-იქით ფეხებს მიაბჯენდა, ამოავლებდა კრაზანის უხეშ რგოლს და ხეხავდა გამეტებით შემუქებულ თიხას. რეცხვას რომ მორჩებოდა, დაგვიძახებდა, სათლით ამოგვანვდიდა ნარეცხს. ამოსული ხაპირით აგრძელებდა ნარჩენი ჭუჭყიანი წყლის ამოღვრას. ხვალ იგივე...

ბოლოს, ყურძნის კრეფის დრო რომ დადგებოდა, გარეცხილ-გაკრიალებული ჭურჭელი ელოდა შემოდგომის დღის სიცხით და ღამის სიგრილით დამკრახული მტევნების ბადაგადქცეულ წვენს...

აი, ღვინო მაშინ იყო, მზის სხივი თაფლისურად რომ იმტკრეოდა ჭიქაში, ნატურალური და შემრგებელი... გადაიღებდა, ქოცოებსაც გაუნაწილებდა, ისინიც, არასოდეს ღალატობდნენ, მთელი წელი უვნებლად შეინახავდნენ მირონს დალოცვილი სითხის. აქ შემოსვლისას, ყოველთვის, მახსენდება ადამიანი, საქმიად მყარ ცოდნას რომ ფლობდა ამ საქმის. ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა თუ ვიტყვი, მისი ავანჩავანის საუკეთესო გამგები, მამაჩემი. ომგამოვლილ კაცს შესანიშნავად ესმოდა მშვიდობის და საყვარელი საქმის მშვიდად კეთების ყადრი.

მარნის ჭერის ყავისფრად ჩამუქებულ კოჭებს ზემოთ ზედა სართულის იატაკის ერთმანეთში მტკიცედ ჩამჯდარი ფიცრები, ჯერ კიდევ, იმედიანად ეყრდნობა, თუმცა, ხის მატლების ხერელები მომრავლებულა, ნაფეხის პატარა კრემისფერი გორაკები იატაკზეა ამობურცული. მსხვილი ლურსმნები ჯარისკაცული წესრიგით ჩარიგებულა კოჭებზე. აქ რაც ინახება, ადვილად მიხვდება ყურძნის კველა მოყვარული. დედაჩემი დილით ადრე, რთვლის დაწყებამდე, მოარჩევდა დაპრაზულ, თხელ მტევნებს, რომლებიც უფრო დიდხანს ინახება, ვიდრე კუმსი, წვენით გატიკნილი უხვი მარცვლები. ძაფზე აკინძულს, მცირე ნანილიდან გამონასკვლი ყულფით კიდებდა ლურსმნებზე. გრძელ-გრძელი ჯაგნები ცოცხლად გადაიტანს გრძელ ზამთარს. მორჩენილი, წვენისგან დაცლილი დაჩამიდება ყავისფრად...

ყრუ კედელზე, მინაშენ ცემენტის ვიწრო მოედანზე მინის ოცლიტრიანი, ათლიტრიანი მოწნული და შიშველი ბოცები ალაგი. ცარიელია, დამტვერილი. აღარ იწურება ყურძენი, ვენახი გავერანდა, რამდენიმე ვაზის იმედზელაა დარჩენილი. ადრე კი, დასანმენდად ჩასხმული, დაღვინებული მაჭარი ყელში აწვებოდათ, შუშე-

უნებდა, მოშვებული სახურავებიდან ამოდიოდა გაზის ბუშტულები, შემდეგ თანდათან წყნარდებოდა... ტევა არ იყო, დასადგმელი ადგილი არ კმაროდა.

ბიჯგებით გამაგრებული ვიწრო, გრძელი თაროები მთელ სიგრძეზე გასდევს კედლებს. ალმოსავლეთის მხარეს კომპოტის ლითონის სახურავმორგებული ქილები, მწნილები, დაკონ-სერვებული ბოსტნეული ჩარიგებულა. დასავლეთით, ქვევრთან გამოსაყენებელი ატრიბუტები: ხაპირი, ჩანგალი, სარცხი, აყირო გოგრის გულ-გამოცლილი სახელურიანი ჭურჭელი. კრაზანისგან შეკრული რგოლი. აქვე დაგას, ძველისძველი, მოზრდილი ხის გახუნებული ცისფერი ყუთი სამეურნეო იარაღებით. ამ მხრივ დიდად არაფერია შეცვლილი. მარანი ბნელი ფანჯრებით უკავშირდება ორ ტოლ ოთახს, რომელთაც საცხოვრებელი დანიშნულება აღარ გააჩინა...

მარმარილოს კიბემ მეორე სართულის აივანზე ამიყვანა. სამეზობლო ღობის არქონის გამო, ზემოხსენებული ჩაქცეული სახლის ეზოში მოდებული ბალახი, თოთქოს, ახრჩობს ხავერდის უსუნო ვარდის ყელყარყარა ბუჩქს, ჩემი სახლის კედელთან რომ ატუზულა. უამრავი კოკორი გამოუტანია და მთელი სიმძლავრით ყვავის, კაშკაშებს, თითქოს, ცეცხლი უკიდია. მოლოდინის იმედით აქსებს ამ გაველურებული შემოგარენის ბინადრებს, მრავლადა თხილის გაბარდული ბუჩქები, კალები, თუთის ხეები, ქლიავის რამდენიმე ჯიში.

მცირე აივანი ვიწრო გასასვლელით უკავშირდება ფართო ნანილს, სადაც შემოდგომა იპერტყვას ხოლმე თავის ბარაქიან კალთას. რას არ ნახავთ: თხილი, კაკალი, სიმინდის ტარო, გოგრა, ლობიო. ქოთნებში წითლად და მწვანედ ღადღადებს ბულგარული წინაკა. აივნის ბოლოში, ფანჯრიანი კედელი, უკურნებელ ნახეთქს თავიდან ბოლომდე გაუბზარია და სახლის მთავარი ნანილისთვის ჩამოუცილებია.

სახლში შესასვლელ კარზე თეთრი საღებავი აქერცლილა. ვიგრძენ, როგორ დაემორჩილა კლიტე გასაღებს, ორჯერ რომ გადატრიალდა ბუდეში...

ფართო ფანჯრებიდან შემოსული დღის სინათლე მწვანედ ეცემა შეღებილ კედლებს. ჭერზე ლამფა ფიცარია მიკრული. შესანიშნავი პრიალა იატაკი, თითქოს, გუშინ დაუგიათ. ავეჯი ძველი წესრიგითა განლაგებული. თხელი ფარდები შუქს არ აკავებს, მაგრამ ოთახის კუთხეებში მაინც დაბორიალობს მთელი დღე ბინდი. ხან ერთი ჩაბნელდება, ხან მეორე, მზე თანაბრად ვერ იმეტებს სხივებს...

მივიწყებული სურნელის გახსენება სინანულს მგვრის...

ვიცი, ვინც მომეგებება სახლში შესულს, იმდენი ხანი ჩემი ცხოვრებით რომ ცხოვრობ-





და, მე კი მივატოვე, უგულოდ გამოვუკეტე კარი და გულნატკენი, მარტოდმარტო დავტოვე ამ უზარმაზარი სახლის ბინდბუნდში. ვერაფრით შევაჩერე წლები, უბელო ცხენივით რომ გაჭრილა დროის უსასრულობაში, თუმცა, ხშირად ვიხსენებ ამ აუნაზღაურებელ დანაკარგს.

ვიცი, ვინც მომეგებება, ამდენი ბედნიერი წუთი რომ დავყავი მასთან ერთად. ყურძი მიღგას უდარდელი სიცილ-კისკისი კედლებიდან არეკლილს, ღია ფანჯარში რომ მიერეკებოდა და ეზოებს მოსდებდა ქარაფშუტა ნიავი, ფარდის უკან რომ დასაფრებულიყო.

ვიცი, ვინც მელოდება, ოთახიდან ოთახში რომ დაბორიალობს, ყოველდღე მექებს იმ იმედით, ოდესმე რომ დავბრუნდები. და აი, აქ ვარ, მასთან, მისი სიხარულით ვხარობ.

ვიცი, ვინც დამხვდება. დიახ, ვისთან ერთადაც მწვანე მინდორზე წამოკოტრიალებული ქათქათა ღრუბლების ცელქობას ვადევნებდი მზისგან მოჭუტულ თვალებს და ვოცნებობდი მათ ფიმფულა ქვეშაგებზე ნებივრობას.

ვიცი, ის დამხვდება, ერთად რომ დავგვრებოდით სახლის სახურავზე, რათა დავმტკბარიყავით თავისუფლების და სიმშვიდის მთელი არსით.

ვიცი, ის იქნება, ვისთან ერთადაც მერხზე წამოსკუპებული ვიძენდი იმ უზარმაზარ სიმდიდრეს, ცოდნა რომ ჰქვია და სიყვარულით შევცეროდი მასწავლებელს, მისი თვალებიდან ხომ მე გამოვიცექირებოდი.

ვიცი, ვინც მომეგებება, კიდევ ერთხელ რომ ვისმენდით, შემჩიამდგარ თვალს არ ვაცილებდით მეზღაპრეს, როცა დევი ებრძოდა ტანჩია ნაცარქექიას, გველებაპი წყალს ეპატრონებოდა და იტაცებდა მზეთუნახავს, ცეცხლს აფრევევდა დრაკონი... შემდეგ, ჩვენი საყვარელი გმირების გამარჯვებით გახარებულები ვიყავით, ნაცარქექია, ცისკარა, ხუთკუნჭულა...

დიახ, ეს ჩემი ბავშვობაა და ადგილი, დატვირთული ბარაქით უდარდელობის, სიხარულის და სიკეთის, სადაც სიჩუმე ისეთი მეტყველი დამხვდა, როგორც წარმოთქმული სიტყვა...

ღია ფანჯრიდან გაფრენილი პატარობის აუხდენელი ოცნებები ასკდება მინას, ოთახში შემოსვლას ლამობს. ახლა, როცა შემიძლია ავისრულო, სარკმლის მიღმა დარჩენილა.

თუმცა, თქვენ ხომ ფრთები გაქვთ, ზღუდე გადაულახავი არ არსებობს. თუმდაც ახდეთ იმ ბედნიერებას ვეღარ მომანიჭებთ, გაჯერებული რომ იქნება სურნელებით და ნექტრით, ხმაში ნალველი დავიჭირე.

მშვენივრად ვგრძნობდით თავს, ჩემო ბავშვობავ. ახლა, როცა წლებმა სასტიკად დაგვაშორა, სხვა ქარმა დაუბერა, ცხოვრებამ სხვა სურვილები აღვიძრა. ისინი ისეთივე ძნელი ასასრულებელია, როგორც მაშინდელი, იმ-

დროინდელი უმანკო და შეუბლალავი. სინანული მერევა გაბზარულ ხმაში...

დავიღალე, ორომტრიალმა სიქა გამომაცალა, დასვენება მჭირდება. ერთადერთი თავშესაფარი, სადაც შეიძლება განზე გავდგე, როცა დარდი გულს გამისიებს და ცხოვრება ისეთი დავინახო წარმოდგენაში რომ ვხატავდი, ბავშვობისეკენ მიმავალი ბილიკია, რომელიც არასდროს უნდა დაივიწყო. იოტისოდენა ბრალიც არ მიგვიძლვის ამ დაშორებაში, ყველაფრის ჩამდენი დროა, ზღაზვნით რომ მიდის, თან მიგვიყოლებს. დედის მუცელშივე გადაუწყვეტია ჩვენი ბედი და ამას შეგნებულად აკეთებს ყოველგვარი უხერხულობის გარეშე. თუმცა, გვაზიარებს გავლილი გზიდან მცირე მონაკვეთს, რომლისთვისაც არ ვნანობთ და განმეორებითაც მოვევლინებოდით ამ საშიშ, იდუმალებით მოცულ სამყაროს. ეს უბედნიერესი ხანაა, სანამ ცხოვრება მოგვანიჭებს ყველა ნეგატივს, უხვად რომ იქრტყავს კალთიდან.

გაუხეშებული თხელი ფარდა პეშვში მოვიგროვე, ხმაურით გასრიალდა რგოლებზე ცალმხარეს. ფანჯარა ფართოდ გამოვალე, მთებს გავხედე. ფირუზისფერ ცის ფონზე კავკასიონის თოვლით გადაპერტილი მწვერვალები თეთრად ქათქათებს, თუმცა ფაქიზად, თითქმის შეუმჩნევლად დაკრაგს ცისფერი. რამდენიმე ფუმფულა ღრუბელი მის ზემოთ უძრავად განწოლილა, ყინვის სამეფოსთვის ჩრდილის სიცივეც დაუმატებია. მზერა აიგნის მოაჯირზე გადმოვიტანე. ნაცრისფერი მტრედი შემოჯდა, წონასწორობის შესანარჩუნებლად აფართქუნებული ფრთების ქვემოთ ღინდლი გამოუჩნდა. სწრაფადვე დატოვა აქაურობა და მეზობელი სახლის სუხრავზე თანამომების გუნდს შეუერთდა.

ტალავერის გრძელი, სახლამდე მოლწეული ვაზი მაღალი ღობის კიდეზე შეუჭრიათ, გამხმარი ლერწი გასახეივნებლად გამოჭიმულ მავთულზე უსულო სხეულითაა გადაგრეხილი...

შორეული, ერთმანეთში გახლართული ხმები სულს მივსებს მარტოობის სიმშვიდით...

ფრთხილად დაგულებულებულები ფანჯარა, ფარდა ძველ ადგილზე დავაბრუნე. სამყაროს ვწყდები და ვიძირები სენტიმერნტალურობის უსაშველოდ მოზღვავებულ ნაკადში...

აქ საძინებელია... პირველი, რაც თვალში მხვდება ჭერიდან დაშვებული მძიმე ჭალია. ჩამრთველს ხელი ავკარ, ნამით მომჭრა თვალი ელექტრონის კაშკაშა შუქმა. ერთი ნაბიჯი წავდგი წინ, მომეჩვენა რაღაცის თუ ვიღაცის ლანდი. შევერთი, მიუხედავად იმისა რომ მოჩვენებების არ მჯერა. მივიხედე, საკუთარ თავზე გამეცინა, როგორ არ მომაგონდა, სამფრთიანი სარკიდან სამი მე შემომცერის, ჩემს ყველა მოძრაობას იმეორებს საოცარი სიზუსტით... მარტო ვარ, არავინ მხედავს. სიანცემ მომიარა, თამაშის





გუნებაზე ვდგები, როგორც მაშინ.

გაილევიან თავის ნებაზე მიშვებული დღები, მაგრამ სამყარო, მე და შენ რომ შევქმენით, მარადიულობის სულით სუნთქავს. ისევ ისეთი ახალგაზრდა ხარ, წლები ლაქებად ჯერ არ ჩამჯდარა შენს უზადო სხეულზე. გიყურებ და იმ წარსულს ვხედავ, ცელქობით თავს რომ ვაპეზრებდით ერთმანეთს. კიდევ ხომ არ გვეცადა? მე თანახმა ვარ, არც შენ უნდა იყო წინააღმდეგი, სიღრმეში მიქნევენ თავს თანხმობის ნიშნად. ვიცი, პირველმა უნდა დავიწყო: თვალი ჩავუკარ, მათაც იგივე გაიმეორეს; ენა გამოვუყავ, იგივე; თმა შევისწორე, მათაც შეისწორეს; ნაბიჯი უკან გადავდგი, ვალში ხომ არ დამრჩებოდნენ; მალლა შევხტი, იატაკს შევხეხე თუ არა, სამივე მეს, თითქოს შეაკანვალა. იატაკი შეტოვდა, შებარბაცდა სარკე. მის შორეულ სიღრმეში ოთახის მთელი ავლადიდება აცახცახდა, ატორტმანდა. თვითონაც ძლივს შეიკავა თავი რომ არ ჩამხმობილიყო პირქვე და ნამსხვრევები არ მოექცია უბოროტო, მაგრამ გაუაზრებელი ნამოქმედარი...

საწოლის ზემოთ ფართო სპარსული ხალის ორნამენტებს სიკაშკაშე არ დაუკარგავს, წითელი ჭარბობს, კედლების ცისფერ ფონზე ყაყაჩოებით აალებულ მომცრო მინდორს ემსაგავსება. ტანსაცმლის კარადის კარის ღრიჭოდან ზოლად მოჩანს შიგთავსი. აქვე ბინადრობს კასრში ჩარგული დახუნძლული ხე ლიმონისა. ძილის რა მოგახსენოთ და მთელი ამ დროის განმავლობაში ბდლვრიალებს ყვითლად, მწვანე ფოთლებიდან ნაყოფი ნათურებივით ანათებს...

იდუმალებას მოუცავს ის ერთადერთი, განსაკუთრებული ადგილი სახლისა. გონებაში კინოს კადრებივით იცვლება სურათები: აგერ, მოჩაქჩაქებენ დონ კიხოტი და სანჩიო პანსა ქვეყნად დაგროვილი ამდენი ბოროტების დასამარცხებლად; რობინზონ კრუზო აქ მოხვედრილა უკაცრიელ ადგილას, ცივილიზაციისგან მოწყვეტილი მის შექმნას ცდილობს შეძლებისდაგვარად; აქვე სახლობს ანჟელიკა, ულამაზეს ქალს უგონოდ შეჰყვარებია მახინჯი, თუმცა ნატიფი სულის უფრე; ძუნი ბატონი გრანადე მცველად უდგას ცხოვრების მანძილზე დაგროვილ მილიონებს, საკუთარ ქალიშვილს კი სალამობით უფლებას არ აძლევს სანთელი აანთოს, ცეცხლში არ უნდა დაინვას ქონება, თუმცა ეს ფული მაინც პოულობს გზას სიკეთისკენ... და კიდევ, პეპი დაეძებს ფუსუსუნას; ჩიპოლინო კუდით ქვას ასროლინებს გულქვა დიდებულებს, საბრალო ალუბლივო კი შეუძლოდ გამხდარა მეგორებისგან უგულოდ მოწყვეტილი... ტევა არ არის წიგნების კარადებში. „განძის“ ამ ოთახში არასოდეს მიგრძვნია მოწყენილობა. სწორედ ამ წიგნებს ვუმადლი, საშუალება რომ მომეცა, ჩავწვდომოდი მშვენიერების შინაგან ბუნებას,

შემეგრძნო მისი მნიშვნელობა ცხოვრებისთვის; ბოროტებას სამაგიერო სიკეთით რომ უნდა მიუზღლო. ადამიანებს მიუტევო შეგნებული თუ უნებლიერ შეცდომა. აქვე უნდა ალინიშნოს, რომ შეცდომებზე გსწავლობთ. მას კი, რაც შეძლება იშვიათი ხასიათი უნდა ჰქონდეს, სწორედ ამას ჩამჩიჩინებენ ჩემი ჭკვიანი მეგობრები.

მზის ჩასვლის მხარეს ორი ოთახი ტყუპივით გავს ერთმანეთს. ერთი მათგანის ფანჯარა ბოსტანს უთვალთვალებს, მეორე ცივის მთის მოშივლებულ მწვერვალს, რომელსაც შემოვლებია მაღალი ხეების დაკბილული არშია.

ზედა მათგანის კარი ფარდულის მცირედ დაქანებულ სახურავზე გადის. რამდენიმე წლის წინ გოლიათი კაკლის ხე ჩრდილს არ აკლებდა, ხესტს უნახავდა, მუქი მწვანე ხავსი უხვად მოსდებოდა შიფერს. გვიან შემოდგომას დაბერტყვას გადარჩენილი ნაყოფი ცვიოდა. ლარებში დაგორებულ ბროლებს წვრილად დამტვრეული და ნაჩერჩვი ტოტები აკავებდა. მრავლად ეყარა ნაყოფი. ასე ხომ არ დავტოვებდი, ფრთხილად გადავიდოდი, ჩატეხვის მეშინოდა, ვცდილობდი აკრობატულად გამევლო სახურავის სამაგრი კოჭები. ნადავლით დატვირთული ძველი გზით ვბრუნდებოდი. ერთხელაც, გავედი ნაყოფის შესაგროვებლად, შენც არ მომიკვდე, არსად არაფერია. ხეს ავხედე, წელს ბარაქიანად ესხა. ერთიც ვერ ვიპოვე წამლად. ჭიანი, კანგაშავებული ბლომად ყრია, ვერაფერში გამოიყენებ. გამოვტრიალდი... მამაჩემს სახურავზე, ქარს რომ არ მოეგლიჯა, დაულაგებია რკინის მონაჭრები, ქვები, რეზინის დაგოფრილი მოკლე-მოკლე მილები... ხრახნილის ბოლოს მტკიცნეულად წავკარ ტერფის ცერი. ცალ ფეხზე შემდგარი გამნარებული ვიზელ ნატკენს.

რა იცის ხოლმე ამ კაცმა, მთელი ხარახურა აქ შემოუყრია, გეგონება, გრიგალს მიაქვს ქვეყანა, კბილებში კვნესით ვცრი თითო სიტყვას, თვალში უნებლიერ ცრემლი მადგება. ერთხანს ვდგავარ, ვიცდი როდის შევძლებ გზის გაგრძელებას. რამდენიმე ნაბიჯი კოჭლობით გადავდგი.

ეს, ასეთი მსუბუქი რაღა საჭირო იყო?! საღი ფეხის წვერი გამეტებით ნავარტყი რეზინის მილს. არ დამემორჩილა. მეუცნაურა. ხელით დავუპირე მოსრიალება... ლარებში თავქვეზე ხრიალით დაეშვა უამრავი გაბრონილი კაკალი. თავპირს იმტკრევენ, ერთმანეთს ასწრებენ, ქვემოთ ტყაპატყუბით ცვივიან... იავარვქმენი ვიღაცის ზამთრის მარაგი.

არა უშავს, „სახლშიც“ პირამდე სავსე ექნებათ „ბელელი“ წრუნუნების და თავის გამოსაკვებად, ღიმილით ვიმედებ თავს...

ნაღველი მერევა, რა დრო იყო... თვალი მოვავლე ქარ-წვიმისგან გადაგვილ გადასუფთავებულს. სავსიც გამქრალა... იმ,





დიდებული ხის გადანაჭერიც ვერ ვინიშნე. ალბათ ნიადაგის ფენა გადაევლო ზემოდან ან ნაგავშერეული ქვის ყორის ქვეშ ჩახმა ფესვებიც. მის ნაცვლად ბუერა ტყემლების რამდენიმე ძირს უმარჯვია, ნისლიანი დღის სიბნელეში მოუქცევია ადგილი, სადაც კაკლის მუქი და სუფთა ჩრდილი მდორედ როკავდა მსუბუქი ქარისგან შეტოკებული ტოტ-ფოთლის ქვემოთ. ჩაქცეული სახლი კი დუშს და ჩამქრალი თვალებით უამთასვლის უკაცრიელობას უცქერს, სანამ კედლის ბოლო ქვასაც მტვრად არ აქცევს დრო, რომელიც მდორედ, თითქოს ურმით მიჩაქჩაქებს. მაინც მიდის... თუმცა, ვინ იცის, იქნებ გადარჩენაც უწერია, იქნებ მის ძარღვებში იწყოს დუღილი გაციებულ-გაბლანტებულმა სისხლმა?!..

ქვედა ოთახიდან აივანზე დავპირუნდი, ფრთხილად გამოვიხურე კარი. მტკივნეულად შევიგრძენ სულის და ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი რომ დამრჩა მის მიღმა.

მზე გადანვერილა, თუთის ჩრდილს აივანი დაუტოვებია, ეზოში წამოწოლილა მთელი სხეულით, წვერო ღობის ბადისთვის მიუჯვენია.

ვიგრძენ, როგორ შემომცექრის და უხმოდ მიმაცილებს ჩემი სახლი. მას ხომ ასე ძლიერ ვუყვარვარ. მერე რა, რომ მუდმივი ბინადარი არ მქია. ვიცი, ყოველთვის მელოდება, ჩემით ცოცხლობს. ასე ვართ ერთმანეთის მონატრებაში.

ნანახით აფორიაქებულმა, მაგრამ მაინც კმაყოფილმა, ხალისიანად ჩამოვირბინე კიბე და უკანა ეზოს მივაშურე. ქათმები კრიახით მიმოიფარგლენ.

ფარდულის სახურავის ქვემოთ შეყუულ თონეს ფუნქცია დაუკარგავს, თუმცა, დროდადრო გამოვაცოცხლებთ, ამოყრილ ცხელ შოთებს ოხშივარი ასდის ორომზე. პური, ყველი, მწნილი და ხელადით ღვინო საოცარ ნატურ-მორტს ქმნის თონის კიდეზე. პირველი ჭიქა მათ ეკუთვნით, ვისაც უყვარდა და ალარ არიან. დანარჩენი სადღეგრძელოები, კი, სიცოცხლის, სიყვარულის და უფლის საღიდებელია...

ბოსტანს კარის მაგივრობას თუნუქის სქელი, შეჟანგული ფურცელი უწევს. ხის საყრდენითაა გამაგრებული. ღობით და სიმინდი მწვანედ ხასახებს. აუგლ-ჩაუვლიან ქათმები, ალმაცერ თვალს არ აცილებენ, კვლავ უბრუნდებიან ნეშმომპალისგან ნამსუქნ მინას, გაფაციცებით დაეძებენ მატლებს და მათი ბასრი ნისკარტისთვის განწირულ ჭიქებს. ხართუთის ორ დიდრონ ხეს ფართოდ გადაუშლია „მკლავები“. ხშირი ფოთოლ-ნაყოფით იხუნდლება ხოლმე. სანამ მკვახეა, თვალს აამებს მზეზე ალაპლაპებული ფოთლების ლიცლიცით. დამწიფდება და ძირში წებოვანი ხალიჩა ეფინება. დილიდან დალამებამდე ქათმები მის ქვეშ დაბორიალობენ. მიყრილ, თითით დარჩეულ სიმინდ-ხორბალს დახედ-

ვის ლირსადაც არ თვლიან. მათი სავსე ქუჩები ველარ იტევს საკვებს. კენკავენ ნაყოფს, ყელში ალარ გადასდით, მაგრამ მოდის და მოდის „ცის მანანა“. ფეხის დასადგამი ალარ მოიძებნება. წვერებით რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ, ფეხსაც-მლის გატკბილიანებულ ძირებს ბალახზე ვიწ-მენდ.

ხეხილის იშვიათი სილამაზის ხეივანში შევ-აბიჯე, სადაც ჩრდილი მზის სხივს არ იკარებს. ბერები გვირაბის ბოლო არ ჩანს, ისე გაბარ-დულა ერთმანეთში ტოტები რამდენიმე ჯიშის ლელვის, ბალური ზღმარტლის, არასოდეს რომ არ მწიფდება, მსხლის, ბრონეულის, კომშის... რას ინატრებთ, რომ აქ არ ხარობდეს. დაფნას აუყრია ტანი, ყელყელაობს. გავალნიერ, როგორც იქნა. ბებერი, გაბარდული, გაუსხლავი თხილის ტოტები მივწი-მოვწი და მინდორში გასასვლელ ვიწრო კარს მივაშურე...

აღმართს შევუყევი მწვანეშეფენილს. დრო-დადრო ვჩერდები, უკან ვიხედები. ხომ ვიცი, რომ მთები ზურგს უკან მალვით მომყვებიან. შევჩერდები თუ არა, ისინიც ჩერდებიან და ასე, ზღაზვნით მივყვებით მე გამოლმა, ისინი გალ-მიდან. ყოველი ახალი ნაბიჯი თვალსაწირს ზრდის, მათ ძირში ტყე თავდება, ალაზნის ველი ფართოვდება და თანდათანობით, მთელი მისი დიდებულება ექცევა ჩემი მხედველობის არეში.

მთავარ გზას ვუყელე...

მაყვლის ბარდს მოუცავს მცირე გორ-აკის კალთა. საცალფეხო ბილიკი თხემისკენ მიემართება. ეტყობა, აქ დიდხანს არავის დაუდგამს ფეხი, მორკალული ლეროები ჩახ-ლართულა და სავალი ჩაუხერგავს. არ მიშვებენ, ტანსაცმელზე მებდაუჭებიან, სისხლით იღებება ეკლები. მათ წვეტებზე გამოდებულა ცხვრის და თხის მატყლის ფთილები. მივიწევ მწვერვალისკენ, სადაც სუსტ ბალახში ნარშავის ლილის-ფერი ლეროები ამოზრდილა...

მზერა, კვლავ, მისკენ მიმირბის, აქედან შესანიშნავად ჩანს ჩემი სავანე. სახურავს მტრე-დები სტუმრობენ, დაგოგმანობენ და ფრთებს აფართქუნებენ. კედელთან ამოზრდილი სქელი მილიდან, სულ მაღლ, ამოფუვდება კვამლის ნაცრისფერი ბოლქები, სახლი გაცოცხლდება და ცეცხლი ტკაცუნით მოჰყვება ბავშვობისდროინ-დელ ზღაპარს კერის ნაცარში რომ დალექი-ლა...

სულ ახლოს ჩემი ახალი, მყუდრო საცხ-ოვრებელი მეგულება, სადაც სიცოცხლის არანაკლებ ბედნიერი ხანა გავატარე...

მზე ჩავიდა. ჰორიზონტან ლრუბლები ჩი-რალდნებივით აენთო... იქიდანაც ასეთი ჩანს ცა...

ლამით წვიმა ნამოვიდა. ძილში ჩამესმის მისი ქარით აფორიაქებული ფრთების ტყლაშუნი. სიზმარში ჩემი ძველი სახლი მელანდება...





თეა  
ყავრელიგვილი

תְּנִשְׁאָרֶת

გვერდლეთ წითოვრება, ან კიბიღით სამშობლოს,  
აქ, მხოლოდ, ქართული ხული და გულია.  
ვამპაკობ, ვმტკლფები, რომ მქვია ქართველი,  
ლუთისმშობლის ქვეყანა მუქდა არნივთა,  
მე, რომ ვარ ქართველი, ვარ, ასე, ამაყი,  
და... ლმერთი დაგვიწვდას, მნაბს, ყველა გზანვრილობა!

### က. ပုဂ္ဂန်းလောက်ခွဲလေ

የኢትዮ ሲኒስቴር

ჩემო სამშობლო – მტკიცე ფიცივით სისხლში გამჯდარო, ჩემო ვენახო, – სიმნიფეში ძლიერ დამტკბარო, ჩემო ქვეყანავ, – ოდითგანვე, მტრისგან ნატანვე, შეუძლეებლო, ქართველების სისხლით გამთბარო. სტუმართმოყვარე მასპინძელო, რომ არ იღლები, „მრავალუამიერს“ აავლენებ, შენ, ქართულ ცისა, ქართული ღვინით შეავსებენ სასმისს ბაჭები, მზის სხივებად რომ იღვრება და გულში სცრისა. ჩემო ტაძარო, სალოცავო, მშობელო მიწავ, მსურს, შენთვის მოკვდე, თუ, დაგჭირდა მე ამას ვფიცავ, საქართველო ყველაფერი, რაც არის წმინდა, ლოცვით, თუ, კალმით გიცავდი და მუდამ დაგიცავ. მე, ალბათ, ამით გამოვხატე ჩემი სათქმელი, ჩემი ქვეყნისა, – საქართველოს, – ირგვლივ, ამ მთების, შენი მზე, მუდამ ინათებს და არის ნათელი, დიად ქართველებს არ უქრებათ წმინდა სანთელი!..

၁၅၂ မြန်မာ နှာကျော်များ

თუ, რამით ვამაყობ, რომ მქვია ქართველი,  
სისხლი დუღს ქართული, სარქველს, რომ აწვება,  
რწმენაა ქართული, სულია ქართული,  
ლეთისმშობლის ქვეყანა დიდია სათქმელად.  
არწივთა საბუდარს ვიფიცავ, – გულწრფელად,  
სამშობლო სისხლივით დამირბის ძარლვებში,  
იკოდეს ყველამ, რომ ვაჟას ქვეყნიდან ვარ,  
მახარებს, მახარებს, რომ მქვია ქართველი.  
ხომ იყო: დიდგორიც, შამქორიც, მარაბდაც,  
კრნანისიც, ასპინძაც, დევნაც და ტირილიც  
გოლგოთას გვატარეს პატარა ქვეყანა, –  
უნდოდათ ენახათ ერი ნირმიხდილი,  
გველეს, გვლენეს, გვყიდეს და, რამდენჯერ გვასხვისეს,  
ქართველში ვერ ჩაკლეს, ქართული სულია,  
ვერ დაგვაჩიქეს, ვერ გადაგვაჯიშეს,  
ქართველს ქართული წესებით უვლია...  
ვაზი აჩეხეთო... და... ჩვენ, მაინც, ვრგავდით,  
უფლის გზას ასცდითო, ჩვენ მაინც, ვირწმუნეთ,  
ხატიბთან მყხლმოყრით ლოკულობს ქართველი.





## თეა ყავრელიშვილი

და... რწმენით, თავს ვაღწევთ მოგდებულ სიცრუეს.  
იმ, „დადგმულ სპექტაკლებს“, კვლავ, ბრძოლით ვერკინეთ,  
ყველას, ხომ, თავისი, რალაცა სწყურია?!..  
გვაცალეთ ცხოვრება, არ ვყიდით სამშობლოს,  
აქ, მხოლოდ, ქართული სული და გულია.  
ვამაყობ, ვმაღლდები, რომ მქვია ქართველი,  
ლეთისმშობლის ქვეყანა ბუდეა არწივთა,  
მე, რომ ვარ ქართველი, ვარ, ასე, ამაყი,  
და... ღმერთი დაგვიცავს, მწამს, ყველა გზანვრილთან!

### ფეხას

შენს შევერცხლილ თმას ვეთაყვანები, დედა,  
მე შენ მკლავებში, ისევ, ბავშვი ვარ ცელები,  
არ დამიბერდე, გულს არ მომფინო სევდა,  
შენ სიცოცხლე ხარ, მთელი სამყარო, ჩემი.  
არ მიმატოვო – სულ, მინდა, მყავდე დედა,  
ისევ, სიცელქე, ისევ ბავშვობა მინდა;  
შენი ხელები ისე ტკბილია, ვთბები  
შენა ხარ, ჩემთვის, საფიცარი და წმინდა.  
ეს, სხივჭალარა ჩემით გაგიჩნდა, დედა!  
მიყვარხარ ძლიერ, – მთელი ფიქრით და განცდით.  
შენს შევერცხლილ თმებს ვეთაყვანები, დედა,  
არ დამიბერდე, დიდხანს რომ მყავდე, მინდა,  
მე შენ მკლავებში საყვარელი ვარ, ბავშვი,  
დედაშვილობა, – ყველაზე ტკბილი, წმინდა!..

### შუამთაში ვიყავ

დაცარიელდა გული ფიქრისგან,  
მსუბუქი ფრთები შემესხა, თითქოს,  
თითქოს ვფრინავდი ზეცაში, გუშინ,  
ბუნება, ყველას თავისთან გვიხმობს.  
ო, რა მთებია, ან, რა ტყეები?  
ფიქვის სურნელი იფრქვევა ირგვლივ,  
ანკარა წყარო გალობით მოდის,  
მიდის და მოდის ფრინველთა რიგი.  
ვისმენდი, ნეტარ, ფრინველთა ჟღურტულს,  
ამ ხმებს გარემო ისმენდა ტკბილად,  
მე შენი დარი სხვა რა მინახავს,  
რა სანატრელი დღეა და დილა.  
ეს, რაღაც, სხვაა, შემძვრელი სულის,  
უფალო, ეს რა მშვენება ვნახე,  
სხვას ვერც ვადარე მე საქართველო  
მშობელი მიწის დიადი სახე.  
არა! არასდროს, ერთია იგი,  
არ მეორდება სხვა საქართველო,  
დედა მარიამ, ადიდე იგი  
და აღორძინდი შენ, სანატრელო!  
რომ გალამაზდეს მთა-ბარი უფრო  
უფრო გაბრწყინდეს, დღეს საქართველო,  
იყოს ხნიერი, იყოს ძლიერი,  
მტერმა, ვერასდროს, ვერ გადათელოს...





## პარლო ქართველიშვილი

კახეთი

ლვთიური ხედია,  
ჩემი კახეთია,  
ცივ-გომბორის მთიდან  
გადმოსახედია...  
მის ნაზ სილამაზეს  
ყველაფერს ავედრი,  
ალაზნის ჭალებში  
ბრნყინავს ალავერდი.  
როცა, თვალებს გტაცებს –  
კახეთის ბუნება,  
ციხე-ქონგურები  
ნარსულს გეუბნება...  
აქეთ – გრემია და...  
იქით კი – ნეკრესი,  
მრავალჯერ, დაცული –  
გმირი, – ერეკლესი.  
მასთან გამიჯნული  
ვერასდროს იქნები,  
კვლავაც, მოფრინდება –  
ნარსულზე ფიქრები...

ფიონისეს სტუმრობა

წლევანდელი შემოდგომაც დაიხუნდლა,  
უქვად მოდის,  
მახელებს და... ლხინით მავსებს,  
ჩემს მარანში შემოპრძანდა დიონისე  
და... მთხოვს სასმისა,  
მათრობელა ლვინით სავსეს.  
მაქეიფა, იმ ღამეს, რა დამავინყებს,  
ვახტანგურად დაილია სასმისები,  
გავიხსენეთ ხაიამის სტრიქონები,  
ამ სტუმართან, ვერ მოიწყენ, – არც ითვრები.

ყველაწმინდის სადღეგრძელო,  
როცა შევსვით,  
გაგვიჭირდა ერთმანეთთან განშორება,  
ვერ ვიხსენებ, ცხადი იყო, თუ, სიზმარი,  
ტკბილად მახსოვს:  
დიონისეს ეს სტუმრობა.

\* \* \*

დამეთანხმებით,  
რომ არ ვაჭარბებ,  
სიყვარულია,  
სიცოცხლის წყარო,  
ღმერთო, დალოცე  
ამერ-იმერი,  
სიყვარულზე დგას  
მთელი სამყარო.

ჭირიფს

ისევ ისე, რომ ხარ, თავდახრილი  
გეყო დარდი და... გეყო გოდება;  
შენ რომ გიცქერი, ის, ძველი სევდა  
და... სიყვარული მომაგონდება.  
მომხვიე – შენი, ნაზი მკლავები,  
სევდა გაქრეს და... გადაიკარგოს...  
სიხალისე, რომ ქონდეს ყველა გულს,  
მიიღე თხოვნა შენ, ჩემო კარგო!

\* \* \*

ჩემო ერო, ჩემო ბერო,  
ქართველებო, ჩვენო მშვენო,  
სუყველაფერს ეშველება,  
არყოფნაა უსაძველო...



ମେ ଯେ କୁର୍ଦ୍ଦୁୟୀ ମନ୍ୟାତ୍ମିକାରୀ, —  
ଲ୍ୟୁଫ୍ଟ୍ସେଲ୍ଟ୍ସ ଗୀନ୍ଦ୍ରାନ୍ତି କ୍ଷେତ୍ରରେ,  
ଶ୍ରେଣ୍ଟ କୁ, ଅଥ ଲ୍ୟୁଫ୍ଟ୍ସେଲ୍ଟ୍ସ ମନ୍ୟାତ୍ମିକାରୀ,  
ହିବର୍ନାର୍କ୍ସ ବ୍ୟାକରଣ୍ସ ବ୍ୟାକରଣ୍ସ.

ଓ. কৃষ্ণনাথচৌধুরী



## მთელისკუნ მიმიხარის

ცტვარი ავყარე შირაქში,  
მთებისკენ მიმიხარია,  
გნახო, ხევსურონ ქალაო,  
თუ, ისევ, არხოტს ხარია.  
როგორ გამშვენებდ, შარშანა,  
მთებში ყვავილთა ჯარია,  
მე კი მიკონიდ სახესა,  
შენით მოტერილ ქარია.  
მე ის ჭაბუკი მოვდივარ, –  
ლექსებს გინერდი ქვაზედა,  
შენ კი, ამ ლექსებს მღეროდა,  
ჩხრიალა წყაროს ხმაზედა.

## ნისლო, ნუ შემომეგვევი

თუში მეცვარე დაგცქირი  
შატილიონის ქალაო,  
ნისლო, ნუ შემომეხვევი,  
არ დამიბნელო თვალაო.  
ცვარი მომიღის ბარისკენ,  
ვეღლარა გნახავ ხვალაო.

## მშიურ აუზებებს ვაკებავლი

სევსურსა ვეხმარებოდი,  
მერანს ნალებით ვჭედავდი,  
მის ლამაზ ქალაისავენ  
მალი-მალ გავიხედავდი,  
შორიდან კოცნა მესროლა,  
ამას კი ვერა ვძედავდი.  
მოვახტი ხევსურის მერანს, —  
მთის ბილიკებზე ვხედნავდი.  
გამოვურბენდი მის ქალას,  
გაღიმებულსა ვხედნავდი,  
ხევსურ ქალაის ლიმილით  
მშიერ ოჯანიბებს ვკვებავდი.



## მიმკაცს ხევსური ქალათ

ცხვარი დავჭეჩე ბარისკენ, –  
ჭაბუქს მიმიდის ფარაო,  
მიმყავს ხევსური ქალაიც,  
უნდა ვიარო ჩეარაო,  
არ მომენიოს მდევარი, –  
ხევსურთა ხმლიან ჯარაო.

## ის ხევსურ ქალა მაჩვენა

ცხვარი გავშალე შირაქში,  
რა საამური დარია,  
თოვლიან მთებსა გავხედავ,  
მუდამ, რომ ყმუის ქარია.  
ის, ხევსურ ქალა მაჩვენა –  
თოვლში, ყვავილად, მდგარია.  
ზაფხულში მისი ცქერითა  
მრავალჯერ გამიხარია.



ფირუზი

კოჭლახაზვილი

## ნეტავი

ნეტავი ნახოთ ისევა  
რაც გახარებდათ თვალებო,  
ლამაზი იყავ, მაშინა,  
ხევსურთა მთებო, ჭალებო,  
ხევსურულ ღუდად მწყუროდით  
ფშაველ და ხევსურ ქალებო  
ნეტავ, აშენდეთ სოფლებო,  
ხატობდეს კაცი, ქალია,  
წყაროდან ხევსურ ქალასა  
თუნგით მოხქონდეს წყალია.  
ვუცქერდე თუში ჭაბუკი,  
ვერა ძლებოდეს თვალია.  
ის სიჭბუკე დაბრუნდეს,  
ფშავისა ხევში წანალით,  
ფშაველი ლამაზი ქალი  
ნეტავი, მყავდეს წანალი.

## ნეტავ არ მქონდე ნანახი

ეხ, უპატრონო სოფელო,  
ნეტავ, არ მქონდე ნანახი,  
წყაროს მიმავალ ბილიკო,  
გადაგფარვია ბალახი,  
ლამაზ იქნებოდ, უწინა,  
ხევსურ ქალების ნალახი.

## ხაჭის კარზეფა

ფშავლებმა მიმიპატიუეს –  
მეცხვარე, ხატის კარზედა,  
თვალს ვაპარებდი ჭაბუკი, –  
ქალებ რომ ისხდეს ჯარზედა.





მოხუცმა შენიშვნა მომცა, –  
იქით, რად გრჩება თვალები?!..  
ამ სუფრას, ლუდს და არაყსა  
გირჩევნის ჩვენი ქალები?!..

მორცხვად ვიჯექი სუფრასთან,  
არც დავიხურე ქუდია,  
ფშაველ კაცებმა მაძალეს –  
ფშაურ არაყი, ლუდია.

შემოქეიფდეს ფშავლები, –  
იყო სიმღერის ხმაური,  
ერთმ ქალას შემოუმღერა,  
იყო კაფია ფშაური.

„ქალავ, ვინ ამოგიტანა  
მთაში ამდენი ხილები?..  
აიქად, აიქ, ვამტვრიე –  
გუმინ შენ ჩაყრილ თხილები,  
მუდამამ მქონდეს, შენთანა,  
ტაშფანდური და ლხინები.“

## ნეჭავი

ის სიჭაბუკე დაპრუნდეს, –  
მე, რომ ლექსები ვწერე,  
ფშაველ და ხევსურ ქალებზე  
რამდენი რამე ვკერე.

მათ მთები ალამაზებდა,  
მე, რომ, მეცხვარემ, ვზვერე,  
მათზე ლექსით და სიმღერით,  
რაც მე ფილტვები ვბერე.

## ფშავის და ხევსურთა მოებო

ფშავის და ხევსურთა მთებო,  
ჩაგიცვამთ მწვანე ქათიბი,  
ფშაველ და ხევსურ ქალებთან  
ნეტავ, მთებ მქონდეს სათიბი.

მწყურვალსა კოჩხოთ მომართვან  
ზვავის ნაჟური წყალია,  
ლოყებზე აუბრიალდეს –  
სიყვარულისა ალია.  
ცელქობის ხალისს მაძლევდეს  
ვნებით ნაცქერალ თვალია.

## ხევსურეთს გნახე

ხევსურეთს გნახე, ქალაო,  
ჭაბუკს დამიგე მახე,  
შატილის ყვავილი იყო –  
შენი ლამაზი სახე,  
მთის სილამაზე არ გქონდა,  
მე, რომ შირაქში გნახე.



# მარიამ კოზმანიშვილი

ოუ რამ ხილია —  
თვარელით ნიხული,  
სულ საჩიტოდ აქვთ  
გადახახული...  
არა დელია,  
დელი, დელია...  
მე შეგობრი ვრნ,  
ნერო ჩირია.

### ၃. კოზმიკის ვილი



For more information about the study, please contact Dr. John Smith at (555) 123-4567 or via email at [john.smith@researchinstitute.org](mailto:john.smith@researchinstitute.org).

მურიკელას

გაი, ეს რა მოგსვლია,  
მურა, ყურებპანტურა?..  
რატომ ჩამოგაკაწრა  
დღუნწი ცელქმა კატუნამ?..  
გაავავრე ეტყობა,  
მაგის მეტი რა იცი,  
პოდა, ხედავ, ფისოსაც  
არ ცოდნია ლაციცი?..  
გაგაფრთხილე რამდენჯერ,  
გაიგებდი, მეგონა,  
რატომ არ თვლი არავის  
შენს ტოლად და მეგობრად?..  
აპა, ფისოც მოსულა,  
კმარა, ნულარ დიდგულობ,  
მსურს დღიდან გულითად  
მეგობრებად გიგულოთ.

၁၀၅

ანი, ბანი, განი,  
დღონი, ენი, ვინი...  
ამ ანბანმა ლამის  
გამზინყალოს ტვინი...  
ვიზეპირებ ცრემლით, —  
ზენი, თანი, ინი...  
დედა ბრაზობს, მამა  
ძლიერს იკავებს ლიმილს.  
კანი, ლასი, მანი,  
ნარი, ონი, პარი...  
საით მიხმობს ნეტა  
სიო, ონავარი?..  
ჟანი, რაე, სანი,  
ტარი... უნი... ფარი...  
სულ ცოტათი მაინც  
გამზივალოთ კარი...  
ქანი... ღანი... ყარი...  
შინი... ჩინი... (კანი...)





**მარიამ  
კოზმანიშვილი**

აღარ შემიძლია...  
მეხუჭება თვალი...  
ძილი... წილი... ჭარი...  
ხანი... ჯანი... ჰოე...  
მეძინება... ვაი...  
ჰოე... ჰოოე... ჰოოოე...

### მარიკუნას სიმღერა

ბებოს ცხადი ვარ,  
ბებოს სიზმარი,  
სადაც ვთამაშობ,  
ბებოც იქ არი...  
ერთად გაპურებთ  
კრუხს და წინილას,  
ერთად ვიღვრებით  
ორივ სიცილად...  
ბებოს სუნთქვა ვარ,  
ბებოს ზღაპარი,  
მისი მზეცა და  
მისი ლამპარიც...  
თუ რამ ხილია –  
თვალით ნახული,  
სულ საჩემოდ აქვს  
გადანახული...  
აბა დელია,  
დელი, დელია...  
მე ბებოსი ვარ,  
ბებო ჩემია.

37



### ძლვენი

ეს თხილი და ჩირია,  
ეს კი მურაბებია,  
მომავითხა სოფლიდან  
საყვარელმა ბებიამ.  
ვაშლი გამომრჩენია?...  
გიგო, რას იბუტები?..  
ყველაფერი ჩვენია,  
კომშიც, ბატიბუტებიც.  
დავუძახოთ ირაკლის,  
ეკას, დათოს, ნათიას,  
ეს ძლვენი ხომ ბებიკოს  
გულის ათინათია.

### წია, წია, წინილო

წია, წია, წინილო,  
სანამ უნდა იწივლო?..  
ვერ გავიგე გეთაყვა  
შენი იწი-ბიწილო...  
შენი ცქერა მომბეზრდა,

ოლქ, №4, 2024






კრუხთან უნდა გიჩივლო,  
მტირალა და წუწუნა  
უნდა ჩამოგიცილო.  
დღეა ისე ლამაზი,  
მზეა ისე ბრიალა,  
სიო მღერის ფოთლებში,  
შენ რამ აგანრიალა?..  
მომისმინე ერთხელაც,  
პანანინა ნინილო,  
მინდა ციცქა გულიდან  
დარდი ჩამოიცილო.  
დაივიწყე უაზრო,  
ფუჭი იწიბიწილო.  
ნია, ნია, წუწუნა,  
საყვარელო ნინილო.

### ლელა

ეს ჩიორა ისე მღერის,  
ეს ზღვაც ისე ლელავს,  
მზეც იმგვარად იღიმება,  
ხმას ვერ იღებს ლელა.  
გაოცებულ, ცისფერ თვალებს  
ვერ აცილებს მერცხალს,  
თურმე რარიგ ლამაზია  
გაზაფხულზე ზეცა.

### სიხარული

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა,  
გამოვალოთ კარი,  
შემოვიდეს სახლში  
შუქიცა და სითბოც,  
მზე იისფერ ცაზე  
იღიმება ისე,  
გეგონება ჩვენთან  
შემოშვებას ითხოვს.  
მოუქარგავთ სივრცე  
წეროების გუნდებს,  
ცა მოირგებს წელზე  
ცისარტყელას ქამარს,  
დავიბანოთ პირი,  
დავიგარცხნოთ თმები,  
დავედევნოთ ჩიტებს,  
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!



გალინა  
გრანოვსკაია

ANSWER: The answer is **10**. The first 10 digits of  $\pi$  are 3.1415926535.

## କର୍ମାନ୍ତିକ ପ୍ରକଳ୍ପରେ ଯାଇବାରେ

ფრენა კვლავ გადაიდო: „ძლიერი ქარის გამო რეისები გაუქმებულია“. მოსკოვში ქარბუქია? ყოველი მორიგი ინფორმაციის გამოცხადებისთანავე, მოპირდაპირე კედელზე, ელექტრო საათის დიდი ისარი ხუთ წუთს ახტებოდა და ალიონას ხასიათი სულ უფრო მეტად უფუჭდებოდა. საღამოს რგა საათისათვის კი განწყობა მოთლად წაეხდა, ის-ევე როგორც მგზავრების უმრავლესობას გაფრენის მოლოდინში ნახევარი დღე რომ გაფლანგეს. ალიონა წამოდგა, გვერდით მჯდომ ხანდაზმულ ქალს ადგილის შენახვა სთხოვა და დარბაზის შორეულ კუთხეში, კაფისკენ გაემართა. შესაძლოა ღამის გათვევა აქ მოუწიოს და წახემსება არ აწყენდა, რადგან ფუნთუშა და რამდენიმე კოტლეტი, გამომგზავრებისას დედამ ხელჩანთაში ძალად რომ ჩაუდო, კარგა ხანია შეჭამა. არა, მომავალში მხოლოდ მატარებლით იმგზავრებს. მართალია დიდ დრო მიაქვს, სამაგიეროდ დათქმულ დროს ჩახვალ. ახლა მშვიდად უნდა მიდიოდეს და მატარებლის ბორბლების დაგადუგში ტკბილ სიზმრებს ხედუვთ.

ალიონამ მეორე ჭიქაც შესვა და უკან გა-  
ბრუნდა. გზად, საგაზეთო ჯიხურში ჟურნალი  
„სილამაზე და მოდა“ იყიდა. ჟურნალში მხოლოდ  
ფოტოები და ასტროლოგთა და ფსიქოლოგთა  
წერილებია, მაგრამ გულის გამანვრილებლად  
განელილი დრო რაღაცით ხომ უნდა გაიყვანო.  
სკამზე მოხერხებულად ჩამოჯდა და პრიალა ფურ-  
ცლები გადაათვალიერა. თავდაპირველად, მზიანი  
კურორტის სარეკლამო ფოტოსურათებს გადახე-  
და, მერე პოროსკოპებით დაინტერესდა. ნეტავ ვინ  
ადგენს ამ პოროსკოპებს? ამოიოხრა, ჟურნალი  
დახურა და დარბაზს მზერა მოავლო. რატომძაც  
სიცივისგან დაორთქლილი სარკმლიდან მოშორე-  
ბით გადაჯდომა გადაწყვიტა, წამოდგა, რამდენიმე  
ნაბიჯი გადადგა და კინაღამ გასასვლელის მთელ  
სიგრძეზე გაჭიმულ გრძელ ფეხებს წამოედო. მა-  
მაკაცეს სახე ქუთხით საყველოში ჩამოაწა, ხელები

- გაიღვიდე? ყოჩალი. ყინული ფაიძრია, მივემზავრენ,
- კარგი უურნალი გაუწოდა, ფაიხანა და უბრ ლოცაზე აკორა, - დოროვებით. უნდა გავიქტე, ჩასხდომა გამოქარდა.
- მშვიდობიან ფრენას გისურვებ, - ნაინუცხლუცა ქალმა, ჟურ კიღევ ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ახლახან გვერდით ჰქონდა და გაქრა, ჩასხდომაზე აჩქარებულ მე-ზავრებს შპრის გაუჩინარდა და ველაპასალეს ნახადა. ამ აზრის გაელვებისას რალავაშ მტკიცნეულად უჩხვლიტა და საბოლოოდ გამოივიზოდა - კარგ არე მისამართი, არე ტელეფონი არ დაუცოვებია, ადამიანთა მჩხიდან გამოჩნდა და მიხამივ ჩაიკარგა.

### 8. გრანტების



კერძობილი და ტყბილად ეძნია – სულაც  
არ დარღვებდა, რომ მისი გამოისობით კინაღამ ცხ-  
ვირი მოიტეხეს. ალიონა მის გვერდით გათავისუ-  
ფლებულ სკამზე ჩამოჯდა და მორიგ განცხადებას  
მიუვდო ყური, რომელმაც იმედი დაუკარგა, რომ  
მურმანსქს მალე დატოვებდა – თვითმფრინავის  
გაფრენა დილის ექცის საათისათვის გადაიდო.  
იქნებ ბილეთი ჩაბაროს, შინ დაბრუნდეს, ღამე  
გაათიოს და მეორე დღეს მატარებლით გაემგზა-  
ვროს? არა, ღრმად ამოისუნთქა, ასე მგზავრობა  
რამდენიმე დღით გახანგრძლივდება და ფულსაც  
დაკარგავს. სჯობს კიდევ მოითმინოს. ჩაძინება  
კარგი იქნებოდა, ძილში დრო სწრაფად გარბის,  
მაგრამ მოუხერხებულ სკამზე როგორ გინდა დაიძ-  
ინო, თანაც ასეთ ხმაურსა და კაშაშა სინათლეში?  
ალიონამ ქურთუების საყელოდან ამოჩრილ ნიკაპზე  
ჯაგარივით მოდებულ წვერს ალმაცერად გახედა  
და გაიფიქრა – ვისაც ძილი უნდა, ასეთი წვრილ-  
მანები ხელს არ უშლის.

თითქოს მისი მზერა იგრძნომ, გვერდით  
მჯდომი უცებ შეირხა, ფეხები აკეცა და მხრებ-  
ში გაიმართა. მამაკაცი ახალგაზრდა აღმოჩნდა,  
თანაც ლამაზი. გაუპარსავი წვერი და აწენილი,  
აქეთ-იქით გაფშეკილი ჩალისფერი თმა უხდებოდა  
კიდეც. ალიონამ უურნალი გადაშალა. მამაკაცმა  
დაამთქარა, ნამდინარევი თვალები დარბაზს მოავ-  
ლო, თითქოს ცდილობდა გარკვეულიყო სად იმყ-  
ოფებოდა, მერე უცებ ალიონასკენ შებრუნდა და  
ძილისგან ჩახრინნეული ხმით დაინტერესდა, რომე-  
ლი საათი იყო. ქალს უნდოდა თითოთ კედელზე  
მიეთითებინა – აგერ საათი, უზარმაზარი, ელე-  
ქტრო, პირდაპირ შენს ნინ კიდია, მაგრამ მიხვდა,  
კაცი მთლად არ გამოფეხილებულიყო, საათს ჯერ  
ვერ ხედავდა. დაახანა და უთხრა:

- თორმეტს აკლია ათი წუთი.
- ოპო! – მან მზერა ფანჯრისკენ გადაიტანა,
- გამოდის, უკვე ღამეა.
- წელიწადის ამ დროს აქ მუდაბბ ლამება, –





ალიონამ იქედნური ჩაცინებისგან თავი ვერ შეიკავა.

კაცმა გაიღიმა და ქალიშვილს რაღაც სხვანაირი ყურადღებით შეხედა. თუმცა, არასასიამოვნოა, როდესაც სწორედ მაშინ გაკვირდებიან საუკეთესოდ რომ არ გამოიყურები.

– არდადეგებიდან ბრუნდები? – იკითხა კაცმა.

სახეზე აწერია, რომ სტუდენტია?

– ახლა ყველა არდადეგებიდაბ ბრუნდება, – კაცმა საჟუთარი მიხ-ვედრილობით თავი მოიწონა.

ალბათ თვითონაც სტუდენტია,

გაიფიქრა ალიონამ, თუმცა არაფერი უკითხავს. თუ მოიწადინა, თვითონვე ჰკითხავს. თუ სტუდენტია, საინტერესოა სად სწავლობს, ან სად მუშაობს. ლაპარაკზე ეტყობა, რომ მოსკოველი არ არის. შესაძლოა, მასავით მურმანსკიდან იყოს.

კაცმა თითქოს მისი აზრები წაიკითხაო.

– მურმანსკში მივლინებით ვიყავი. მოსკოვში რამდენიმე დღე დავრჩები, მერე კი შინ, ტუმენში გავფრინდები. შენ, შორს მიფრინავ?

– მოსკოვში.

– რომელი რეისით?

რატომძაც იმედი გაუცრუვდა, როდესაც გაირკვა, რომ სხვადასხვა რეისით მიფრინავდნენ. არადა, მათი თვითმფრინავები მოსკოვში გუშინ საღამოს უნდა ჩაფრენილიყვნენ.

– მატარებლით მგზავრობა მომწონს. ადამიანებს ეცნობი...

– თვითმფრინავშიც ასე ხდება. მე სერგეი მქვია. შენ?

ანაზდად მათ თავს ზემოთ ნეონის ოთხეუთხა ნათურა ატკაცუნდა, ჩაქრა და დარბაზის ერთი მხარე დაბუნდა. კაცმა, რომელიც ალიონას წინ გაზითს კითხულობდა, მაღლა აიხედა და შეიგინა. სერგეის ჩაეცინა, მან კი შვებით ამოისუნთქა – ბინდბუნდში უკეთესად იგრძნო თავი, ცისფერ-თეთრი ნათებისგან თვალი ისე აღარ იძაბება. ლაპარაკიც, რატომძაც, უფრო იოლია. კაცი სიმპათიური რომ არ ყოფილიყო, უფრო თავისუფლად იგრძნობდა თავს. ალიონას ბიჭებთან ურთიერთობა არ უჭირდა, რადგან პატარაობიდანვე სხვადასხვა სპორტულ სექციებში დადიოდა, სადაც გოგონებს მუდამ ბიჭები სჭარბობდნენ. ბიჭები უნივერსიტეტშიაც ბლომად იყვნენ და გვერდს გულგრილად არასოდეს უვლიდნენ. ხან ფულს სესხულობდნენ, ხშირად კონსპექტებს სთხოვდნენ. ყველაფერს აკონსპექტებდა და თანაც მკაფიო ხელნერა ჰქონდა. თუმცა, სხვა გოგონებისგან განსხვავებით, მისთვის პატარა არავის დაუნიშნავს. „ეს იმიტომ, რომ შენ მათთვის ძმაკაცივით ხარ, თავისიანად გთვლიან – ვითარებაში გაარკვია ქსენიამ, რომელთანაც ერთ ოთახში ცხოვრობდა,



## გალინა გრანვასპაია

– როგორც ქალი, შეუფერებლად იქცევი. კაცებს ქალებში ის უყვართ, რაც მათგან განგვასხვავებს. მათ შორის, გრძელი თმები. შენ კი, ჯარისკაცივით ზღარბივით თმა გაქცს. ქუსლინი ფეხსაცმელი და ნორმალური კაბა ჩაიცვი, რათა შორიდანვე იგრძნობოდეს რომ ქალი მოდის და არა ჩერჩეტი გოგონა!“ ერთხელ, ქსენიას ახლობელი ბიჭი რომეკა შეეცადა ალიონას დახმარებოდა და გადაწყვიტა ნათესავი ბიჭი გაეცნო; თქვენ ერთმანეთს იდეალურად შეენყობით, სპორტდარბაზიდან ისიც არ გამოდის. შეხვედრაც შედგა. ვასილი მართლაც დაკუნთული აღმოჩნდა,

რაც მამაკაცს გარკვეულ მიმზიდველობას ანიჭებდა. ღვინო და კამფეტებიც მოიტანა. სანამ ქსენია და რომა სამზარეულოში კარტოფილს წვავდნენ, ის ალიონას საკოცნელად მიეტანა, შეეცადა ხელი კაბის ქვეშ შეეცურებინა და ეს გაცნობიდან მხოლოდ ნახევარ საათში. ალიონამ მამინვე მისხვედრა, რომ ასეთი თავხედური საქციელი მისთვის მიუღებელი იყო. როგორც ჩანს, ვასილიმ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ადრიანად წავიდა. მოიმიზეზა, რომ დილით მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა. ქსენია დაინტერესდა: აბა, მოგეწონა? არა, უპასუხა ალიონამ. უნდოდა დაემატებინა, რომ უკეთესია არავის შეხვედე ვიდრე ასეთ ხეპრესთან გქონდეს ურთიერთობა. თუმცა, ალიონა ბუნებით ოპტიმისტი იყო და იმედს არ კარგავდა, რომ ისეთ ადამიანს შეხვდებოდა, რომელიც მასში გაცილებით მნიშვნელოვანს დაინახავდა, ვიდრე ფეხების სიგრძე და მკერდის ზომა. ბიჭები, რომელიც ქალის ინტელექტზე გიუდებიან, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობენ და არც არასდროს ყოფილან. რომც არსებულიყვნენ, მამონტებივით გადამენდებოდნენ. ვინც ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად არ არის დაპროგრამებული, დედამინიდან უთუოდ გაერება... ქსენიას საპირისპირო სქესისადმი ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდა და მისი სიტყვები სარწმუნოდ უღრდდა.

სერგეი ნორმალური ბიჭი ჩანს, რაც მისი გარეგნობიდან გამომდინარე გასაკვირია.

– თორმეტია, – კაცი საათს უყურებდა, – შუალამეა.

საინტერესოა, შუალამისას გაცნობა რამეს თუ ნიშნავს? „ჩვენ ერთმანეთი ზუსტად შუალამისას გავიცანით, ალმოსავლეთის აეროპორტში“..... ლამაზად უდრენს. კინოშიც, ალბათ რომანტიკული საყურებელი იქნებოდა. რეალობაში კი, ამაში, არავითარი რომანტიკია არ არის. მოსაცდელ დარბაზში ორპირი ქარი დასერნობს, ხელ-ფეხი გეყინება და გაკანკალებს. მთელი დღე უმოძრაოდ და ქურთუების გაუხდელად ზიხარ – ადგები და ადგილს წამში დაკარგავ. ისედაც ტევა არ არის, ხალხი კი სულ უფრო და უფრო მატულობს. გაცნობა შეიძლება რაღაც





სალამოზე, ან დისკოთეკაზე, როდესაც გამოპრანტული ხარ. არა, ღამე აეროპორტში – რომანტიკული გაცნობისთვის საუკეთესო ადგილი არ არის. ახლა სახლში რომ იყოს, ერთი კარგად გამოიძინებდა.

– ღვეზელი გინდა? – ჰერთა სერგეიმ.

დიახ, უნდა. ხელი გამოწვდილ პარკში ჩაყო, ღვეზელი ამოილო და ჩაკიჩა. გემრიელი იყო, ვაჭლის ჯემით.

– ჩვენთან ასეთები სკოლაში იყიდებოდა.

– ხო! ჩვენთანაც. კიდევ აიღე.

ალიონამ უარის ნიშანდ თავი გააქნია: არა, მეორეს ვერ მოერება. არადა, მესამესაც მოერეოდა და მეოთხესაც, მაგრამ პარკში ერთი ფუნთუშალა იყო დარჩენილი...

ალიონა ტკაცუნის ხმამ გამოაღვიძა. თვალი გაახილა და იატაკზე დავარდნილი უურნალი დაინახა. სერგეი დაიხარა და აიღო. ალიონამ დაამთქნარა, თვალები დახუჭა და როდესაც გაახილა კაცს მხარზე ჩანთა მოეგდო და მას დაჟყურებდა. სერგეის ზურგს უკან საათი ხუთის ნახევარს აჩვენებდა.

– გაიღვიდე? ყოჩალ. ყინული დაიძრა, მივემზავრები, – კაცმა უურნალი გაუწოდა, დახარა და უცებ ლოყაზე აკაცა, – დროებით. უნდა გავიქცე, ჩასხდომა გამოცხადდა.

– მშვიდობიან ფრენას გისურვებ, – წაიბუტ-ბუტა ქალმა, ვერ კიდევ ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ახლახან გვერდით ეჯდა და გაქრა, ჩასასხდომად აჩქარებულ მგზავრებს შორის გაუჩინარდა და ვეღარასოდეს ნახავს. ამ აზრის გაელვებისას რაღაცამ მტკიცნეულად უჩხვლიტა და საბოლოოდ გამოფხილდა – კაცს არც მისამართი, არც ტელეფონი არ დაუტოვებია, ადამიანთა მასიდან გამოჩნდა და მასაშივე ჩაიკარგა. არის აქ რაიმე გასაკვირი? მგზავრობისას ასეთი რამ ხშირად ხდება. ვინ იცის, რამდენჯერ გადაუხსნია გული უცნობი ადამიანებისთვის, რომელთა სახეებსა და სახელებს ახლა ვერც კი გაიხსენებს... ასეთი შემთხვევითი შეხვედრები კაცაც უამრავი ექნება. მენავთობება. თავად თქვა, დღეს აქაა, ხვალ იქ. შესაძლოა, უკვე სხვა გოგონას ეცნობა და ახლა მას უამბობს ანეკლოტებს... გამაღვიძა, ამაზედაც მაღლობა. შესაძლოა ჩემი თვითმფრინავი ისე აფრენილიყო არც გამღვიძებოდა. ალიონა მოიპუზა და ნამოღვომა დააპირა თუ არა მის რეისზე ჩასხდომა გამოცხადდა.

ნახევარ საათში უკვე თვითმფრინავის სალონში იჯდა, გასასვლელში, მოუხერხებელ ადგილას. თქმა არ უნდა, დღეც უილბლო გამოდგა. მართლაც, სერგეის ხომ შეეძლო, თუნდაც თავაზიანობისთვის, ტელეფონის ნომერი ეკითხა. თუმცა, ამის გაკეთე-

ბა თავადაც შეეძლო. რა აზრი აქვს? ის მოსკოვში სწავლობს, კაცი კი ტიუმენში ცხოვრობს. მათ რომანტიკულ გაცნობას სხვა რა დასასრული უნდა ჰქონოდა? არადა, კიდევ ერთ კვირას უნდა დარჩეს მოსკოვში, შეიძლებოდა შეხვედრილიყვნენ. წყენამ მწარედ უბნკინა... კარგი, დაივიწყე, ურჩია საღმა აზრმა.

ერთი დღის შემდეგ მურმანსკიცა და ფრენაც მისი გონებიდან საბოლოოდ გაქრა. ფულის გამომუშავების საშუალება გამოხტა – ერთი მეტად მოუცლელი მერეჯერისთვის, რომელიც დაუსწრებელზე სწავლობდა, სასწრაფოდ საკონტროლო უნდა მოემზადებინა. საქმეს რომ შეუდგა, ოთახში ქსენია შემოვიდა, ერთ ხელში ყავის დიდი ფინჯანი ეჭირა, მეორეში კი უურნალი. ის დასვენების დღეებში მშობლებს ესტუმრა და ბალაშიხადან დილით დაბრუნდა.

ქსენიამ თვალები მოჭუტა, ოთახი მოათვალიერა და მზერა ალიონას სანოლზე შეაჩერა.

– აბა, როგორია ის? – ჰერთა ეშმაკური ლიმილით.

– ვინ? – გაიკვირვა ალიონამ.

– მეც მაგის გარკვევას ვცდილობ, ვინ?

– ვისზე ამბობ? – გალიზიანებით ჰერთა ალიონამ.

ქსენიამ ჩაიხითხითა:

– თავი უბინო ქალწულად წუ მოგაქვს. თუკი რამის დამალვა გინდოდა უურნალი ყველაზე დასანას ადგილას არ უნდა დაგედო! – მან უურნალი გადააბრუნა და თითქმის დამარცვლით წაიკითხა: – „შენი გაღვიძება არ მინდოდა. აუცილებლად დამირეკე, გელი!“

ალიონას გული აუფრთხილდა და დაგადუგი დაუწყო. მერე წამოხტა, სკამი ხმაურით გასწია და ქსენიას უურნალი ხელიდან გამოჰველივა. უკანა მხარეს მართლაც გაკრული ხელით ეწერა: „შენი გაღვიძება არ მინდოდა. აუცილებლად დამირეკე, გელი!“ და ტელეფონის ნომერი.

ალიონას რომ არ გასცინებოდა ტუჩზე იქბინა, მერე მხრები შეატოკა და მკვირცხლად დაიწყო ჩერიტკის ცეკვა.

– სულელი ხარ! – ქსენიამ თავი გააქნია.

სულელია, აბა რა, ნამდვილი სულელი. გიხაროდეს და არ იცოდე რა. ტელეფონის ნომერი – დიდი ამბავი. ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, სრულიად არაფერს. მაგრამ გულის სიღრმეში სჯეროდა, რომ ისინი ერთმანეთს კვლავ შეხვდებოდნენ.

რუსულიდან თარგმნა  
აკაკი დაუშვილეა





### დარეჯან ჭავართაძე

#### ერთი მნიშვნელოვანი ეპოქა

ქალბატონო დარეჯან, მოგმართავთ როგორც ცოცხალს, ვნანობს, რომ ეს აღრე ვერ მოვახერხებ. თქვენ სკოლა ძალიან გიყვარდათ, თქვენ სკოლის საუკეთესო დირექტორი ბრძანდებოდით, მას შეალიეთ თქვენი დრო და ენერგია. ეს ყველასთვის თვალსაჩინო იყო. მცირე დროის მანძილზე, რაც დიდებული დარია ბოჭორიძისაგან გადაიბარეთ სახელოვანი პირველი სკოლა, მართავდით მას დიდი მონიშვნებით – მასწავლებლები, მოსწავლეები, მათი მშობლები – ყველა ემორჩილებოდა თქვენეულ წესრიგს, ყველას სურდა ამ ისტორიულ შენობაში ესწავლა, ყველა მისკენ მოისწრაფვოდა – თქვენს კეთილგანწყობას გრძნობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სიცოცხლე დუღდა, ამის უტყუარი მოწმე ვარ, ჩემი შვილები თქვენს სკოლაში სწავლობდნენ. თქვენი ხელმძღვანელობით იმართებოდა საინტერესო, დასამახსოვრებელი ღონისძიებები, შეხვედრები ყველასთვის ცნობილ და მისაბად ადამიანებთან (ხუმრიბა შეხვედრა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძესთან, საყვარელ პოეტ ანა კალანდა-ესთან...) ჩამოთვლა გამიჭირდება.

მახსოვს, თქვენი მონიშვნებით მოსწავლეთა დამეგობრება ბათუმის პირველი სკოლის მოსწავლეებთან, თქვენ ესტუმრეთ და ისინიც მოიწვიეთ, გააცანით მათთვის უცნობი კახეთი. წარმოუდგინეთ აჭარაზე მომზადებული მინი სპექტაკლი „გამარჯობა, აჭარავ!“ რომლის ტექსტიც ჩემთან ინახება. როგორ ხალისობდნენ ბავშვები, რა დაუკინებარი მოგონებები დარჩათ. ესეც ხომ მათთან აღმზრ-

დელობითი მუშაობის ნაწილი იყო, თქვენი მათზე გამუდმებული ზრუნვის გამოხატულობა.

სკოლამ და მისმა მრევლმა – მოსწავლეებმა, ბევრი სიკეთე მიიღეს თქვენი 15 წლიანი დირექტორობის პერიოდში: სკოლა გახდა იუნისექს ასოცირებული წევრი, საუნივერსიტეტო სკოლა, დაჯილდოვდა ი. გოგებაშვილის მედლით, დამსახურებულად მიენიჭა მეცე ერეკლეს სახელი.

მუდმივად ზრუნავდით სკოლის ყველა სხვა სკოლისაგან გამორჩეულ, სამაყო ისტორიის სრულყოფაზე. აკონტროლებდით სკოლის წინა კედელზე მის უკვდავსაყოფად გამწკრივებულ 20-ზე მეტ მემორიალურ დაფას, მათ უნდა შემოენახათ ყველა აქ მოღვანე მასწავლებლისა თუ მოსწავლეთა ხსოვნა, რომელთაც ასახელეს მშობლიური სასწავლებელი. ბევრმა მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი ქართველთა ნიჭიერებას. საკმარისია დავასხელოთ: ვაჟა-ფშაველა, სანდრო ახმეტელი, ივ. ბერიტაშვილი, ელენე ახვლედიანი – ისინი ბევრნი არიან და სასიხარულოა, რომ კვლავაც ემატებიან.

მახსენდება, როგორ გავემგზავრეთ თბილისში, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ბინაში (ოჯახთან წინასწარ შეთანხმებით), დიდი მეცნიერის საარქივო მასალების ჩამოსატანად, რომ ამით სკოლის ისტორია გამდიდრებულიყო. რა მონინებით ვეხებოდით მის წიგნებს, ნაშრომებს, ესეც დიდი ფიქრის და გაბედულების მაგალითად მიმაჩნია.

ერთი მეტად გამორჩეული, ორიგინალური და ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის გახსენებაც





ნამდვილად ღირს, რადგან მისი ხანგრძლივი და სირთულეებით აღსავსე სამზადისი ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა. ის წარსულის მოძიებასთანაც იყო დაკავშირებული, დიდ დროსა და მოთმინებას საჭიროებდა, მაგრამ ღირდა წვალებად. თქვენს მეგობარ პროფესორ გიორგი ჯავახიშვილთან ერთად სიძნელეს არ შეუშინდით, მეგობრებიც ერთგულად ამოგდებოდნენ მხარში. ეს იყო 1995 წელს – წმ. ნინოს სახელობის კლასის გახსნა გ. ჯავახიშვილს რეკომენდაციებითა და მისი საარქივო მასალების გამოყენებით. იდეა მოულოდნელი, გასაოცარი და თამამი იყო, მაგრამ ჩენი წარსული, სხათავან განსხვავებით, ამის განხორციელების საშუალებას იძლეოდა – ეს ხომ მისი ისტორია იყო „თუ კაცი მოინდომებს – რა ეშმაკი დაუდგება წინ?“ – როგორც ერთი ცნობილი ფილმის პერსონაჟი ამბობს, გამოგივიდა! რა ხალისით ჩაერთვენ თქვენი უმცროსკლასელი გოგონები და მათი მშობლები უზვეულო კლასის გახსნის სამზადისში, როგორ დაემორჩილნენ ძველმოდური სწავლების სტილს. შეიმოსწენ ძველ ფოტოსურათებზე აღბეჭდილ ადრინდელ მოწაფეთა სასკოლო ფორმით, რა ამაყად დაისარებოდნენ თანატოლთა შორის? თითქოს გაცოცხლდა ჩენი ძირძველი სკოლის სახელოვანი წარსული. ეს მართლაც განუმეორებელი მოვლენა იყო ქვეყნის სკოლათა ისტორიაში. მის შესახებ ბევრი ინტერესოდა მაშინდელ პრესაში. ამის დავინუყება დანამაულია, გახსნება – კი აუცილებელი.

2010 წელს გამოცემულ, ამჟამად უკვე „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე წიგნში „ქალთა განათლების კრები თელავში“, რომლის ავტორებიც წელს, 17 მაისს, „საქართველოს ქალთა საბჭოს“ მიერ გაცემული „მადლიერების სიგელით“ დაჯილდოვდნენ, მეთექვსმეტე გვერდზე ვკითხულობთ: „1995 წელს დიდი ხნის წაფიქრი განვახორციელეთ, როცა თელავის 1 საშუალო სკოლის დირექტორის დარეჯან ჭანკოტაძის თანადგომით, სამი პირველი კლასის ბაზაზე შეიქმნა წმ. ნინოს სახელობის კლასი (ხელმძღვანელი

ლია ლეკიშვილი). მასში მუსიკა-გალობას ასწავლიდა ორ ღუდუმიძე, ქარგვას – ლია ბადურაშვილი, ხატვას – ლეილა ბაგრატიონ-ბაბადიშვი, ხოლო კლასს შეფობას უწევდა მხატვარ-კერამიკოსი ნანა ბოტკოველი.

1995 წლის 9 ოქტომბერს, აღნიშნულ კლასში პირველი გაკვეთილი ჩაატარა ამ სტრიქონების ერთ-ერთმა ავტორმა გიორგი ჯავახიშვილმა. გაკვეთილის თემა იყო „მზე“. აქედან მოყოლებული, პირველი სასწავლო წელი მან მთლიანად დაუთმო ქართული ხალხური ზღაპრების სწავლებას, ხოლო როდესაც ბავშვებმა ანბანის სწავლა დაამთავრეს, მათთან ქართული ტრადიციების შესახებ გაკვეთილების ჩატარება დაიწყო.

წმ. ნინოს კლასისათვის ოთხი წლის მანძილზე ენყობოდა ექსკურსიები და იბეჭდებოდა სპეციალური გაზეთი, სახელწოდებით „წმ. ნინოს კლასი“ და სხვ.

სამწუხაროდ, წმ. ნინოს კლასი მხოლოდ ერთმა ჯგუფმა დაამთავრა.

ისე ჩანს, რომ თქვენმა ამ სკოლაში მცირებინმა მოლვანეობამ ერთი მნიშვნელოვანი ეპოქა მოიცვა. აღნიშნულის გარდა, კიდევ ბევრ მოსაწონ ამბავს იტევს ეს დრო, რომელთაც, ჩემზე ბევრად უკეთ, თქვენი ამგვარ საქმეთა თანაზიარი გ. ჯავახიშვილი გაიხსენებდა, მაგრამ...

მიხარია, რომ ამაგი დაგიფასდათ, ეს ხომ ყოველთვის არ ხდება?

თქვენ – თელავის საპატიო მოქალაქედ აგირჩიეს.

თქვენ – ღირსების ორდენი მოგანიჭეს,  
თქვენ – „ევალი კეთილი“ დატოვეთ.

ნათელში იყავით ჩენი ბობქარო, საქმიანო, ხალისიანო, სკოლის ამაგდარო დირექტორო ქალბატონო დარეკჯან.

**მარინე გოგაძე**

**2024 წელი, 21 ივნისი**

**თელავი**





## ଶ୍ରୀମତୀ ପରିବାର

תְּנִשְׁאָרֶת וְתַּסְׁלִילָה וְתַּסְׁלִילָה וְתַּסְׁלִילָה

რომელ ვრცელ აქვთ? ალბათ, იმიტომაც, რომ ეს ნიგბი, რომელსაც თავისი დარბიზე ხელს შეკახებთ და გადაძლიათ კაფეუ, მიგაბეჭედონებთ, რომ მისი ავტორი სხვორდავთ რომ ილია მარ-თლის გზზზზ შემტევრი შემოუმწევია, ისეთი შემოუმწევი, რო-მელსაც დაუყვეფრმლიად შეიძლება იღიოლი ვუწოდოთ.

ამ ნიგბს მართლაც რომ უქათქათხეთ, მუკინება ანგე-ლოსტი მფარველობრინ და უნათებენ სადაც გზას.

၁၂

## ანგელოსტა საუფლოები

„რაც გრძდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს“, – წერდა ილია ჭავჭავაძე – წმინდა ილია მართალი და ასე აფხიზლებდა საღათას ძილს მიცემულ ქართველობას. არადა, უმძიმესი პერიოდი უდგა იმდროინდელ საქართველოს. რუსული ცარიზმის საცეცებში მომწყვდეული ქვეყანა თანაბრძობით კარგავდა საკუთარ იდენტობას, მეობას, ტრადიციებს და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ენას. ივერთა მიწის მკვიდრნი ლამის თაკილობდნენ მშობლიურ ენაზე საუბარს და ამაყად, მედიდურად და, ამავე დროს, საოცარი თაგმოდრეკით, მონურად ეთაყვანებოდნენ რუსულს...

ახლაც თითქმის იდენტური ვითარებაა. ყველაფერი, რაც აგრძელიგად ქვირფასი იყო თითოეული ჩვენგანისთვის, რითაც თავი მოგვწონდა და სალოცავ ხატად მიგვაჩნდა, ყოველდღიური აგრესის სამიზნედ ქცეულა. ქართული ანბანის გაბიაბრუებასაც კი არ მოერიდნენ პროფესორის მანტიას ამოფარებული მუცლითმეზლაპრეები, რომლებიც ნაწვიმარზე ამიზრდილი სოკოებივით მრავლდებიან. თუმცა „ნაწვიმარი“ რა მოსატანია, ამას ახლა გრანტი ჰქვია, რომელიც რასაც უნდა იმას ათქმევინებს და ჩაადგინებს შოშიას ბართყებივით პირდალებულ არაკაცებს.

პოდა, ახლა დიდი სიფრთხილე და სიფხიზე  
გვჭირდება სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეულ  
ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას. სული უნდა  
უებეროთ ჩვენს დედასამშობლოს, დედაეკლესიას, ქარ-  
თულ დედაბოძებს, ბურჯაად რომ უდგანან ჩვენს ოჯახ-  
ებს და სიმტკიცისკენ, შეუპოვრობისკენ, ვაჟუაცობისკენ  
მოგვიწოდებენ, რათა ამ ქვეყანაში დედას დედა ერქვეს,  
მამას კი – მამა, ქალიშვილს – ქალიშვილი, ვაჟიშვილს  
– ვაჟიშვილი.

რატომ ვწერ ამას? ალბათ, იმიტომაც, რომ ეს წიგნი, რომელსაც თავის დროზე ხელს შეახებთ და გადაშლით კიდეც, მიგახვდედრებთ, რომ მისი ავტორი სწორედაც რომ ილია მართლის გზაზე შემდგარი შემოქმედია, ისეთი შემოქმედი, რომელსაც დაუყვედრებლად შეიძლობა იმოიხვევოთ აზროვნობ.

ამ წიგნს მართლაც რომ უქათქაოთესი, მჭვირვალე  
ანგალოოსაბი მთარველობინ და უნათებინ სავალ გზის.

ამ წიგნში მკითხველი ვერ შეხვდება იზმებით გა-  
მოქმედილ ტექსტებს, ვერც ფილოსოფიურ მსჯელობებს  
წუთისოფლის წარმაკლობაზე, ამაოება ამაოთაზე.

არა, ბატონები, წიგნის ავტორს, მისი მოთხ-  
რობებივით სადასა და უბრალო პროზაიკოსს როლანდ  
გიორგაძეს, რომელიც თავისი არსით ქართველ გუთნის-  
დედასა თუ მეზვრეს მოგვაგონებს, ერთი მეტად საპა-  
ტიო ამოცანა დაუსახავს მიზნად: თავის საესავ სამშობ-  
ლოს, თავის საესავ თანამოძმეთ შეახსენოს, თუ რანი,  
როგორნი ვიყავით გუშინ თუ გუშინინ, ათი, ასი, თუ  
ათასი წლის წინ საუკუნეების ულრანებში ხეტიალისას,  
და როგორ უნდა შევინარჩუნოთ ფარნავაზისა და დაგით  
აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალისა თუ პატარა კახ-  
ის, თევდორე მღვდლისა თუ უსახელო უფლისციხელის  
სული, რათა თავინულებმა შევაძიკოთ მომავალში...

ამ წიგნში სულ რამდენიმე მოთხოვაბამ დაივანა, სადიდომაც და საბავშვომაც და კიდევ ერთმა პუბლი-ცისტურმა სტატიამ, რომელიც ბევრ საჭიროობო პრობლემაზე ამაღვილებს ქურადღებას.

ରୂପାଳଙ୍କ ଗୋଟିଏବାଦିଲେ ଲୋତୀରାତ୍ମିକୁରୁଣ୍ଡି ଗମିର୍ବେଳି  
କ୍ଷେତ୍ରାଳୀତ୍ତି ଦାନ୍ତିବାନ୍ଧବୀ ଦା ଵାୟୁକାନ୍ତେବୀ ଅରୀବାନ, ରମେଶ୍ବରାତ୍ମି  
ଇତ୍ତାବାନ ନାମଦ୍ୱାରିଲେ ସିଯୁଗାରୁଣ୍ୟିଲେଲି ଫୁଲି ଦା ତୁ ଥିଲାଜୀର  
କ୍ଷେତ୍ରବର୍ଣ୍ଣରେବା ବୁଲେ ଆର ଗର୍ବିଲାଦେବା, ରମ୍ବନର୍ତ୍ତ ଏହି ମାତ ନୀର-  
ମନ୍ଦିରଦ୍ୱାରାତ୍ମି, ବୁଲେ ମାନିନ୍ତି ସାତୁରାତ୍ମି ନିର୍ବାଚିତ ଅମ ବିମିଦା-  
ତାନିମିଦା ଗର୍ବନବୀବାଶ, ଶୁଲ୍ଲସ ଉଦ୍ଧରାଜେନ୍ଦ୍ର ଦା ଅନ୍ତଲ୍ଲେଖୁଲ୍ଲେବୀଲେ  
ଶେଷମିଦେବାତ ଅମ ଅନାଦୀ ଗର୍ବନବୀବି ଶ୍ରୀରାମିଲିନ୍ଦି ରହେବାନ. ରମ-  
ଗନ୍ଧ ଆର ନୀରାଜାବୁ ମାତି ନୀରମନ୍ଦିରଗେନ୍ଦ୍ରା ଅମ ଉଦ୍ଧିବାଦେବୀ ଶୁଭ-  
ସତ୍ତାନ୍ତିବାଠି ତାନାମେଧିରାତ୍ମି ତୁଲ୍ଯେବାଦୀମର୍ମିକରୀତିଲେ ଥିଲା-  
ଶ୍ରୀରାମ ମେଧିରାତ୍ମିଲେ ଶ୍ରୀରାମିଲିନ୍ଦି ଫୁଲିବୁର୍ଗବୀଶ, ଅରାତ୍ରିତ  
ରମି ଆର ନୀରମନ୍ଦିରରେବାନ ରମିଥା ଲୁହୁଶ୍ରୀମିଦ୍ବୁର୍ଗବୀଶ ତୁ କଲାରା  
ପ୍ରେତୀବିନ୍ଦିଲେ ବୁଲେବୁଶ.

ამ მოთხოვნების ავტორი სერიოზულადაა შეწყვეტული ქართული განათლების სისტემის ზოგიერთი ასპექტის გამო, სრულად აქვს გასიღვრძებანებული პედ-აგოგის, მასნავლებლის როლი ამ ურთულებს, ფეთქებადაშიშ გარემოში. ამის დასტურია მოთხოვნა „ბოლო გაკვეთილი“, რომლის მთავარი პერსონაჟი გამუდმებით ფიქრობს, თუ რა გზებით, რა საშუალებებით უნდა გაფულდეთ ახალგაზრდა თაობას მშობელი ქვეყნის სკულპტორი, იჯიბ, რომ მხოლოდ სულიორების პრიმა-

ტის მომძლავრება გადაგვირჩენს მოზარდ თაობას, რომ არ უნდა დაირღვეს კავშირი თაობებს შორის, თაობები არ უნდა აღმოჩნდნენ ცხოვრების მთავარი დინების სხვადასხვა ნაპირზე, რომ დროს ადამიანები ვერწიოთ და არა პირიეთ.

ერთ-ერთი მოთხოვნის გმირს, საავადმყოფოს რენიმაცაში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ პაციენტს ზმანებაში უფლის ანგელოზი გამოეცხადება და წვრილად მოაყოლებს მისი ცხოვრების განვლილ გზას. ისიც ჰყვება, ჰყვება და აღმოჩნდს, რომ არაერთი შეცდომის მიუხედავად, არ გამხდარა სატანისა და ეშმას არჩივი, არ უღალატდა იმ პრინციპებისათვის, რისთვისაც ადამიანები მოვლინებული ვართ ამქეცხნად. ჰოდა, მოხდება სასწაული – სასიკვდილოდ განწირული კაცი გამოჯანმრთელების გზას დაადგება.

სულ დამაგინებდა მეთქვა, რომ ამ წიგნში შესულ მოთხოვნებს ერთი მთავარი პერსონაჟი ჰყავს და მას სიკეთე ჰქვია. სიკეთე და მადლი ამოძრავებს მარტო ამ მოთხოვნებს კი არა, ავტორის მოკრძალებული აზრით, სამყაროსაც.

მოთხოვნაში „თეთრი მტრედი“ მოქმედება ცივ ზამთარში, სუსითა და ყინუით გავრცელებულ გარემოში ხდება. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომელიც დღე-დღეზე შვილის დაბადებას ელოდებინ, იძულებული არიან ქუჩაში დადგნენ და მომავალი მამის – ჩინებული მევიოლინის დაკვრით იშოვონ თანხა, რომელიც სამშობიარო სახლისათვის სჭირდებათ. ერთ-ერთ ეზოში შესულ აძაგაგებულ წყვილს ფანჯრიდან თვალს მოჰკრავს მოხუცი მამაკაცი, რომელიც მყისიერად ჩავა ეზოში და ახალგაზრდებს ფულის მოზრდილ შეკრასა გადასცემს. ვითომც არაფერი, მაგრამ საქმე ხომ ის გახლავთ, რომ ამ ფულს ის სულურთხეული ძალინ დიდანს აგროვებდა მშობლიურ სოფელში სახლის შესაკეთებლად. დიახ, თანაგრძნობა ერთ-ერთი უმთავრესი ნიჭა ადამიანისა, რაც უხვად აღმოჩნდება, ალბათ, მრავალჭირნახად მოხუცს. სიკეთის კეთების სურვილით გამოირჩევა მეორე მოთხოვნის „მარინეს“ მთავარი გმირიც – მუსიკალური სკოლის დირექტორი, რომელიც დახმარების ხელს გაუწვდის პატარა გოგონას და მას ჩინებულ მუსიკოსად აღზრდის.

თუ რამისკენ მოგვიწოდებს როლანდ გიორგაძე, იმისკენ მოგვიწოდებს, რომ ჩვენ, კველანი, რა გაუსაძლის პირობებშიც არ უნდა მოგხვდეთ, რა გაჭირვების თუ პრობლემის ნინაშეც არ უნდა აღმოჩნდეთ, არ უნდა გავბოროტდეთ, არ უნდა ავიგსოთ სული შურითა და შეამით, ბოღმითა და სამსალით. და თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ მაინც გავალნებთ სამშვიდობოს.

როლანდ გიორგაძისათვის ცხადზე უცხადესია, რომ თუ რამ გადაარჩეს ქართველ კაცს წუთისოფლის ინროებში გადაჩევისაგან, ადგილის დედასთან,

## როლანდ გიორგაძე

# ცილოტხე ამოქანგული მზე

სოფელთან კავშირის შენარჩუნებაა, უფრო სწორად რომ ითქვას, თავად სოფლის გადარჩნაა უმთავრესი, რომელიც ჩვენთვის, ანთეოსისა არ იყოს, ძალისა და ენერგიის მიმცემია. სოფელთან კავშირს ფესვებთან კავშირი ჰქვია და თუ ამ ყველაფერს ზურგს აქცევ და მოსწყდები, ფესვები ამას არ გაბატიებენ, უფუნქციოდ დაგტოვებენ და შენი ცხოვრებაც ფუჭად, ამაოდ ჩაივლის.

რა საინტერესოდ ხატავს მწერალი გლეხიგაცის მარჩენალი ხარის ისტორიას. ნიკორა და მისი პატრიონი ლამის ერთ სულად და ხორცად არიან ქცეულნი და ისე ეწევიან ცხოვრებისუელ ჭაპანს...

მწერალმა კარგად იცის, რომ ადამიანი საკუთარ თავს ვერსად გაექცევა და ვერსად დაემალება, რომ ადამიანისთვის ყველაზე მთავარი ორთაბრძოლა საკუთარ თავთან შერკინებაა და თუ ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოხვედი, შენი მომრევი ამქვეცნად არავინ იქნება.

„შიშს არა განსაცდელთა მოწვევნაი იქმს, არამედ გონიერის უძლეურებაი.“

იოანე ოქროპირის ამ შეგონებას, როგორც ჩანს, კარგად იცნობს მწერალი და მთელ მის შემოქმედებას, ამ კრებულში შესული მოთხოვნების ჩათვლით, ლაიტ-მოტივად გასდევს ადამიანის სულიერი სიმტკიცე, ადამიანის რწმენა და ქედუხრელობა ყველა დაბრკოლების მიმართ. ამიტომაცაა, რომ შიში მის პერსონაჟებს თითქმის დაძლეული აქვთ. თითქმის-მეთქი რომ ვაცხადებ, იმას ვგულისხმობ, რომ ერთი შიშის დაძლევა წარმოუდგენელია და მას სამშობლო ქვეყნის იავარქმის შიში ჰქვია. ამ შიშის გარეშე ხომ აქამიმდეც ვერ მოვალნევდით.

ვწერ ამ სტრიქონებს და გონიერი საუკუნეების ერთ-ერთი დიდი მწერლისა და მოაზროვნის, ოთარ ჭილაძის ციტატა წამომიტივტივდა:

„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მოწებს.“

დიახ, ბატონები, შემიძლია გულზე ხელი დავიდო და ისე განვახადო: როლანდ გიორგაძე – მწერალი და მოქალაქე, საოცრად ჰგავს მის სამშობლოს. როლანდ გიორგაძე არ დაბადებულა მონად (ლმერთმა დაიფაროს) და ამიტომაც იგი ადამიანია, ქუშმარიტი ადამიანი, ალიკვალი მისი ბედერული ქვეყნისა.

ამბობენ, ოცნება მღვიძიარეთა სიზმარია და თუ ასეა, მაშინ თქვენს სიზმრებს გაუმარჯვოს, ბატონო როლანდ, მტკიცედ გვნამს, რომ თქვენი და ჩვენი სიზმრები ერთ დიდ ვულეანურ ძალად გადაიქცევა, წალეკავს ამქვეცნად არსებულ ყველა ბოროტებას, ყველა უნინდურებას და გადაარჩენს თქვენსა და ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს, რომელსაც სრულიად სამართლიანად, ანგელოსთა საუფლოდ მიიჩნევთ.



გივი  
ჩილვისაძე

- ჩქარა გარტილა მოიგევარეთო!..  
ასე რემცვია მის ერთ დიდ წესის. შეცდა თურმე ამ მაღალ  
წესზე თავადაუ მეტად მაღალი მიტროპოლიტი და გაქან-  
და ნინ. იმ არის მისულა მსახურებთან, როგორც კულტურული  
ნაკრძალვათ და სერმინენ. მეუფე დარცვია მძარბელების, წესის  
აკადემიურ და მის სერმიდა თურმე კულტას. მწერის მწხოვნე-  
რლები მჭიდრო მოფარმობინენ და ხედავინენ. თუ როგორ  
დაგინა ერთმა წესზე ამხედრებულმა მხედარმა დამხვდაურები.  
ხალხი კიდევ გროვდებოდა ჩხურის ადგილას, მაგრამ ვინ და-  
კითს მიუახლოოვდებოდა, წესის დატყუპით იწილებდა. კულტა  
აფრთხოება აქცენტის სიმაღლე წესზე ალფის ხის სიმაღლე  
დაყით მიტროპოლიტი.

### 3. ከዕድሜዎች

პრუფის მონაცემი და მრავალქლის ეკლესია

ეს ორი ქრისტიანული სალოცავი უმნიშვნელო-  
ვანესია საქართველოს ისტორიის, ქართული ქრის-  
ტიანობისა და ქვეყნის კულტურული წარსულისათ-  
ვის. მათ მეზობლობას ერთმანეთთან გარკვეული  
კავშირობიც განამტკიცებდა. ორივე წმინდა გიორ-  
გის სახელობის იყო, ორივემ დიდი ისტორია შეიქმნა  
(ჯრუჭმა თავისი უნიკალური ხელნაწერი წიგნებით,  
საუცხოო ნაგებობებით, ოქრო-ვერცხლით მოქუდ-  
ილი საეკლესო ნივთ-სამეცნიერო...), 1991  
წელს ორივე მიწისძრამ გაასწორა მიწასთან  
და დღეს თრივე აღდგენილია თითების. ჯრუჭმის  
წმინდა გიორგის მონასტერი მდებარეობს ზემო  
იმერეთში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, მდინარე  
ჯრუჭულის ხეობაში. დაარსებულია X საუკუნეში.  
მრავალძლის წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს  
რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ მრავალ-  
ძლში, დაარსებულია XI საუკუნეში. მათ შორის  
მანძილი რაჭის ქედზე გადავლით დაახლოებით 14  
კილომეტრია...

თამარ მეფე ჯურუქსა და მრავალძალში. ცნობილი ლიტერატური სიმონ სხირტლაძე წერს: „გადმოცემით ვიცით, თითქოს რაჭაში მოგზაურობის დროს მრავალძლის ტაძარი თამარ მეფეს მოენახულებინოს, იქიდან კი ჯურუქში გადასულიყოს. საყურადღებოა, რომ სიხათაზე იმერეთისკენ მიმავალი გზის ერთ-ერთ ადგილს დღესაც „თამარის ღელო“ ეწოდება“ (სიმონ სხირტლაძე, მრავალძალი, 2000). მართლაც, თამარის ღელე ბუჩქნარინ-ტყიანი ხევია, რომელიც ჯვრიდან ანუ სიხათის უღელტეხილიდან სამართლის სამართლის მიმართ მიმდინარეობს.

მის შუა ადგილას მოზრდილი წყარო გამოჩენის, რომლის ახლოს უჩვეულოდ დიდი წისქვი-ლის ქვის მსგავსი ლოდი დევს. სამხრეთით, მთის ძირიდან, თამარის ღელის ხევი მარჯვნივ უხვევეს და ფასკნარის ხეობას უერთდება. ჩვენ უკვე გარკვეული გვაქვს, რომ „ფასკნარა“ (ფასის კარი) ფასის ანუ

რაჭის კარია (გივი ჩილვინაძე, წინაპართა ნაცქერი სივრცეები, 2021 წ.) და სწორედ ამ პატარა მდინარის ხეობას იყენებდნენ თავდაპირველად რაჭაში გადასასვლელად. მოხვაშიც სრულიად მართებულად იმას ამბობენ, რომ თამარი მრავალძლიდან კი არა, თითქოს პირიქით, ჯრუჭის მონასტრიდან გადასულყოფის მრავალძლში და თამარის ლელეში არსებული წისქვილის ქვის მსგავსი ლოდი მის დასასვენებლად ყოფილიყოს განკუთვნილი. მსგავსი გადმოცემა რაჭაშიც არსებულა: „თამარ მეფეს ეს წყალი დაულევია და მერე მოსულა მრავალძლში“ (პ. ცხადათ, ვ. ჯოვალია, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებები, ტ. 2). აქაც თამარის ლელეში გამომდინარე წყაროს გულისხმობენ.

გაუგრძელებია გზა ლაშქარს და ასულა ხინა-  
ათაზე. იქ უსამველო ნისლი და ბურუსი ყოფილა  
გაწოლილი, როს გამოც მტრის ჯარი ჯვრის გადა-  
სასვლელს ასცილებია, კაკლიეთის მაღალ სერზე  
ასულა და ჭოლევის კლდეს მიდგომია. წინ არაფერი  
ჩანდა თურმე და მოლაშქრეთა დიდი ნაწილი  
ჭოლევის კლდეზე გადაცენილა და დაღუპულა.  
სარდლისთვის უთქვამთ, აյ ახლოს დიდი სალო-  
ცავია და ნამდვილად ის არ გვიშვებს წინო. უხსენ-  
ებიათ მრავალძლის წმინდა გიორგი და უთხოვიათ,

სადამდეც შენი ზარის ხმა მიაღწევს, იმ ადგილებამდე არავის ვავნებთ, ოლონდ ახლა გადაგვარჩინეო. მართლაც ნისლი და ბურუსი გაფანტულა, ლაშქარს გზა გაუგრძელებია და მისულა მრავალძლის ეკლესის გალავანში. იქ დაბანაკებულა დამშეული ჯარი და სარდლებს კიდევ უთხოვიათ მრავალძლის სალოცავისთვის, შენი ძალა რომ მეტად ვირნმუნოთ, ზღვის გაღმა რომ ჯოგი დაგვრჩა, იქიდან ერთი ფური და ხარი აქ მოგვიყვანეო. მეორე დილას ეკლესის გალავანში ძროხა და ხარი უნახავთ დაწოლილი, რომლებსაც ზღვის გამოვლის გამო ქედებზე ქვიშა შერჩენოდათ. მტერმა ირნმუნა მრავალძლის ძალა და რაჭას გაეცალა... ეს თქმულება (ჯრუჭის მონასტრის გაძარცვის ამბის გარეშე) ჩართულია მრავალძლის წმინდა გიორგის ეკლესის აღნერასა და ისტორიაში, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ივერიაში“. ავტორია „ქართველი ოსებში“, იგივე ნესტორ ბაკურაძე („ივერია“, № 42-43, 23-24 თებერვალი, 1894 წ.).

ჯრუჭის მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც განდი დატოვეს, თურქების ლაშქარი აღარ გამოჩენილა...

როგორც ვხედავთ, ეს თქმულება ჯერ კიდევ XIX საუკუნეშია ჩაწერილი, სხვა ჩანაწერებიც არსებობს, მაგრამ ჯრუჭის მონასტრის გაძარცვისა და მისი განძის დამალვის ამბავი მის არცერთ ვარიანტში არ გვხვდება. ახალი ვარიანტი მიამბეჭა საჩხერის რაიონის სოფელ უზუნთაში ვალოდია მაჩაიძემ

და მერიკო იობაშვილი-მაჩაიძისამ. მათთვის უამბნია კალისტინა გაგნიძე-მაჩაიძისას, რომლის მამა როსტომ გაგნიძე ჯრუჭის მონასტერში ყოფილა გაზრდილი.

ლოდი, რომლის ქვეშაც სავარაუდოდ ჯრუჭის მონასტრის განძი იყო დამაღული, დიდი ხნის წინ აუფეთქებიათ, მაგრამ იქ ვერაფერი უნახავთ... ვერ უნახავთ, რადგან თქმულებები ხალხს ფულით არ ამდიდრებენ, ისინი სულიერ სიმდიდრეს წარმოადგენენ.

მრავალძლელთა გათავისუფლება ჯრუჭის მონასტრის ყმობიდან. ნესტორ ბაკურაძე „ივერიაში“ დაბეჭდილ იმავე წერილში გადმოგვცემს, რომ ჯრუჭის მონასტრის ერთხანს სოფელ მრავალძლის მცხოვრებნიც ეკუთვნოდნენ, კერძოდ, სხირტლაძეების ერთი ნაწილი, რომლებსაც „ხატის კაცებს“ უწოდებდნენ. მათ უთხოვიათ მრავალძლის ეკლესიაში თავიანთი მოძღვრისთვის ხუცეს გიორგი სხირტლაძისთვის, იქნებ გაგვათავისუფლო ჯრუჭის მონასტრის ყმობისგან. გიორგი ხუცესს დავით მიტროპოლიტისთვის (ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი, შემდგომში სამეგრელოსა და იმერეთის ეპისკოპოსი) მიუმართავს თანამოგვარეთა გასათავისუფლებლად, მაგრამ მიტროპოლიტს უარი უთქვამს, რადგან უსაბუთოდ უცვნია ეს საქმე. გიორგი ხუცესს შეუკრებია საჭირო სიგელ-გუჯრები, სადაც აღმოჩენილა, რომ თურმე ამ გლეხებს დროებით ჰქონიათ დავალებული ჯრუჭის მონასტრისთვის





ხარკის ძლევა და ვადა უკვე გასულიყო. ხუცესს სასამართლოში შეუტანია ეს საბუთები. ქუთაისში ჩასულს შემთხვევით დავით მიტროპოლიტი შეხვედრია და უკითხავს:

— რა ჰქენი, გიორგი ხუცესო, შე საწყალო, არ გაგიგონია, რომ კამეჩის მორქენალ ხარს რქა არ შერჩენია?

გიორგი ხუცესს უპასუხნია:

— მეუფეო, არ ვიცოდი, თუ თავს კამეჩად ჩაიგდებდით, თვარა არ ვიჩივლებდით.

მიტროპოლიტს უთქვამს:

— ჰო, კარგი, ეცადე, ბეჩა, ეცადე, რომ საქმე მოიგოვო.

— თქვენმა მადლმა, მეუფეო, ვეცდები და კიდევაც მოვიგებო, - უპასუხნია მღვდელს.

მას მართლაც მოუგია საქმე და გაუთავისუფლებია თანასოფლელი „ხატის კაცები“ სამონასტრო გადასახადისგან.

რას წარმოადგენდა მონასტრის ყმობა და რისი გადახდა ევალებოდათ გლეხს?

აი, რამდენიმე მაგალითი: ჯრუჭის მონასტრის ყმას სოფელ ფარახეთიდან მთელი წლის განმავლობაში ერთხელ უნდა გადაეხადა: ერთი კოკა ლვინო, ერთი კოდი პური, ერთი ქათამი, მარჩილის ხორცი, საური (საური ფულად გადასახადი იყო). ევალებოდათ აგრეთვე მუშაობა, სამსახური მონასტერში, კვირაში ორ დღეს. შექმერელ გლეხს ემართა ორი ლიტრა ყველი, რვა კოდი ქერი, საური, ცხენის ხედნა და ზამთარში შენახვა. წედისას და ირში მოსახლე გლეხებს, რკინა უნდა მიეცათ მონასტრისათვის (იმერეთის მეფის სოლომონ მეორის სიგელი ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი გლეხების შესახებ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ № 1329). როგორც ვხედავთ, მონასტრის კუთვნილი გლეხი თითქმის მთელი წლის განმავლობაში თავისუფალი იყო. ამასთანავე მონასტერი მას პატრონობდა – იცავდა სახელმწიფო მოხელეებისგან, ზოგ შემთხვევაში სამხედრო ბეგარისგანაც, აძლევდა მინას, ასახლებდა უკეთეს ადგილზე, ზრუნავდა მისი გამრავლებისთვის, ეხმარებოდა გაჭირვების ან შიმშილობის დროს, მის შვილებს სურვილის შემთხვევაში აძლევდა ზოგად ან საეკლესიო განათლებას, აგვარებდა მათ შორის დავას და ა. შ.

აქვე დავძნოთ, რომ სხირტლაძები, მათ შორის „ხატის კაცების“ შთამომავლები, ჯრუჭის მონასტრის ახლოს სოფელ მოხვაშიც ცხოვრობენ.

**აკაკი წერეთელი ჯრუჭის მონასტერსა და მრავალძლის ეკლესიაში.** ბავშვობის ერთ დღეს მომავალმა დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა ორი საოცარი სალოცავი იხილა. ეს ამბავი ასე ცხადდება: ცნობილმა ლიტერატორმა სიმონ სხირტლაძემ აკაკის მიერ 1904 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში ყურადღება მიაქცია ერთ ადგილს, სადაც მწერალი იგონებს, ბავშვობაში ჩემი თვალით მაქვს ნანახი მრავალძლის ეკლესიაში დაცული შაპ-აბა-

სის ხმალიო, რის გამოც ბატონი სიმონი სამართლიანად ასკვნის, რომ აკაკი ბავშვობაში მრავალძლის ეკლესიაში იყო ნამყოფი (სიმონ სხირტლაძე, მრავალძალი: წერილები, ჩანაწერები, ნაწყვეტები ლექსებიდან, მოგონებანი, 2000 წ.). ეს ადვილი წარმოსადგენია, რადგან მრავალძლის წმინდა გიორგის ეკლესია იმერეთში ოდითგანვე სასწაულმოქმედ სალოცავად მიიჩნეოდა და უამრავი მომლოცველი მიდიოდა იქ. უფრო მეტიც, მას საზედაშე ღვინოსა და სასეფისკვრე ხორბალს რაჭის სოფლებთან ერთად ზემო იმერეთის სოფელი სარეკიც აძლევდა, – კერძოდ, თითო კომლი ერთ თუნგ ღვინოს და ერთ ლიტრ ხორბალს. მეც კარგად მახსოვს, საბჭოთა პერიოდშიც კი, როცა ეკლესია უარყოფილი იყო ხელისუფლებისაგან, მრავალძალში მარიამბის დღესასწაულზე იმერეთის სოფლებიდან მიმავალი მრავალი მომლოცველი გაივლიდა ხოლმე მოხვასა და უზუნთაზე. XIX საუკუნეში კი მოხვიდან ხიხათისკენ ახალი გზა არ იყო გაჭრილი და უმეტესად უზუნთის გზით დადიოდნენ.

ჰოდა, ჩემი მხრივ მინდა აღვნიშნო, რომ საჩხერიდან მრავალძლის ეკლესიაში მიმავალ მომლოცველებს ჯრუჭის მონასტერი ხომ წერეთლებს ეკუთვნილდა. მართალია, სხვიტორელი წერეთლები კვერეთის მონასტერთან იყვნენ დაკავშირებული, მაგრამ მრავალძალში მიმავალი როსტომ წერეთლის ოჯახი მის გვერდით გავლისას ჯრუჭის მონასტერსაც აუცილებლად მოილოცავდა. შემდეგ მომავალი მგოსანი სოფელ უზუნთას გაივლიდა, მერე სოფელ მოხვისკენ მდინარე ფასკანარის ან უზუნთის თავიდან მდინარე წყალფენილას კალაპოტს აუყვეპოდნენ და ხიხათაზე ავიდოდნენ, ამ სუბალპური მთის უკიდეგანო, უმშვიდეს და ულამაზეს სივრცეებზე გადაჭიმული სათიბების ხილვა ნამდვილად გაახარებდა პატარა აკაკის, მერე ამავე მთაზე რაჭა-იმერეთის ანუ ჯვრის უღელტეხილს გადაივლიდნენ და მრავალძლისკენ დაეშვებოდნენ. ესე იგი, შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისი ბავშვობის ერთ დღეს ჩვენი დიდი მგოსანი ორი ძვირფასი სალოცავის – ჯრუჭის მონასტერისა და მრავალძლის ეკლესის – მაღლის ეზიარა და ულამაზესი მთის ნახვითაც მოიხილა...

**ჯრუჭის მონასტრის ადგილები მრავალძლთან.** იმერეთის მეფებ სოლომონ დიდმა როსტომ რაჭის ერისთავის დამარცხების შემდეგ რაჭის საერისთავო გააუქმა და მისი დიდი ნაწილი თავად წერეთლებს უწყალობა. ამ დროს წერეთლების მთავარ მონასტერს – ჯრუჭის უდაბნოსაც დაუმატეს მინა-წყალი. სოფელ მრავალძლის მიმდებარედ მას საჯოგე ადგილები ერგო, კერძოდ, „ჯოგის საბინაო ადგილი, მდებარე რაჭის მთაზე, სახელდობრ „ნასახლარი“, იგივე „დიდ მინდორი“, საზღვარი აღმოსავლეთით და სამხრეთით – შექმერის სოფლის საზღვარი, დასავლეთით – საერთო სოფლის მრავალძლეულების და





ისევ ჯრუჭის მონასტრის ჯოგის საძოვარს „სოსევას“ ადგილებამდის და ჩრდილოეთით – ჩილვინაძის ადგილები“. ასევე „ჯოგის საძოვარი ადგილები მდებარე რაჭის მთაზედ, სახელნოდებული „სოსევა“. გობები, ყავარჯენა, გოგიტის ჭალა და ლაშე შუა, რომელიც არის საერთო სოფელს მრავალძალის მცხოვრებთა და ჯრუჭის მონასტრისათვის“ (მაია ქებულაძე, ჯრუჭის მონასტრის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის – მინათმფლობელობა, ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრებული 11, 1999 წელი). ასევე განივრცო მისი ტყები და სავარგულები სოფელ შემერის მიმართულებით...

წმინდა გიორგის მფრინავი ხატი. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ უზუნთაზე ჩემმა ახლობებმა ვალოდია მაჩაიძემ და მისმა მეუღლემ მერიკო იობაშეილმა-მაჩაიძისამ ასეთი რამ მიამბეს: XIX საუკუნეში მრავალძლის ეკლესიდან ჯრუჭის მონასტერში წმინდა გიორგის ხატი გადმოუბრძანებიათ. ეს ადვილი საქმე იყო, რადგან მრავალძლის ეკლესია ერთ დროს ჯრუჭის გამაბრნებულ არქიმანდრიტს დავთ მიტროპოლიტს ეკვემდებარებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ უზუნთაზე მცხოვრებ წარმოშობით მრავალძელ გლეხს, გვარად იობაშვილს, სასწაული უხილავს – მრავალძლიდან გადმობრძანებული ხატი თითქოს ისევ უკან მიფრინავდა. ხატების ფრენა გავრცელებული თემა ყოფილა ქრისტიანულ სამყაროში. აქაც არაფერი მიაჩნიათ დაუჯერებლად. ამ შემთხვევაში ის აზრი გამოაქვთ, რომ ხატს ძველი ადგილსამყოფელი მოესურება და უკან დაპრუნდა...

## დავით მიტროპოლიტი (ხერთელი)

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ერთი უავტორო ხელნაწერია (ფონდი, 1516), რომელიც აქამდე თითქმის არავის აქეს გამოყენებული, მხოლოდ რამდენიმე ცნობა აუღია იქიდან ისტორიკოს ოლდა სოსელიას. მასში ჯრუჭის მონასტრის ამაღლობინებლისა და არქიმანდრიტის, სამეგრელოს ჭყონდიდელისა და იმერეთის ეპისკოპოსის დავით მიტროპოლიტის (წერილის) ცხოვრების ეპიზოდები და ჯრუჭის მონასტრის საისტორიო ცნობებია გადმოცემული. აქვე ისე სახალისოდაა აღნერილი მეუფე დავითის თბილისისკენ მგზავრობა, რომ ვეცადე ცალკე მოთხოვთად წარმოგიდგინოთ.

დავით მიტროპოლიტი იმერეთის სახლობუცესის ზურაბ წერეთლის შეილი იყო. მან ჯერ კიდევ იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის დროს მიიღო მიტროპოლიტის ხარისხი. ყველაზე დიდანს ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტად მოღვაწეობდა. მის დროს მეტად გაძლიერდა და გამდიდრთა X საუკუნეში დაარსებული წმინდა სავანე. შემდეგ მეუფე დავითი სამეგრელოს ეპისკოპოსი ანუ ჭყონდიდელი გახდა, ბოლოს კი იმერეთის ეპისკოპოსი.

ამაყი მიტროპოლიტი საქართველოს ეგზარქოსს ისიდორეს (ნიკოლაკი) თითქმის არ ემორჩილებოდა, მაგრამ ერთხელ კი წასულა მის სანახავდ თბილისში. თან ახლდნენ თურმე ერთი ბერი, სხვა სამღვდელონი და ჩვიდმეტამდე მოსამსახურე. გაუვლიათ მგზავრებს ქართლი და მცხეთის ხიდთან ჩამომხტარან წყლის დასალევად. მსახურებს მაღე გაუგრძელებიათ გზა, დავით მიტროპოლიტი და სამღვდელონი კი კარგა ხანს შეჩერებულან. მოსამსახურეთა წასვლის შემდეგ მღვდელმათავარს კიდევ ერთი კაცი დაუნიანურებია, რათა თბილისში ბინა მოემზადებინა. ეს კაცი დასწევია წინ წასულ მოსამსახურებს და უნახავს, რომ ისინი მცხეთასთან გაუძარცვავთ. იგი მაშინვე უკან გამობრუნებულა და მიტროპოლიტისთვის შეუტყობინებია ეს ამბავი. მეუფე დავითის დაუძანებია:

– ჩერა გარჯილა მომგვარეოო!..

ასე რქმევია მის ერთ დიდ ცხენს. შეჯდა თურმე ას მაღალ ცხენზე თავადაც მეტად მაღალი მიტროპოლიტი და გაქანდა წინ. იმ დროს მისულა მსახურებთან, როცა ყველაფერი წაერთმიათ და სცემდნენ. მეუფე დარევია მძარცველებს, ცხენს აჯახებდა და ძირს სცემდა თურმე ყველას. მცხეთის მცხოვრებლები მტკვარს მოდგომოდნენ და ხედავდნენ, თუ როგორ დაფინა ერთმა ცხენზე ამხედრებულმა მხედარმა დამხვდურები. ხალხი კიდევ გროვდებოდა ჩხების ადგილას, მაგრამ ვინც დავითის მიუახლოვდებოდა, ცხენის დატაკებით იცილებდა. ყველას აფრთხობდა აქლების სიმაღლე ცხენზე ალვის ხის სიმაღლე დავით მიტროპოლიტი. ამ დავიდარაბის შემყურე მთელი მცხეთის თავად-აზნაურობა და გლეხობა გადასულა ხიდზე პარის ტარებით შეიარაღებულები ძახილით:

– ჰერით მაგ სუცესსა!

მაგრამ დავით წერეთელი თავის გარჯილას ატრიალებდა, ხელთ ერთი მომსხმო ჯოხი ეჭირა და ვისაც დაკრავდა, ფეხზე ვერ ჩერდებოდა.

ამასობაში მიახლოებიან ეს შეიარაღებული მცხეთელები მოჩხუბრებს. იცნო თურმე მოხუცმა თავადმა გედევანიშვილმა დავით მიტროპოლიტი და დაიყვირა:

– გაგვინდურა ღმერთი, ეს ხომ დავით მიტროპოლიტია, წერეთელი!

ამის გაგონებაზე ყველა გაჩერებულა. ცხენზე ამხედრებული მაღალი მიტროპოლიტი კი ისეთი თვალებით იხედებოდა ისევ, თითქოს ყველას გადაყლაპვას აპირებს.

– მცხეთელებო, – უთქვამს მათთვის მიტროპოლიტის, – ჩემი მსახურების გალახვას ძვირად დაგივენოთ.

მცხეთელები შეშინებულან, წელში მოკაკვულან და ხელზე ამბორის ყოფა მოუნდომებიათ მეუფისათვის, მაგრამ ვერ გაუბედავთ.

– რას გვერჩოდით, რა დაგიშავეთო? – მკაცრად უკითხავს მეუფე დავითს, მაგრამ პასუხი ვერავის გაუცია.





ცოტა ხნის შემდეგ, გაშორებია მათ დავით მიტროპოლიტი და წასულა თბილისისკენ თავის მსახურებთან ერთად.

ამ ჩხუბის მიზეზი კი აი, რა ყოფილა:

წინა დღეებში ადიდებულ მტკვარში ირემი ჩავარდნილა. მთელი მცხეთის მცხოვრებნი ორივე ნაპირზე დასდევნებიან წყალწალებულ ცხოველს. ზოგს ქვები უსვრია, ზოგს კეტები, მაგრამ „ვერ დაურჩენიათ“. ამ დროს გზად თბილისიდან ერთი იმერელი მოდიოდა თურმე. მცხეთის ხიდიდან უსვრია თოფი ირმისთვის და მოუკლავს. მდინარეს ცხოველი ნაპირთან მოუგდია და მცხეთელებსაც შევებათ – ირემი წყლიდან გამოუტანიათ. იმერელს იმდროინდელი წესისამებრ, როგორც ირმის მომნადირებელს, ცხოველის თავი მოუთხოვია, მაგრამ არ მიუციათ. მერე უთქვამს, ერთი ყური და ერთი ფეხი მაინც მომიქრითო. მცხეთელებს ესეც არ მიუციათ. იქიდან წამოსულ გაბრაზებულ იმერელს ერთი ძეგველი გლეხი უნახავს, რომელსაც ნაბადი მიეკიდა ხეზე. იმერელს ხესთან ცხენი მიუგდია და ნაბადი ჩამოულა.

– რას შობი, კაცო? – დაეძახნა ძეგველს.

– რა ვშობი და ქე მიმაქვს შინაო, უპასუხნია იმერელს.

– რათაო? – ეძახის თურმე გლეხი.

– მცხეთაში ირემი მოგვალი, „მოსამკვლელო“ არ მომცეს და ეს მიმაქვს მაგიერადო.

ძეგველი ლანძღვით დასდევნებია.

– ტუტუცი ყოფილხარ, ცეტო იმერელო, მე რას მერჩი, ისევ იმათ სთხოვეო.

მაგრამ იმერელს ცხენსთვის ქუსლი უკრავს და ნაბადი წაულია.

რაღას იზამდა ძეგველი, იმერელს სადღა იპოვი-

და? უჩივლია მცხეთელებისთვის მდივანბეგთან და ნაბდის ფასი, რვა მანეთი გადაუხდევინებია.

დაზარალებულ მცხეთელებს სამაგიეროს გადახდა მოუნდომებიათ და გაყარაულებულან, რომ ვინმე იმერელი გაეძარცვათ. სწორედ ამ დროს გამოუკლიათ მიტროპოლიტის მსახურებს ბარგით...

მდივანბეგს იმავე საათში შეუტყობინებია თბილისის გუბერნატორისთვის მიტროპოლიტსა და მცხეთელებს შორის მომხდარი ჩხუბის ამბავი. გუბერნატორსაც არ გაუჩერებია ეს საქმე და მაშინვე მოუხსენებია მეფისნაცვალ ვორონცოვისთვის, რადგან კარგად იცოდა, ვინ იყო დავით მიტროპოლიტი და რა გავლენა ჰქონდა ვორონცოვის კარზე. მეფისნაცვლის ბრძანებით იმავე დამეს მცხეთელები ნარიყალას ციხეში ჩაუსვამთ.

ეგზარქოს ისიდორეს ბინა გაუმზადებია დავით მიტროპოლიტისთვის და კარეტა მიუგებებია. მიტროპოლიტი ორ კვირას დარჩენილა თბილისში, სადილად ყოველდღე ვორონცოვთან ყოფილა მიწვეული, რომელიც მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა.

დაპატიმრებული მცხეთელების გასათავისუფლებლად ბევრი საპატიო პირი სთხოვდა თურმე ეგზარქოს შუამდგომლობას დავით მიტროპოლიტთან. როდესაც იმერეთში წასვლა დაუპირებია მეუფე დავითს, გამოთხვებია ვორონცოვს. მეფისნაცვალს ჭიშკრამდე გამოუცილებია. განმორებისას მიბრუნებია მეუფე დავითი და უთქვამს:

– თქვენ უგანათლებულესობავ, მე როგორც გავიგე, ჩემი გულისთვის მცხეთელები დაგისჯიათო.

– დიახ, თქვენ მაღალყოვლადუსამღვდელოებავ, კომისია დაციონის და ყოველივე მოგეხსენებათ, როგორ სასჯელს მიაგებს კანონი მათო.

– დიდ მაღლობას შემოგწირავთო, – უთქვამს მეუფე დავითს, – მაგრამ მე ვინაიდან ბერი ვარ, ყოველივე უნდა დავთმოო.

– სჯობს, კანონმა თავისი წესით იმოქმედოს, – უპასუხნია ვორონცოვს.

ახლა კი მიძალებია დავით მიტროპოლიტი:

– გთხოვთ, გაათავისუფლოთ ისინი, მე ბერი ვარ, იოვანე ნათლისმცემლის ქუდი მახურავს და მოვალე ვარ, სიკედილიც დავუთმო შემცოდესო.

ეგზარქოსი და გუბერნატორიც იქვე მდგარან. მიბრუნებია ვორონცოვი გუბერნატორს და უთქვამს:

– დასთმო მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, გაათავისუფლე ტუსალებიო.



გუბერნატორი გაქცეულა და სასწრაფოდ გაუ-  
თავისუფლებია მცხეთელები. სანამ მიტროპოლიტი  
თავის ბინაზე მივიღოდა, მცხეთელები იქ დახვედრი-  
ან, მადლობა შეუწირავთ და მისევიან ამბორის საყ-  
ოფად ხელზე, მუხლზე, ვისაც როგორ მოუხერხებია  
და გაშორებიან დიდი მადლიერებით.

მიტროპოლიტს მათთვის სამასი მანეთი  
უჩუქებია.

\* \* \*

დავით მიტროპოლიტი (წერეთელი) დაიბადა 1880 წელს. სწავლა-განათლება პატარა ასაკიდანვე დაიწყო ბეპის, ჯაფარიძის ქალის ხელმძღვანელობით. თოთხმეტი წლისა უკვე ყველას აკვირვებდა თავისი ნიჭიერებით. შემდეგ იგი გააგზავნეს გელათის მონასტერში მიტროპოლიტ ეფთვიმე შერვაშიძესთან (შემდგომში წმინდა ეფთვიმე გელათელი) და 18 წლის ხელდასხმული იქნა დიაკვნად. ერთი წლის შემდეგ დავითი მღვდელ-მონაზენად აღიკვეცა. 1804 წელს დაინიშნა ჯრუჭის მონასტრის წინამდღვრად და მიიღო არქიმანდრიტის ხარისხი. 1805 წლის 24 აპრილს მეფე სოლომონ II-ის წარდგენით იგი მიტროპოლიტებმა დოსითეოზმა, ექვთიმემ და არქიეპისკოპოსებმა სოფრონმა და ანტონმა ხინოს მიტროპოლიტად დაადგინეს (ქეთევან ქათამაძე), დავით მიტროპოლიტი, განთიადი, 1-2, 1998 წელი, გვ. 156). ხინოს საეპისკოპოსო დღევანდელი ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობდა და რადგან იმ დროს თურქებს ჰქონდა დაპყრობილი, დავითი ჯრუჭის მონასტერს დაბრუნებია. დავითის სანიმუშო მღვდელმთავრად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მისმავე ნათესავმა დოსითეოს ქუთათელმა (წერეთელმა), (შემდგომში წმინდა დოსითეოსმა).

დავით მიტროპოლიტს ჯრუჭის მონასტერი ძალიან მოუწყობელი დახვედრია. ტაძრის გუმბათი დაუხურული ყოფილა ყავრით, იატაკი ფიცრის, ნივთები მხოლოდ კალის ყოფილა. ბერები ცხოვრობდნენ უბრალო ქოხებში. დავითის თაოსნობით მონასტრის გარშემო ადგილები გაუქმნდიათ, გაუშენებიათ ხეხილი, ვენახები, აუთვისებიათ სახნავ-სათესი მიწები და სათოსები. მის დროს ტაძარი გადაისურა სპილენძის ფურცლით, იატაკი გაკეთდა თლილი ქვით, კანკელის ხატები რუსეთიდან გამოიწერეს, ბერებისათვის აშენდა მრავალი მშვენიერი ოთახი, ბეღლები, საყინულე სარდაფი, სამზადი, სამზარეულო. მონასტრის ზღუდის მახლობლად გააკეთეს დიდი აუზი, რომელშიც ჩადიოდა მშვენიერი ცივი წყალი გამოყვანილი სამი ვერსის მანძილიდან თიხის მილებით. ჯრუჭის მონასტრის ტერიტორია შორიდან პატარა ქალაქს მოგაგონებდათ. მონასტრის ქვემოთ, მდინარის პირად, ააშენეს დიდი ქვითეკირის წისქვილი. ხეობის მეორე მხარეს იყო აგურის ქარხნები, მოშორებულ ქედებზე კი მონასტრის ნახირი ძოვდა.

დავითის ცხოვრება მისაბაძი იყო. იგი ძალიან ადრე დგებოდა და ლოცულობდა. თავისუფალ დროს

მუშაობდა, თვალს ადევნებდა გლეხებს და მუდამ ესაუბრებოდა ლვთის სიტყვის შესახებ. ეხმარებოდა მათ პურის მეისა და ლენვის დროს, მათთან ერთად კრეფდა ყურძენს და მუშაობდა ყანებში, ვერ აშნებდა ვერც წვიმა და ვერც თოვლი. წვიმის დროს ხშირად გლეხებთან ერთად სადილობდა სადმე კლდის ან ხის ქვეშ. მამაშვილურად ყპრობოდა მათ. დარიბებს ეხმარებოდა ფულით და ავადმყოფებს თავისი სარჯით არჩენდა. ზოგჯერ სწულებს თავის ოთახში აწვენდა და თვითონ უვლიდა. ამასთანავე მუდამ ცდილობდა, რომ გზადაკარგულნი და ცოდვილნი სწორ გზაზე დაეყენებინა.

1811-1812 წლებში იმერეთში შიმშილი და ქამი იყო. ამ დროს მოსახლეობა თითქმის განახევრდა. ბევრი დაიხოცა, ნანილი სხვა მხარებში გადაკიდა. ხალხი საოცრად გაღარიბდა. მდგომარეობა გამოუვალი იყო და ამ დროს ახალმა ხელისუფლებამ იმერეთში შემოიტანა გარკვეული რაოდენობის პური და ხალხს გაუზანილა. ყველაზე გაჭირვებულებს ფულიც დაურიგეს. პურისა და ფულის განაწილება მინდობილი ჰქონდათ გავლენიან პრექს. მათ შორის იყო დავით მიტროპოლიტი, რომელიც თავისი ქონებითაც ეწეოდა ხალხს, განსაკუთრებით ჯრუჭის მონასტრის გლეხებს უხვად ურიგებდა საკუთარ პურსა და ფულს. დიდი დახმარება გაუწევია იმერელი გლეხებისათვის დავით მიტროპოლიტს 1849-1851 წლების მოუსავლიანობის დროსაც (ქეთევან ქათამაძე, დავით მიტროპოლიტი, განთიადი, 1-2, 1998 წელი, გვ. 160).

1929 წელს ცაშისა და ქყონდიდის ეპარქიები გაერთიანდა და სამეგრელოს ეპარქია ეწოდა. ამავე წელს დავით მიტროპოლიტმა ქყონდიდელის წოდება მიიღო და სამეგრელოს ეპარქიას განაგებდა. რეზიდენცია მარტვილის ტაძარი იყო. მისი მოღვაწეობა სამეგრელოში 1834 წლამდე გაგრძელდა. შემდეგ ისევ მშობლიურ ჯრუჭის მონასტერში დაბრუნდა. 1943 წელს არქიეპისკოპოს სოფრონის სიკვდილის შემდეგ მას იმერეთის ეპარქია ჩააბარეს.

მიტროპოლიტი დავითი იყო მაღალი, კარგი აღნაგობის ხმელი კაცი, ჰქონდა მკვირცხლი, მკაცრი გამოხედვა, მაგრამ ამშვენებდა ალერსიანი ლიმილი. საუძრიას უყვარდა სუმრობა. იყო ძალიან გონიერი კაცი. არ უყვარდა, როცა დაუმსახურებლად ვინმეს დაჯილდოებას და სამასახურში დაწინაურებას სთხოვდნენ. მტკიცედ ასრულებდა ეკლესის წესდებას, დიდ ყურადღებას აქცევდა საეკლესიო ქონების დაცვას. დავით მიტროპოლიტის მმართველობის დროს სამეგრელოსა და იმერეთის ეკლესია-მონასტერი შეკეთდა, გამდიდრდა ძვირფასი ხატებითა და სხვა საეკლესიო ინვენტარით. იგი ხშირად მოგზაურობდა თავის ეპარქიაში და ყოველ ღონეს ხმარებდა მღვდელმსახურების ნაკლოვანი მხარეების გამოსასწორებლად. მაგალითად, რაჭაში მოგზაურობის დროს დავით მიტროპოლიტმა მრავალი შესაკეთებელი კელებისა-მონასტერი აღნუსხა და მიიღო ზომები მათი განახლებისათვის. აგრეთვე



მეცნიერად გააფიქტოს და დასაჯა ის მღვდლები, რომლებსაც დარღვევები აღმოაჩნდათ საეკლესიო მსახურებაში (ქეთევან ქათამაძე, დავით მიტროპოლიტი, განთიადი, 1-2, 1998 წელი, გვ. 158).

სწორედ დავით მიტროპოლიტის ეპისკოპოსობის დროს, მრავალ სხვა ეკლესიასთან ერთად, სოფელ მოხვის 1918 წელს აშენებული წმინდა გიორგის ხის ეკლესის ადგილას, 1850 წელს ქვის ახალი, დიდი ტაძარი ააგეს (მერაბ კეზევაძე, ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები, ქუთაისი, 2008 წელი, გვ. 21).

დავით მიტროპოლიტმა გადაარჩინა გელათის მონასტრის წმინდა წიკლოზის ტაძარი და ღვთისმშობლის ტაძრის მინაშენი დანგრევისაგან, რომელიც იმერეთის სინოდალური კანტორის მონვეულ რესარქიტეტორს გადაუწყვიტა.

დავით მიტროპოლიტი ვერ იტანდა უსაქმურობას და წინააღმდეგობას უნევდა ბევრ ამაო ჩვეულებას. მისი უმთავრესი თვისება იყო სიმართლის სამსახური და მოვალეობის მტკიცედ აღსრულება. თუ მისი მეუფება შეიტყობდა, რომ პირი, რომელიც მღვდლად კურთხებოდა, ზარმაცი იყო, არ აკურთხებდა. „ზარმაცობა და მცონარეობა საზარელია, როგორც ერის კაცისათვის, ისე სამღვდელო პირისათვის, ჩვენში მღვდელს არ შეუძლია, მარტო მრევლისაგან მიღებული შემოსავლით იცხოვონს, თუ თვითონაც არ იძრომა. მშრომელი კაცი კეთილის ზნისა არის, ხოლო ზარმაცი ყოფაქცევითაც არ ვარგა, იგი კარგი მღვდელი არ იქნება“, – ამბობდა იგი.

ერთი საკვირველი თვისება ჰქონია დავით მიტროპოლიტს: მისთვის საკმაო ყოფილა ერთხელ შეეხედა კაცისათვის, რომ სრულად და შეუმცდარად შეეფასებინა იგი. ერთხელ მიტროპოლიტთან მეტად გრძელწევრა სასულიერო პირი მისულა და მღვდლად კურთხევა უთხოვია. მეუფე დავითს თავის მოსამსახურესთან დაუბინავებია იგი. მომავალი მღვდელი ხშირად ეკითხებოდა თურმე მოსამსახურეს, რას ამბობს ბატონი, ჩემს კურთხევას როდის აპირებს. თავმობეზრებულ მსახურს უკითხავს მეუფისათვის, რა აზრის ბრძანდებით ჩვენს გრძელწევრა სტუმარზე. დავით მიტროპოლიტს უთქვამს, დაკვირვებული ვარ, მომეტებული გრძელწევროსნები მოსულელონი არიანო. მოსამსახურეს სტუმართან დასკვდენია მისი ნათქვამი. მღვდლობის მაძიებელს წვერის დამოკლება გადაუწყვეტია, მაგრამ მაკრატლით შეკრეჭა ვერ გაუბედავს, შემეტყობაო და სანთლით მონვა განუზრახავს. წვერი თითებს შერის მოუქცევია და რაც მეტად მოსჩვენებია გარეთ დაუტოვებია. მისცა სანთლით ცეცხლი თურმე თითებს გარეთ დატოვებულ წვერს, მაგრამ ალმა ხელი დასწვა და დასატოვებლად გამიზნულ წვერსაც გაუშვა. უცებ ცეცხლი მთელ წვერსა და თმაზე მოსდებია. მოსამსახურე მივარდნილა სტუმარს და გადაურჩენია. მას კი ისე დასწვია თმა და წვერი, რომ ხალხში გამოსაჩენი პირი აღარ ჰქონია და

გათენებამდე გაპარულა შინ.

ყველაზე მეტი შენირულება ჯრუჭის მონასტრისადმი დავით მიტროპოლიტს გააჩნია: იგი დიდი ბიბლიოფილი ყოფილა, მისი მეცადინეობით ჯრუჭის მონასტრის ბიბლიოთეკა მრავალი უნიკალური წიგნით შევსებულა. მასვე შეუწირავს ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი ძვირფასი სახარებები, სხვა უმნიშვნელოვანესი წიგნები და ხელნაწერები. ოქროთი შეჭედილი ძვირფასი ხატები, ჯვრები, საზედამე, სასეფისკვრე ჯამები, საცეცხლურები, შანდლები, ატლასის გარდამოხსნები, დაფარნები, სტიქარები, სამკლავები, საბურევები, სარტყლები და სხვა.

დავით მიტროპოლიტს სიკვდილის წინ ანდერძში ასე შეუფასებია თავისი მოღვაწეობა ჯრუჭის მონასტერში: „ტიტველი და შიშველი მოვედი მე ამ მონასტერში და ყველაფერი, რასაც დღეს ჰედავთ, შევიძინე ცალკე ჩემის საკუთარის შრომითა და ღვაწლით და ცალკე შემოწირულულიბებით, როგორც ჩემის ბიძის, მიტროპოლიტის დოსითეოსისაგან და ჩემის მშობლებისაგან, აგრეთვე კეთილ მორნმუნე ხალხთაგან და დღეს ყოველსავე ჩემს სიმდიდრეს, რომელიც რამდენიმე ათასი მანეთი ღირს და 158 კომლ გლეხს ვტოვებ ამ მონასტრის სასარგებლოდა და საკუთრებად და სადიდებლად სულთა ჩემთასაო“.

დავითის მოღვაწეობა სამშობლოს დიდი სიყვარულით ყოფილა ნასაზრდოები. იგი საეკლესიო-სთან ერთად საერო საქმიანობითაც იყო დაკავებული. ხშირად ხვდებოდა ქუთაისის გუბერნატორს და ინტერესდებოდა მხარის მოწყობის საკითხებით. მეუფე დავითს მიუწოდებია მთავრობისათვის წინადადებები მშენებლებისათვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზის მარშრუტის შესახებ, რომელიც ზესტაფინიდან კორპეულისა და ჭალისუბნის გადავლით ქართლში გადადიოდა. ხალხი მას „მიტროპოლიტის გზას“ ეძახდა.

სიკვდილის წინ მეუფე დავითს ქუთაისის გუბერნატორის ნახვა მოუსურვებია და მისთვის თხოვნით მიუმართავს, კეთილად და სამართლიანად მოეცყრით ერთმორნმუნე ქართველ ხალხს, რომელსაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრება შრომასა და ბორიტების წინააღმდეგ ბრძოლაში აქვს გატარებულიო.

დავით მიტროპოლიტი 1853 წლის 14 თებერვალს გარდაიცვალა. ქუთაისიდან ჯრუჭის მონასტერში წაასვენეს. მას როგორც მღვდელმთავარსა და სახელგანთქმული საგვარეულოს წარმომადგენელს ტაძარში დაკრძალვა ეკუთვნოდა, მაგრამ მისვე ანდერძის თანახმად დაკრძალეს გარეთ, ტაძრის დასავლეთით. მის საფლავზე დევს დიდი ქვის ლოდი წარწერის გარეშე.

დავით მიტროპოლიტი თავისი დროის დიდი მოღვაწე იყო, მან დიდი კვალი დააჩნია იმდროინდელ დასავლეთ საქართველოს.



### ლია ნადირაშვილი

ქართველი ერი ერუფირებული და წიგნიერია, ამ-  
ფენად, ამ მაქვს პრეცენტია, ქართველ მკითხველს მე-  
გავაწანი-მეთქი თურქეთელი ქართველი მწერალი ქეთი  
სანთაძე. უძრალოდ, ამ მოკრძალულებული წერილით ვაზდე,  
კიდევ ერთხელ შემძებელებინა ჩვენი საზოგადოებრივის  
მწერლის ერთორ განხსნავებული და ემოწყობი პროზაული  
წანარმოებრის შესახებ, რადგან, თუ ერთხელ წაკითხავთ  
მის მოხსრობათა კრებულს ქარვის ქალების, შეუძლებე-  
ლია ქეთის გამორჩეული მწერლური ახცდფონის ხიბლის-  
გან თავის დაწლევა.

ლ. წალინაშვილი

53



### ჩეთი ხანობა – „ჩარვის ქალები“

ნიჭიერია ქართველი ერი!..

ამის შესახებ ბევრი თქმულა, ბევრიც  
დაწერილა!..

ეროვნული გარემო ყოველთვის ქმნის  
სასათბურე პირობებს ნიჭის გამოსავლენად,  
თუმცა ზოგჯერ სხვათა მინაზე აპრილის  
მზესავით გამოანათებს ხოლმე ქართველ-  
თა გონი და მათი შემოქმედებითი უნარები,  
უდიდესი ექსტაზითა და მელანქოლიური  
ემოციებით აპირთავებული, კიდევ ერთხ-  
ელ გვალიარებინებს, უშრეტია ქართველ-  
თა ლიტერატურული ძალა; ამოუნურავია  
ქართველთა მწერლური ფანტაზია; მუზა  
კი, მუზა თავად არ ასვენებს შემოქმედს.  
ტიციანის არ იყოს, „მე არ ვწერ ლექსებს,  
ლექსი თვითონ მწერსო“, თავად ენერინე-  
ბა ხელოვანს, რადგან დასაწერი, მართლაც,  
ბევრია!..

მიზეზი?

მიზეზი მტრობა და სიყვარულია, ღა-  
ლატი და ერთგულება, ტირილი და სიცილი,  
სასოწარკვეთა და იმედი, კაცები და ქალე-  
ბი... და კიდევ ქარვის ქალები.

მთავარ სათქმელსაც მივუახლოვდი. ხე-  
ლში მიჭირავს მინიატურული მოცულობის  
წიგნი „ქარვის ქალები“, რომლის ავტორიც  
გახლავთ თურქეთელი ქართველი, თურ-  
ქთავის – ქევსერ რუპი; ჩვენთვის, ქართ-  
ველთათვის, – ქეთი ხანთაძე. დასახელე-  
ბული წიგნი (მოთხრობათა კრებულია,  
„ალქიმია“ გამოცემა) 2004 წელს დაიბეჭდა  
თურქეთში და დიდი გამოხმაურებაც მო-  
ჰყვა თურქეთის ლიტერატურულ წრეებში.  
საქართველოში მისი ქართული თარგმანი

2016 წელს გამოიცა. მასში 17 მოთხრობაა  
შესული. დამაინტერესა ავტორის არჩევან-  
მა, რატომ შეარჩია წიგნის სახელწოდებად  
იმ ერთი კონკრეტული მოთხრობის სათაუ-  
რი „ქარვის ქალები“ (თარგმნა მაყვალა  
ხარებავამ). ეს წანარმოები მრავალმხრივ  
იქცევს ყურადღებას, უფრო მეტად კი ორ  
საკითხს გამოვყოფდი:

1. იძულებით გადაადგილების, მუჰაჯი-  
რობის, მწველი, ღირსებაშემლახავი ტკივი-  
ლი, და

2. უძლეველობა ბედისწერისა, რომელ-  
იც ადამიანის ცხოვრებას მართავს.

ქეთი ხანთაძის მოთხრობების შესახებ  
ჩემი წერილი დაიბეჭდა ლიტერატურულ  
აღმანახში „ხორნაბუჯი“ (2019 წელი, №8).  
მასში ლაკონიურად გადმოვეცი იმ მძიმე  
ეროვნულ ტკივილზე, ქართველ მუჰაჯირ-  
თათვის უხვად რომ გაიმეტა ბედმა თუ მე-19  
საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ბრძოლებმა  
და გადაწყვეტილებებმა. ამ მოთხრობაშიც  
მტკივნეულად არის აქცენტირებული ხენ-  
ებული პრობლემა: „ოთხ მწერივად მხრებზე  
ჩამოშვებული ნაწილთვის, ნუშისთვალება,  
შევლივით მოქნილ ასულებს ბათუმში გე-  
მებზე სვამდნენ და იწყებოდა მოგზაურობა  
უცხო ქვეყნისაკენ. იტვირთებოდა გემებზე  
ბედისწერა და დიდი სევდა ჩაჰეჭონდა უც-  
ხობ ნავსადგურებში.

ძუნნად, ტკივილით ლაპარაკობდა (ასია  
გელინო) იმათზე, ვინც სასახლეში ძალით  
წაასხეს“. ქართველი მანდილოსნის მოკრძა-  
ლება ერთ სიტყვაში ჩაეტია: უცნო!

და ამით ყველაფერი ითქვა!





საინტერესოა, უენონი იყვნენ, რადგან ადგილობრივთა ენა არ იცოდნენ, თუ უენონი იყვნენ, რადგან თმენის კოლოსალური ძალა ჰქონდათ? ვინ იცის?

ერთი კია, რომ უენო, „ქარვის ცხოვრებაგამოვლილმა ქალებმა, იაგუნდისგულიანებმა, მარგალიტისლიმილიანებმა შეუწყვეს ხმები (ქართველ ასულთა ნამდერს). ეს ხომ დილამზე იყო, ხათუნა, სეთენი, ასია.“ რა ამღერებდათ ქარვის ქალებს, ან სიმღერა იყო თუ გლოვა-ტირილი?

ესეც ვინ იცის?

რადგან ბავშვების სათამაშოდ ქცეული „მეფის რუსეთის ბანკოტები – ნახევარი ტომარა ფული – ახლა ცეცხლის ალს ეთამაშებოდა და მასთან ერთად იფერფლებოდა სიტყვები: აკრძალულია, მთავრობა, კანონი, სასჯელი.“

მაინც რამდენი გადაიტანეს მუჭაჯირებმა ჯერ მუჭაჯირობამდე ჭოროხს აქეთ მეფის რუსეთის მუქარა-იძულების გამოისობით და მერე მუჭაჯირობისას ჭოროხს იქით ოსმალეთის სულთანატის ისევ მუქარა-იძულების წყალობით! მოთხოვობით თითქოს ქალურ ბედისწერაზე გვიყვება ქეთი ხანთაძე, მაგრამ ამ ფონზე ოსმალეთში ქართველი ქალების მძიმე ხვედრიც ძალუმად იგრძნობა, და რაკი ხვედრიც ვახსენე, იმ მეორე საკითხსაც შევეხები მოვლედ, ზემოთ რომ მივუთითე.

ბედისწერა!..

ამბობენ, კაცი თვითონ წერს საკუთარ ბედისწერასო, მაგრამ ზოგჯერ ეს უკანასკნელი ისე ეკირება იღბალს, თითქოს ადამიანი მხოლოდ მის აღსასრულებლად დაბადებულა; მაგრამ, როგორც ვთქვი, ზოგჯერ...

ამ შემთხვევაში ასია გელინო ბედისწერის ტყეება, რადგან მისი გვარის ქალების ბედი მასში გრძელდება. მეპმედ ჩავუშზე გათხოვდა. 32 წელი იცხოვრეს ერთად, მაგრამ „ერთი პატარა აკვანი“ ვერ დაარწია თავიანთი საწოლის გვერდით. ამ ტკივილმა მოტეხა, თუმცა მასთან ერთად ცხოვრებას შეეგუა. ეს მნარე ხვედრი თითქოს ასცდა მოთხოვობის მთავარ მოქმედ გმირს,



## ლია ნადირაშვილი

რომელიც დეიდამ, მოხუცმა ასია გელინომ, ასე დალოცა: „– ჩვენი გვარის გოგონებში შენი ვარსკვლავი ყველაზე უფრო ბრწყინვას. საყვარელი ადამიანის გვერდით ხარ, მას ვაჟი აჩუქე.“ სწორედ ისაა ბედისწერის ზეიმი, რომ მოთხოვობის გმირი თავისი გვარის ქალების ხვედრს იზიარებს და, კაბის ქარვის ბროშდამშვენებული საყელოთი და ძონის ალისფერი ბეჭდის ელვარებით გამორჩეული, მარტო მოუყვება ცხოვრების ლაბირინთს, როგორც „ერთი თავეკარიანი ვაჟის დედა“ და მასაც ისევე სწყურია საყვარელ მეუღლესთან ერთად ხანგრძლივი თანაცხოვრება, როგორც მის დეიდას ენადა: „ჩემს ამბავს თუ იკითხავ, ასია გელინო, მარტო ვარ, 17 წლის შემდეგ მეპმედის გარეშე ვარ, არც არასდროს იქნება ჩემ გვერდით. საყელოზე ჩემი ბედი შეგნებულად დამაბნიე, დეიდა? მეც იმ ქალებს შევუერთდი, თავისი ბედი შუბლზე რომ ეწერათ.“

ემოციურობით გამოირჩევა მოთხოვობა „საგაზიეთო ქრონიკა“ (თარგმნა ნანა ჯანაშიამ), რომელშიც ახალგაზრდა ენთუზიასტი მასნავლებლის, სეფერის, პროფესიული ვალდებულებისადმი თავგანწირვის ტრაგიკული დასასარულია აღწერილი. ადამიანებისაგან ხშირად გვსმენია ტერმინი მინიშნება! ეს სიტყვა ბევრისთვის მომავლის წინასწარჭვრეტას მოასწავებს. ვისთვის როგორ, მაგრამ სეფერისთვის მინიშნებებმა, მართლაც, საბედისწერო როლი შეასრულა. „იმ დღეს, კვირა დილით, მამისეული სახლიდან ადრიანად გავიდა, რათა სოფლამდე დროზე მიეღწია, რადგან ცა სათოვად მოქუფრულიყო.“ დიდი თოვლი დადო. თოვლის მთის სოფლამდე, სადაც სეფერის სკოლა იყო, გზა გაუვალი გახადა. გამაოგნებელია ახალგაზრდა მასნავლებლის შეუპოვრობა და მიზანდასახულობით გაჯერებული სიჯიუტე (ასეთი რამ თანამედროვე ეპოქაში არ მსმენია!). ვერც ყავახანის პატრონის დარიგებამ, ვერც გრეიდერზე მყოფი გზის გამწმენდი მუშების რჩევამ, ვერც ქარმა, ყინვამ და თოვლით გადათეთრებულმა მიდამომ ვერაფერი გააწყვეს! ბრძენმა ვაჟამ მრავალმნიშვნელოვნად დასძინა: „მხოლოდ



მაშინ ვარ ბედნიერ, / როცა ვარ შეწუხებული...“ ცოტა უხერხული შედარებაა, მაგრამ მიმაჩნია, სეფერიც, მოთხოვობის მთავარი გმირიც, იმავეს განიცდის, რასაც ვაუსა უკავდავი სიტყვები ცხადყოფს. სხვაგვარად მისი გაცნობიერებული, თავგანწირული საქციელის ახსნა შეუძლებელია: „ბალიქესირის გიონენის ილჩეში 26 წლის მასწავლებელი გარდაიცვალა. თოვლისა და ქარბუქის მიუხედავად, თავისი პროფესიული ვალის აღსასრულებლად მეზობელ სოფელში გაემართა და გზაში გაიყინა.“ ერთი შეხედვით, რიგით ტრაგიკულ შემთხვევას გვაუწყებს ეს ინფორმაცია, თუმცა მე სეფერს გმირს ვუწოდებ, რადგან დღეს თითქმის აღარ გვხვდებიან პროფესიული მოვალეობებისადმი ასეთი შეუპოვარი თავ-განწირვით გამორჩეული პიროვნებები.


მსურს, ლაკონიურად გადმოგცეთ ჩემი აზრი მოთხოვობის „პასუხს ველი მოუთმენლად“ (თარგმნა ნანა კაჭარავამ) შესახებ. ამ პროზაულმა ტექსტმა გამახსენა იგავი „უძლები შვილი“, ოღონდ – იგავის დასასრულისაგან განთავსებული ფინალით. მასში შთამბეჭდავადაა ასახული ოჯახური დრამა, რომლითაც თაობათა შორის დაპირისპირება გამოიკვეთა. შვილის, ქალაქში გადაცხოვრებული პოლიციის მოხელის, შაჰინ შენელის, შეხედულებები, ნებისმიერი თვალსაზრისით, აბსოლუტურად სცდება სოფლად დარჩენილი მოხუცი მამის, ბესომ შენელის, მოთხოვნებს. თაობათა დაპირისპირება ნებისმიერ ეპოქასა და ქვეყანაში მარადიული და თან ძალიან აქტუალური თემაა. ახალგაზრდა ცოლქმარი შვილებთან ერთად ცდილობს, ქალაქში დამკვიდრდეს და სოციალური მდგომარეობა გაიუმჯობესოს, რაც გარკვეულ სარისკო ქმედებებთანაა დაკავშირებული (ოქროს სამაჯურის დაგირავება, საოჯახო ნივთების განვადებით შეძენა), რაც ძალიან არ მოსწონს შაჰინის მამას, ბესომს. ეს უკანასკნელი განწყობას არც მალავს და

შვილს საკმაოდ მკაცრად, მომეჩვენა, რომ გადაჭარბებულადაც, პასუხობს წერილობით. შაჰინისა და მისი მეუღლის, აითენის, ნებისმიერი ქმედება დაგმო, რაც ყაზბეგის ხევისბერი გოჩასავით (მომიტევეთ ეს შედარება!) საკმაოდ ხისტი სიმკაცრით დააბოლოვა: „აფსუს! ჩემი სიტყვები ერთ ყურში შეგიშვიათ და მეორიდან გამოგიშვიათ. აღმოსავლეთში სამხედრო სამსახურს თავქარიანობისა და ფლანგვის მიზეზად იყენებთ?... შეაყარე კედელს ცერცვი! ტყუილად გავრჯილვარ, ტყუილად მიწვალია, მთელი ჩემი რჩევა-დარიგება წყალში ჩაყრილი დამირჩა. თქვენ ჩემი ნათქვამი არ გესმით, ხომ?! ამას იქით, რაც გინდათ, ის გიქნიათ!... თქვენი მამა აღარ ვარ მე. ამას იქით თქვენ – თქვენთვის, მე – ჩემთვის... ნადით, ვისაც გინდათ, მამა იმას დაუძახეთ...“ ყველაზე მტკიცნეული მამის წერილის ბოლო მინაწერია: „თქვენი მეზობელი ბესომ შენელი!“

როგორც ბრძენი ილია იტყოდა, „აი, კიდევ ერთი წყევლაკრულვიანი საკითხავი ამ რთულ და უსამართლო წუთისოფელში!“ ვუკვირდები ორივე პერსონაჟს და მიჭირს ნებისმიერის აბსოლუტურად გამართლება ან გამტყუნება. დათმობა, შემწყნარებლობა და დიპლომატია უალტერნატივო გზებია თაობათა შესახმატკებილებლად.

ასე იყო და არის ჩვენთანაც...

ქართველი ერი ერუდირებული და წიგნიერია, ამდენად, არ მაქვს პრეტენზია, ქართველ მკითხველს მე გავაცანი-მეთქითურქეთელი ქართველი ქეთი ხანთაძე. უბრალოდ, ამ მოკრძალებული წერილით ვცადე, კიდევ ერთხელ შემეხსენებინა ჩვენი საზოგადოებისათვის მწერლის ერთობგანსხვავებული და ემოციური პროზაული ნაწარმოებების შესახებ, რადგან, თუ ერთხელ წაიკითხავთ მის მოთხოვობათა კრებულს „ქარვის ქალები“, შეუძლებელია ქეთის გამორჩეული მწერლური ოსტატობის ხიბლის-გან თავის დაღწევა.





ნანა  
რჩეულივილი

ନାକୁଠ ଗୋହକାଶ୍ଵିଲୀରେ ସାବେଳନ୍ଦୀରେ  
ତେଣାଙ୍ଗିରେ ସାବେଳମର୍ମିନ୍ଦୀରେ  
ଉନ୍ନିଷ୍ଟରେ ସିଫ୍ରେତିରେ ଆଶପିରିଏବୁଲୀ  
ପ୍ରକାଶିତିରେ

የሚከተሉት የሚመለከት ስም አድራሻ በፊርማ የሚከተሉት የሚመለከት ስም አድራሻ በፊርማ

ქართული პოეზიის განახლებისა და სრულყოფის მუდ-  
შივ პროცესი თვალსაჩინო ნეტოილი შეიტანა ქრისტენი-  
აზნელთა არაფრთხია. ლუთით მომადლებულმა პოეტერმა  
ნიფრა, დახვეწილმა ლიტერატურულმა გემოვნებმა და სი-  
ახლისადმი დაუკავშელმა სახლაფვამ გაარღონა არაფრთხია  
ნარმოძაფგენტლერი და აქერა ისინი მე-20 საუკუნის და-  
სახუსის ქართული პოეზიის ნოვაციონერად. გარემომწევ-  
ლო სამყაროს ახლებული კურეტა, ადამიანისა და მუნერის  
ურთიერთობის ახალ ნიუასებში ახევერდა მათ და ამავე  
დროს, აძლევდა დიდ შესაძლებლობრივს, ფეხი აგწყოთ კუ-  
ლა სიახლისათვალს ევროპულ აზროვნებში.

## ၆. ကိုယ့်ကြော်ချုပ်

„ცისვერყანილთა“ ახალი მითოლოგია

აბსტრაქტი

„ცისფერყანნელთა“ ორდენი მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული პოეზიის ნოვატორად მოევლინა პოეტურ სამყაროს. მან შექმნა სიმბოლური აზროვნებისათვის დამახასიათებელ სახეთა მთელი სისტემა. ორი სათაყვანო ხატის – სამშობლოსა და პოეზიის გვერდით, მათ მესამე ხატის ერთმანეთის თაყვანისცემა დაინტესეს, ძველი მითიური სახეები ახალი პოეტური სახელებითა და ცნობილ პერსონაჟთა ტიპებით შეცვალეს.

„ცისფერყანნელთა“ მიძღვნები ემსახურება პიროვნების გაიდეალებას. იგი გამორჩეულია თავისი გარეგნული და შინაგანი თვისებებით. რთული ხასიათის შტრიხები კი ხელს უწყობს ლირიკული გმირის მითოლოგიზმებასაც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გრიგოლ რობაქიძის სონეტები: „პაოლო იაშვილს“, „ვალერიან გაფრინდალშვილს“, „ტიციან ტაბიძეს“ და „სონეტი ლოცვის“, რომელიც ოთხ მეგობარს ეძღვნება ერთდროულად.

„ცისფერყანნელთა“ ორდენის ამგვარმა შემოქმედებითმა ინოვაციამ მნიშვნელოვანი გადატრიალება მოახდინა ქართული პოეზიის მაგისტრალურ ხაზზე. სულით ხორცამდე პოეზიაზე შეკვარებული სახე-სიმბოლოებით გატაცებული მოაზროვნენი ევროპულ სტანდარტებზე აწყობდნენ ქართულ ლექსს, რომლის გმირიც უნდა ყოფილიყო რეალურად არსებული პოეტი, თავისი გამორჩეული ბიოგრაფიით და მხატვრული შთაგონებით. ამ „მითოლოგიას“ კვებავდა კაცთა შორის სიყვარული, მისი ცველა ასპექტის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: „ცისფერყანწელები“, მითოლოგია, პოეზია, ლირიკა, სიმბოლო.

ქართული პოეზიის განახლებისა და  
სრულყოფის მუდმივ პროცესში თვალსაჩინო  
წელიწლი შეიტანა „კისლირებანნელთა“ ორდენმა.

დაგვითოთ მომადლებულმა პოეტურმა ნიჭმა, დახვეწილმა ლიტერატურულმა გემოვნებამ და სიახლისადმი დაუკოკებელმა სწრაფვამ გააერთიანა ორდენის წარმომადგენლები და აქცია ისინი მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზიის ნოვატორებად. გარემომცველი სამყაროს ახლებური ჭვრეტა, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ახალ ნიუანსებში ახედებდა მათ და ამავე დროს, აძლევდა დიდ შესაძლებლობას, ფეხი აეწყოთ ყველა სიახლისათვის ევროპულ აზროვნებაში. სავსებით სწორად და ლოგიკურად ჩამოაყალიბა ამ პროცესის არსი ლიტერატურისმცოდნე გურამ ბენაშვილმა: „ქართული ინტელიგენციის უნიჭიერესმა თაობამ სიმბოლისტურ ლიტერატურაში ჰპოვა სულიერი ნავსაყუდარი. „ცისფერი ყანწები“ ორგანული გადახსნა იყო მათი სულიერი ცხოვრებისა“ (გ. ბენაშვილი, წინასიტყვაობა ვალერიან გაფრინდაშვილის ერთტომეულისა, 1990წ. გვ. 20. ციტატები ვალ. გაფრინდაშვილის ლექსებიდან და ესეებიდან ამავე გამოცემიდანაა ციტირებული).

ამ დროიდან, ქართული ლექსი გადაერთო ახალ ტალღაზე, რომელმაც სიმბოლური აზ-როვნებისათვის დამახასიათებელ სახეთა მთელი სისტემა შექმნა. ასეთი სიმბოლოები კი, ნაცვლად ძველი მითოლოგიისა, თანამედროვე ცხოვრებიდანაც შეიძლება ყოფილიყო აღებული. ამ იდეის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს „ცისფერყანწელთა“ ორდენის თვალსაჩინო წევრისა და იდეური ბელადის ვალ გაფრინდაშვილის ლექსი – „პოეტი – მონადირე“, რომელშიც ვკითხულობთ:

„კვალდაკვალ მივდევ მე ახალ სახეს,  
ტარიელივით გაჭრილი ველად,  
ლურჯი ფრინველი სიზმარში ვნახე  
და ის გამიხდა მე სანატრელად...  
კიდევ გამძლეა ჩემი ფეხები,

მივდივარ სულ წინ – თამამი  
სხვაზე,  
ან სადმე ხევში გადეიჩები,  
ანდა გამოვალ სანატრელ  
გზაზე“.

სიზმრად ნანახი „ლურჯი ფრინველის“ ძებნა რომ სიცოცხლის საფასურს მოითხოვდა, ეს კარგად მოეხსენებოდა ორდენის ყველა წევრს. ანუ, ორდენში გაერთიანება უკვე ნიშნავდა თავის განწირვას ახალი პოეტური სახეების შექმნისა და დამკუიდრებისათვის ბრძოლის რთულ გზაზე. სავარაუდოდ, ასეთმა დამოკიდებულებამ შვა მათ ცნობიერებაში ერთმანეთისადმი

სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის გრძნობა. სიახლისადმი სწრაფვამ და ურთიერთპატივისცემის გრძნობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ დიდი სულიერი თანაცხოვრების პირობებში, ორი სათაყვანო ხატის, სამშობლოსა და პოეზიის გვერდით, მათ მესამე ხატის – ერთმანეთის თაყვანისცემა დაიწესეს. მითოლოგიურ და სიმბოლურ სახეთა მოტრფიალებმა ძველი მითიური სახეები ახალი პოეტური სახელებითა და ცნობილ პერსონაჟთა ტიპებით შეცვალეს. ამ თვალსაზრისმა ვალ. გაფრინდაშვილის პუბლიცისტურ წერილში – „დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)“ იპოვა ჩამოყალიბებული სახე.

დეკლარაციაში ნათქვამია: „დღეს პოეზია ქმნის რეალურ სახეებიდან სიმბოლოებს, ქმნის ახალ მითებს. წარმართულმა და ქრისტიანულმა მითოლოგიამ დაკარგა თავისი კავშირი ჩვენ შეგნებასთან და პოეტიც სხვა ობიექტებს ეძებს თავისი შემოქმედებისთვის. ძველი მითები არავის არ სწამს, იმავე დროს ჩვენ გვინდა მითი, ჩვენ გვწყურია მითი“ (ვალ. გაფრინდაშვილის დასახელებული წიგნი; გვ. 544). აქვე ხაზგასმითაა მითითებული, რომ თანამედროვე პოეზიას სურს გამოიყენოს პოეტის მაგიური სახელი, რომელიც აქამდე თითქმის მივიწყებული იყო. პოეტის პირადი ცხოვრება მისივე შემოქმედების უტყუარი სარკეა. „ღმერთების ადგილს იჭერენ პოეტები და ძველ ანტიურ გმირების ადგილს იკავებენ ახალი გმირები... ამნაირად იქმნება ახალი მითოლოგია, რომლის გმირები არიან არა ღმერთები, არამედ პოეტები და მათგან შექმნილი მანეკენები“ (იქვე, გვ. 545).

მითიურ სახედ წარმოდგენას განსაკუთრებული ნიშაბ-თვისებები სჭირდებოდა, რომელიც პიროვნებათა გარეგნულ პორტრეტებსა და ხასიათის ღრმად დაფარულ შრეებში იყო საძიებელი. რა ნიშნით გამოარჩევდნენ ურთიერთს ჩვენი „ცისფერყანწელები“ და რა თვისებებს აფასებდნენ ისინი ხაზგასმით პოეტ-მეგობარში? ამ „საიდუმლოს“ ისევ ვალერიან გაფრინდაშვი-



## ნანა რჩეულიშვილი

ლის ჩანაწერი – „პოეტები წერის დროს“ გვიმხელს. იგი ექსპრომტადა დაწერილი და შვიდი „ცისფერყანწელის“ იდუმალ პორტრეტს ხსნის. ესენი არიან: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოლაუნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ლელი ჯაფარიძე და თვით საკუთარი პიროვნება. ამ ჩანაწერის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძე უძილო ღამეში ფიქრობს ალკასა და „ფეხშიშველ“ რითმებზე, და „საოცნებო ფანქრით გამოჰყავს მარმარილოს ტილოზე ლექსი“, პაოლო „შეიძლება გენიო-სია, შეიძლება უბრალო მოშაირეა, ხმაურს არ ერიდება და უყვარს პოეტის სახელი, როგორც ლერბი, ღამაზი რითმები მოწყენილი აქვს, მაგრამ დაუღალავი აქტიორია“. ტიციანი „ორსულ ქალივით ჭირვეულია და ნაზი... ლექსების წერა ემარჯვება სოფელში... ღამაზი ხელი აქვს და ძვირფას ქაღალდზე უყვარს წერა... მის მაგიდაზე ბევრი წიგნებია – წიგნებში დაუთავებელი ლექსები... მისი რითმა ურუანტელის ანტრაქტია...“ (იქვე, გვ. 517). საინტერესოა, რომ ამ სამი პიროვნებისადმი მიძღვნილი ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსები, დაწერილი სონეტის ფორმით, იგივე შთაბეჭდილებებს ასახავს, მხოლოდ განსაკუთრებული მითიური სამოსით შებურულს. 1920 წელს დაწერილ ლექსში, რომლისათვისაც ლათინური ტერმინი „DIVAGATION“ უწოდებია ავტორს, აღნერილია აჩრდილებით სავსე საღამო ქალაქში, ტრამვაის ხაზებით, კაფეებით, „ბალაგანითა“ და „სხვა პარადით“. საღამოს იდუმალებას მატებს გრიგოლის გარდაცვლილი ქალიშვილის პატარა ალკას ფრთიანი აჩრდილი, რომელსაც ეკუთვნის მამის მეგობართა დიდი თანაგრძნობა. მაგრამ, საღამოს მთელი სიდიადე მაინც მეგობართა მისტიურ სახეებშია გამოხატული:

„ჩვენი ძეგლებით მედიდურობს ქუჩა გვიანი: პანი – გრიგოლი ამართულა ვით ოქროს ბუდდა. გამოკვეთილი ალმასიდან სდგას ტიციანი.“

ბრწყინვალებაში პაოლო, ბუმბერაზი და ნაღდი მუდამ“.

ლექსის სივრცული მასშტაბი მოკლე და ლაკონურია, დრო ასევე შეზღუდული, ხოლო დინამიკა საოცრად მოქნილი, რისი წყალობითაც ეს „ძეგლები“ მუდმივ მოძრაობაში არიან. გარემოსა და პერსონაჟთა სახეების მისტიკური ელფერი კიდევ უფრო ამძაფრებს შთაბეჭდილებას მკითხველზე. მთელი ეს პროცესი კი იძლევა იმის გარანტიას, რომ „ძმობის“ ერთგული წევრები მითიურ ხასიათს იძენენ თავიანთი შთამბეჭდავი იერსახითა და შინაგანი სამყაროთი.





კიდევ უფრო მეტი იდუმალებით ხატავს მეგობრის პორტრეტს გაფრინდაშვილი სონეტში „გრიგოლ რობაქიძეს“ (სავარაუდოდ, 1915-1919 წლებშია დაწერილი). სონეტი გრიგოლ რობაქიძეს ნაპოლეონის მედიდური და ამავდროულად მკაცრი პროფილით ხატავს. პორტრეტს ავსებს „შავი ცილინდრი“, შავი ხელთათმანები, დამახასიათებელი ნაბიჯები და „ჩვენებათა ავი მზმანები“ ხმა. ეს გამორჩეული აქსესუარები ანიჭებენ მას განსაკუთრებულ იერსახეს და არაამქეყნიურ ჩრდილს ფენენ. აქვე ხაზგასმითაა აღნიშნული მწერლის მისწრაფება მარტოსულობისაკენ:

„თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით  
და სერაბიმი მარტოობის გდარაჯობს ხშირად,  
რომ შენ, მზიური, დაიფერფლო ღამის ნახში-  
რად“.

სერაბიმი სახეა მართალი და ერთგული სულისა, რომელსაც ადამიანის პირველსახე აქვს და იღწვის სრულყოფილების მიღწვისათვის. ამ გზის გავლის შემდეგ ის სამარადფუამო ნეტარებას იმკვიდრებს (წმინდა მამის ანტონი დიდის სწავლებიდან). პოეტის სულიერი მარტოობის მოდარაჯე სერაბიმის სახე ყურადღებას ამახვილებს მისი მფარველობის ქვეშ მყოფი პიროვნების არაამქეყნიურ, იდეალიზებულ სახეზე.

საერთოდ, „ცისფერყანწელთა“ მიძღვნები ყოველთვის ემსახურება პიროვნების გაიდეალებას. ეს პიროვნება, ჩვეულებისამებრ, გამორჩეულია თავისი გარეგნული იერსახითა და შინაგანი ბუნებით, მარტოობისკენ სწრაფვით და ამიტომაც ბევრ საიდუმლოს მალავს. რთული ხასიათის შტრიხების ამგვარი ნარმოჩენაც ხელს უწყობს პოეტს ლირიკული გმირის მითოლოგიზმერებში.

მსგავსი იდუმალი ხილვებითაა სავსე ლექსი „პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე“. ორი პოეტის შთამბეჭდავი სახე, „ორი ქიმერა“, „ორი ბოგემა“, დილიდან სავაჭროდ გამოსული, რაკი „უცნაურის უნდათ მოგება“. მაგრამ სურვილი მირაჟია... ჯიბები მხოლოდ ვირთხებით იცხება და ჰაშიშით გაბრუებულებს ალბათ ჩამოხრჩიბაც ელით.

პაოლოს ეძღვნება გაფრინდაშვილის კიდევ ერთი სონეტი – „პაოლო იაშვილს“. ლექსი მიმართვის სტილშია დაწერილი და ასახავს პაოლოს არაერთგვაროვან ბუნებას. ავზნიანი ზღვასავით მღელვარე პაოლო აღმერთებს მეგობრობას, სურს ცხოვრება გადააქციოს დღესასწაულად, მაგრამ მის სულში ჩაღვრილი მათრობელა გრძნობა ახალ სკანდალებისკენ უბიძებს პოეტს და სულ სხვა სახეს იღებს ის: „მოგენატრება აპაშებთან ცეკვა, ზარხოში. დაუდგრომელო! როგორც რემბოს გიხმობს პარიზი –

შენი ყოფილი იალალი და ასპარეზი“.

ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის ასევე ლექსები მიძღვნილი სანდრო ცირეკიძის, ალი არსენიშვილის, ნიკოლო მინიშვილისადმი. ყველა მათგანი დაწერილია მეგობრისადმი დიდი თაყვანისცემითა და სიყვარულით. როგორც ზემოთ განხილულ, ისე აღნიშნულ ლექსებშიც წინაა ნამონეული ადრესატის პიროვნული ღირსება, შინაგანი და გარეგნული მახასიათებლები... ხშირია მათი მიმსგავსება უცხოელ პოეტებსა, მწერლებსა და მათ პერსონაჟებთან. მეტი კოლორიტისათვის არაიშვიათად იხსენიებენ უცხოქვეყნებსა და ქალაქებს, ეგვიპტურ პირამიდებსა და სფინქსებს... „ევროპული რადიუსით“ ქართული პოეზიის გამართვა უამრავ ახალ სახესა და მხატვრულ ხერხს მოითხოვდა, რომელთა შექმნა არ იყო ადვილი.

„ცისფერყანწელთა“ პოეტურ მიძღვნებში განსაკუთრებით გამორჩეულია გრიგოლ რობაქიძის სონეტები: „პაოლო იაშვილს“, „ვალერიან გაფრინდაშვილს“, „ტიციან ტაბიძეს“ და „სონეტი ლოცვის (ახალ მხედართ)“, რომელიც ერთდროულად ეძღვნება ოთხ პოეტსა და მეგობარს: ვალერიან გაფრინდაშვილს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძესა და გალაკტიონ ტაბიძეს (ლექსი 1916 წლითად დათარიღებული და ამ დროისათვის გალაკტიონი ახლო ურთიერთობაში იყო „ცისფერყანწელებთან“). ეს უკანასკნელი ღრმა ლირიული განწყობით გამოირჩევა. აქ არსად ჩანს მეგობართა სახეები, რომელთაც „ახალი მხედარები“ უწოდა პოეტმა. მხოლოდ ლოცვა უფლისადმი ავსებს ლირიკული ლექსის მთელ სივრცეს. ეს სივრცე სევდიანი, მწვავე ფიქრით საგვე და მთვლემარეა, ისევე, როგორც პოეტის სული, რომელსაც აღარ ათრობს სატრფოს უნაზესი და მთრთოლვარე ხმა. სონეტი მთავრდება უფლისადმი ვედრებით (საგულისხმოა უფლის სახის აღმნიშვნელი ეპითეტები: მშვიდი, ლალი, მაღალი, წყნარი, მზე-გრძელი):

„ჩაშვი ჩემი სულის თასში, ვით გრილი

წყარო,

იხსნება შენთვის გული ჩემი, სათუთი

ნელი...

ნეტარობს შენით ჩემი კრთომის ყოველი

ნელი...“

როგორც შევნიშნეთ, ცალკე უძღვნა გრ. რობაქიძემ სონეტები მეგობარ „ახალ მხედართ“. ეს მიძღვნები სკრუპულობურად აღწერენ თითოეული პერსონის ღრმად ინტიმურ ხასიათს. მიმართავს რა უშუალოდ ადრესატს, პოეტი ხშირად ხმარობს ნაცვალსახელებს: შენ, შენი, შენში, შენც... ხაზგასმით მიუთითებს მათ წილნაყარობაზე მითიურ სახეებსა და სახელებთან: „შენ გესმის მუდამ ჯადოსანი ხმა შორეული, სურნელოვანი შენში თითქო ვიღაცა მოჰკლეს. ორეულების მასკარადზე სიზმარეული



მალვით გინიშნავს შენი ცალი პაემანს მოკლეს  
ორეულების მასკარადზე სიზმარეული  
მალვით გინიშნავს შენი ცალი პაემანს მოკლეს.  
გოლუბის მასკით შენც იქ მიხვალ თვით  
ორეული,  
მაგრამ მის ადგილს შეეყრები მხოლოდ  
მის მომკელს...”  
(„ვალერიან გაფინდაშვილს“)

„შენში იწვიან ძველ ქურუმთა ლოცვის თესლები  
ტკბილი სინელით ესიტყვება გვართა მოიარს,  
ხსოვნას გილბობენ იზიდასი შენ სარეცლები;  
ქალდეას სიზმარს რომ აგძელებ ასე  
ზმორიანს...”

არ შეგეშინდეს ძნელი ცნობის ბავშვო ტიციან:  
რომ დიონისო შენი ჩუმი ძმადნაფიცია“  
(„ტიციან ტაბიძეს“)

„...ხარ უცნაური, ქედმაღალი, ურჩი თავნება,  
გშვენის ყივილი და ნავარდი დაჭრილ  
კენტავრის...”

ერთი შეძახით შეარყიე მრავალი ტახტი,  
უდარდო ხელით მოაბნიე თვალმარგალიტი“  
(„პაოლო იაშვილს“)

დასკვნისათვის: „ახალი დროის მითოლო-  
გია“ „ცისფერყანწელთა“ ორდენის წარმომად-  
გენელთა შემოქმედებით ინოვაციას წარმოად-  
გენდა და ერთგვარი დისონანსიც შემოიტანა  
ქართულ მნერლობაში ბოჰემური ცხოვრების  
მოტრფიალე, სულით ხორცამდე პოეზიაზე შეყ-  
ვარებული და ახალ პოეტურ სახე-სიმბოლო-  
თა გატაცებით მაძიებელი მოაზროვნენი ცდი-  
ლობდნენ ევროპულ სტანდარტებზე აეწყოთ  
ქართული ლექსი. ამ ლექსების ადრესატები კი  
უნდა ყოფილიყვნენ რეალურად არსებული, არა  
მხოლოდ ზეციური, არამედ მიწიერი სიყვარუ-

ლით გამთბარ პოეტთა სახეები, რომელნიც თა-  
ვიანთი განსაკუთრებული ბიოგრაფიებითა და  
მხატვრული შთაგონებით ახალ მითოლოგიას  
შექმნიდნენ“. პოეტები ბრუნდებიან ხელოვნების  
ელისეის მინდვრებიდან, ბრუნდებიან პოეზიის  
ელიზიუმიდან და როგორც ელიაზარი, ათბობენ  
თავის გაყინულ სხეულს სინამდვილის მზეზე.  
სიმაღლეების სუსხიან ქარის შემდეგ მომხიბლა-  
ვია ბარის თბილი ნიავი. ეს არ წიშნავს ჩვენი  
წარსული მიღწევების უარყოფას. ეს არის დაბ-  
რუნება მინასთან“, – წერდა ვალ. გაფრინდ-  
აშვილი (დასახელებული წიგნი; გვ. 548-549).  
ასეთია მე-20 საუკუნის „ახალი მითოლოგია“,  
მითოლოგია, რომელსაც კვებავდა კაცთა შო-  
რის ყველაზე დიდი გრძნობა, სიყვარული, მისი  
ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ამიტომაც  
დარჩა ქართულ პოეზიას ამ სიყვარულით გამთ-  
ბარი და ნასაზრდოები „ცისფერყანწელების“  
შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. „განთიადი“, ქუთაისის მწერალთა კავ-  
შირის ლიტერატურული უურნალი;
2. გაფრინდაშვილი ვ. (1990); ლექსები, პო-  
ემა, თარგმანები, ესეები, წერილები... გამომც.  
„მერანი“, თბილისი;
3. ნიკოლეიშვილი ა. და სხვები (2004);  
მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურუ-  
ლი კრიტიკის ისტორიის ნარკვევები; წიგნი 1.  
ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა;
4. ტაბიძე გ. (1985); ტიციანი და მისი  
მეგობრები; გამომც. „საბჭოთა საქართველო“,  
თბილისი.



## გზა დაულოცეს

60



თელავის ისტორიული მუზეუმი. 28 ივნისს გაიმართა ახალგაზრდა პოეტის გიორგი ზუბიტაშვილის, – წიგნების, – „მზე ხელის გულზე ჩამომეღვარა“, და „სამზეო ჩამოვიარე“ – წარდგენა.

ღონისძიება გახსნა მუზეუმის დირექტორმა გურამ ურჩუხიშვილმა. მან გზა დაულოცა პოეტს მომავალი წარმატებებისკენ.

გიორგიმ ისაუბრა თავის წიგნებზე, თუ რა იყო სტიმული მისი ლექსების დაბადების აზრი და მიზანი, რასაც განიცდიდა, ჩვენი სათაყვანებელი მამულის მიმართ, რომ... მისთვის, მთა, ტყე, მდელო, ყვავილები მისი გულის უებარი მოთხოვნილებაა და მიწის ყოველი გოჯი მისი სულის ნაწილია...

სიტყვებით გამოვიდნენ და პოეტის ლექსებზე ისაუბრეს: თინათინ თუშაპრამიშვილმა, მანანა შიომშვილმა, ნუნუ ძამუკშვილმა და სხვებმა.

მოსწავლეებმა წაიკითხეს შემოქმედის ლექსები.

სამშობლოს სიყვარული, აი, უნინარეს, რაც წარდგენილ ლექსებს ამშვენებს.

ლექსი „მცირე მანიფესტი“.

„მაინც, ლექსებად უნდა ვიუბნო,

ვით, ამბავს ყვება სიო მავალი,

ლექსია – ჩემი მწირი საუფლო,

ჩემი წარსული და მომავალი!

რაც, უკან დარჩა და, რაც, წინ მელის,

ის, სტრიქონ-სტრიქონ უნდა ავაგო

და სულის – მწველი ამოძახილი,

ლექსებად უნდა ვილაპარაკო.“

ლექსი, – მისი სიცოცხლეა და ეს, უკვე, მოვლენაა სადღეისო და სამომავლო!

ლეონიძის სტრიქონებთან დამეგათეულია ახალგაზრდა პოეტი – გიორგი ზუბიტაშვილი, „მჭედელო სიტყვის“, – მიმართავს დიდ გოგლს, „ოლეს“ ლექსის გამპრწყინებელს.

„ვეტრფი თქვენ ძლიერ პოეტურ სიტყვას,

კირქვიან ლექსებს, მრავალუამიერ,

საქართველოში, რომ უნდა ითქვას!“

ნისლ-ბურიც კი ჩვენი სამშობლოსი იათაფერისად უყურებს.



„იათასფერო ნისლ-ბურო,  
ჩამომავალო გორიდან,  
მშვიდობით მოხველ, თუ, ომით,  
რისად მოსულხარ შორიდან?!..  
ისე ჩამოვყე ხევისპირს,  
სერზე გაწოლა მომინდა!..“  
ლექსი „პოეტის სიმღერა“

უფალს ანდობს თავის ბედს.

„ასეთი ბედი ვინ დამაბედა,  
ვინ ჩაასახლა ჩემში პოეტი...  
არავინ დარჩა, უფალო, ჩემთან,  
დედაჩემის და ლვთისმშობლის მეტი!“

მის ლექსებში კიაფობს – მთები, ხორბლის ფერი მინდვრები, მთის მცერდი, მძივი – მდინარე,

ხან, რომ ...ბროლი და... ხანაც, თალზია.  
მზე – ავტორის ლექსების თანამგზავრია.  
მან კარგად იცის, რომ მზე – სიცოცხლის წყაროა. სიყვარულის სიმბოლოა...

\* \* \*

აქ, შენ საცქერლად მოვსულვარ, მზეო,  
გიცქერ წამიერ, თვალით გხარბდები,  
წარმავალი ვარ, ყოვლის მნათობო,  
ერთხელ, სამუდმოდ, დამიღამდები!  
იაო, შენი ხილვა მომინდა,  
ბილიქს ოხრად რომ დამიხვავდები...  
აქ, შენს საცქერლად მოვსულვარ, გოგო,  
ერთხელ, ზედ მცერდზე ამიყვავდები!  
მდინარევ, შენი ჩერერის ჭირიმე,  
დალახე ჯავრით თიხის კორდები?!..  
წარმავალი ვარ, ოდეს, მაშვრალო,  
სატრფოს ცრემლივით ამიბორგდები!

წიგნის წარდგენის ლონისძიების მონაწილეებმა გზა დაულოცეს ახალგაზრდა პოეტს.



## ესე ქამუკაშვილი



## ԱՌԵՎԵՀԱՆԻ ՄԵԹՈԴԻՑԻ ՀԻմնույթ

## ზეირა არსენიშვილზე გამოცემული წიგნის წარდგინება

16 ივლისს თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში თელაველი მწერლის, სცენარისტისა და მუსიკოსის, ზაირა არსენიშვილის ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი წიგნის წარდგინება გაიმართა, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის მერის, ლევან ანდრიაშვილის მხარდაჭერით გამოიცა.

ღონისძიებაზე, შეკრებილ საზოგადოებას შორის ზაირა არსენიშვილის ოჯახის წევრები და მეგორებიც იყვნენ, რომლებმაც გამორჩეული თელაველი ხელოვანი ქალბატონის შესახებ მრავალი ისტორია გაუზიარეს მსმენელს.

ზაირა არსენიშვილის შესახებ გამოცემული წიგნის გაცნობა მკითხველს მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლიოთეკაში შეეძლება.



62





63



## მხატვარ ბესო გინტურის გამოფენა

20 ივლისს თელავის ისტორიული მუზეუმის საგამოფენო სივრცეში გაიხსნა მხატვარ ბესო გინტურის პერსონალური გამოფენა.

ბესო გინტური მოღვაწეობს თბილისში, იყი გახლავთ საქართველოს მხატვართა კავშირისა და საქართველოს მხატვართა გილდიის წევრი.

გამოფენა გაგრძელდება მიმდინარე წლის 2 აგვისტომდე.



ოლქ, №4, 2024



## ეთნოგრაფიულ ანსამბლ „ჩაკრულის“ წარდგინება


31 ივლისს, წინანდლის კულტურის სახლში ეთნოგრაფიული ანსამბლის წარდგინება გაიმართა.

ანსამბლი „პატარა კახი“, რომელიც ლევან აბაშიძის ხელმძღვანელობით, 2000 წელს ჩამოყალიბდა, ამ-იერიდან წარმოდგენილი იქნება, როგორც ფირუზ მახათელაშვილის სახელობის ეთნოგრაფიული ანსამბლი „ჩაკრული“.

თელავში, 100 წლის წინ, პირველი ეთნოგრაფიული გუნდი შეიქმნა, რომლის ისტორიაც უწყვეტია. დღეიდან კი ანსამბლი, რომელიც სასცენო სიმღერების გარდა, მსმენელს ყოფითი სიტუაციების (ყანის მეოს, ღვინის დაყენების) სიმღერებსაც შესთავაზებენ, ლოტბარის, ფირუზ მახათელაშვილის საპატივსაცე-მოდ, მისი სახელობის ეთნოგრაფიულ ანსამბლად იწოდება.

64





ଓৱেন ৩ এৱেন

ISSN: 1512-3995